

K247973  
3

ფიქსიონი

ნიკოლოზ  
ბერბენიშვილის  
ბიბლიო-  
გრაფიკა

თბილისი  
1968



ნოღარ ალანიღ

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა შ ვ ი ა

1852 — 1967

IC 131.572-573/3

IC 247.973/3

24





016:8Γ1

012[ბარათაშვილი] + 016:899.962.1 + 899.962.1.092[ბარათაშვილი]

ა 457

ბიბლიოგრაფიაში გამოხატულებას პოულობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ბეჭდური მასალა.

ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია ქართულ და რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე პოეტისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები და მისი შემოქმედების რუსული თარგმანები.



### წინასიტყვაობა

1968 წელს ზეიმით აღინიშნება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის დაბადების 150 წლის-თავი.

3767527

მას შემდეგ, რაც ამ ასიოდე წლის წინათ გიორგი ერისთავის ეჟრნალ „ცისკრის“ ფურცლებზე პირველად იხილა სინათლე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებმა, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საკმაოდ უზვი მასალა დაგროვდა. მხედველობაში გვაქვს, როგორც სპეციალურად ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, გამოკვლევები, წერილები, სტატიები, რეცენზიები და ა. შ. ისე ისეთი მასალა, რომელიც უშუალოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას არ ეხება, მაგრამ მასში რაიმე კუთხით პოეტის პიროვნებასა ან მის პოეზიაზეა საუბარი. იშვიათია ნაშრომი, რომელიც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის რომელსაღმე საკითხს ეძღვნებოდეს და იქ ლაპარაკი არ იყოს ნიკოლოზ ბარათაშვილზე; მისი შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების შესწავლა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა კეთილისმყოფელი გავლენა იქონია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ამ „გენიოსმა ქაბუკმა“ მთელს მის თანამედროვე და მომდევნო პერიოდის ქართულ მწერლობაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის კვალი შეიმჩნევა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და მრავალ სხვათა შემოქმედებაში, ხოლო ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა დიდადაა შთაგონებული ნიკოლოზ ბარათაშვილის სახეებითა და განწყობილებებით.

პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით, „ბარათაშვილი, როგორც დიდი პოეტი, აღმოაჩინა ქართული ლექსის როდენმა ილია ჭავჭავაძემ“. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაშიც პირველად 1861 წელს, ილია ჭავჭავაძის ცნობილ საპოლემიკო წერილში: „ორიოდე

საქართველოს  
პარლამენტის  
ენციკლოპედია  
ბიბლიოთეკა

სიტყვა თავად რევან შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შემ-  
ლილი“-ს თარგმნაზედა“ გაისმა სახელი „მაგ უდროოდ დამარხული  
ჩვენი იმედის“ — ნიკოლოზ ბარათაშვილის, რომელმაც „პარმონიუ-  
ლად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართ-  
ლა-და ზეგარდმო მთავონებული წვრილი ლექსები!..“

ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი ყურადღება განსაკუთრებით გამა-  
ხვილდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა პოეტის ნეშტის  
ფანჯიდან თბილისში გადმოსვენების საკითხი დაისვა. ამ პერიოდში და  
გადმოსვენების დროს (1893 წლის აპრილი) ბევრი საინტერესო და  
მნიშვნელოვანი ფაქტი თუ წერილი გამოქვეყნდა. ასევე ფართოდ  
აღინიშნა ჩვენს პრესაში პოეტის დაბადების ასი წელი 1916 წელს.

ბუნებრივია, დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა პოეტის გარშემო  
საბჭოთა პერიოდში, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაიკავა მისი  
კუთვნილი ადგილი ქართული კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში  
და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ღრმა მეცნიერულ  
საფუძვლებს დაეფუძნა. ჩვენს ქვეყანაში არა ერთხელ აღინიშნა პოე-  
ტის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, ხოლო 1945 წელს  
მთელმა საბჭოთა კავშირის ხალხმა ზეიმით აღნიშნა პოეტის გარდაც-  
ვალებიდან ასი წელი.

რუსულ პრესაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი 1852 წელს  
გამოჩნდა მიხეილ თუმანიშვილის სტატიაში ქართულ თეატრზე, სა-  
დაც ავტორმა სხვებთან ერთად აღნიშნა მისი დიდი პოპულარობა  
ხალხში. რაც შეეხება პოეტის ნაწარმოებებს, ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ლექსების თარგმანები უკვე 1880 წლიდან დროგამომშვებით იბეჭდება,  
როგორც ადგილობრივ რუსულ, ისე მოსკოვისა და პეტერბურგის  
ყურნალ-გაზეთებსა და ცალკეულ კრებულებში. შეიძლება გადაუჭარ-  
ბებლად ითქვას, რომ არცერთ ქართველ პოეტს არ ჰყოლია რუსულ  
ენაზე იმდენი მთარგმნელი, რამდენიც ნიკოლოზ ბარათაშვილს (პოე-  
ტის ცალკეული ნაწარმოებები თარგმნა ორმოცზე მეტმა სხვადასხვა  
ავტორმა).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები თარგმნილია უკრაინულად, ეს-  
ტონურად, აზერბაიჯანულად, სომხურად, აფხაზურად და საბჭოთა  
კავშირის ხალხთა სხვა მრავალ ენაზე. თუ რევოლუციამდე უცხოურ  
ენაზე მხოლოდ არტურ ლაისტის მიერ გერმანულად თარგმნილი  
ორიოდე ლექსი არსებობდა, დღეს პოეტის ლექსებს მსოფლიოს მრავალ  
ენაზე კითხულობენ. 1962 წელს რუმინულ ენაზე ბუქარესტში  
გამოვიდა ვიქტორ კერნბახის მიერ თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლის ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“; 1956 წელს ბოგდან გემ-  
ბარსკიმ პოლონურად თარგმნა ლექსები: „საყურე“, „ჩემს ვარსკვ-

ლავს“, „ცისა ფერს“, ხოლო 1961 წელს ვარშავაში გამოსულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი (მათ შორის „შემოდამება მთაწმინდაზე“, „მერანი“ და სხვ.) თარგმნილი საუკეთესო პოლონელი პოეტების მიერ. 1950 წელს პრადის ეჟურნალში „საბჭოების სინათლე“ (№ 51) გამოქვეყნდა იარომირ ედლიჩკას მიერ თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, უფრო ადრე კი სლოვაკურ ენაზე დაიბეჭდა ლიტერატურის მეცნიერების დოქტორის მილოშ კრნოს მიერ თარგმნილი „მერანი“; „მერანი“ გერმანულად თარგმნა და 1946 წელს ვენის გერმანულ ეჟურნალში „Die Brücke“ (№ 6—7) გამოაქვეყნა პროფ. რობერტ ბლანხშტაინერმა, იგივე ლექსი ფრანგულად თარგმნა მურიემ და ა. შ. ბარათაშვილის ყველა ლექსი და პოემა ინგლისურად მშვენივრად თარგმნა ვენერა ურუშაძემ, ხოლო ფრანგულად ტატიანა ავალიანმა. თუ რა რეზონანსი მოიპოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიამ უცხოელ მკითხველებში, ამას მოწმობს ის მრავალრიცხოვანი გამონახაურება, რაც გამოიწვია ვ. ურუშაძის ინგლისური თარგმანების გამოცემებმა.

მასალების სიუხვემ და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისადმი სულ უფრო მზარდმა ინტერესმა საჭირო გახდა ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა, რომელიც ერთგვარ წვლილს შეიტანს დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების შესწავლის საქმეში! წინამდებარე ბიბლიოგრაფიაში ცვდილობდით, გამოხატულება ეპოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხასიათის მასალას, თუნდაც უმნიშვნელოს, რომელიც რაიმე მხრივ შეუწყობდა ხელს პოეტთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევას. ჩვენი მიზანი იყო, ერთგვარად რაც შეიძლება სრული ბიბლიოგრაფიული რეგისტრაცია მოგვეზინა არსებული მასალებისა. ბიბლიოგრაფიის წინ უძღვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პირველი პუბლიკაციის ქრონოლოგია და პოეტის თხზულებათა ბეჭდური გამოცემები.

ძირითადი ნაწილი აღწესხავს ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართულ ლიტერატურაში (წერილები, ნარკვევები, მოწოდებები, ბიბლიოგრაფია, ქრონიკა) და პოეტისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს; შემდგომ განყოფილებაში მოცემულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა რუსულ ენაზე და პოეტის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად, ხოლო ცალკეული წლების ფარგლებ-

1 1947 წელს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატამ გამოსცა მ. ჟილაურის მიერ შედგენილი ნ. ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია (1833—1945), სადაც გარკვეული მიზეზების გამო ბევრ მასალას ჰქონდა გვერდი ავლილი.





ში ანბანზე. გამოცაკლისის სახით პირველი სამი სტატია, რომლებიც თავდაპირველად რუსულად გამოქვეყნდა, ხოლო ქართულად გვიან ითარგმნა, ჩვენ შევიტანეთ ქართულ ნაწილში პირველი გამოქვეყნების თარიღით.

რამდენჯერმე გამოქვეყნებული ერთი და იგივე მასალა, შეტანილია პირველი ბეჭდვის თარიღით და ნაჩვენებია მისი ბოლო გამოქვეყნების თარიღიც. რომ წიგნი ზედმეტად არ გადატვირთულიყო, რუსულ ნაწილში არ შეგვიტანია ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებების რუსული თარგმანები.

სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მოხერხდა უცხოურ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე არსებული მასალების თავმოყრა და აღნუსხვა.

ბიბლიოგრაფიაში შეძლებისდაგვარად გახსნილია ფსევდონიმები. წიგნს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი.

ბიბლიოგრაფია, ვფიქრობთ, ძირითადად ამოსწურავს ბარათაშვილოლოგიურ ლიტერატურას, იმ მთავარ და ძირითად მასალას, რასაც გარკვეული როლი ენიჭება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ხელთ არსებულ საშუალებათა განსაზღვრულობის, დროის სიმცირის და ჩვენი პირველი ცდის გამო მასში უთუოდ იქნება გამორჩენილი ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტი და არსებულ შრომას ეხლება ნაკლოვანებანი, რომელთა მითითებას მადლიერების გრძნობით მივიღებთ.

ნოდარ ალანია  
1968, მარტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პირველი  
ბეჭდვის კრონოლოგია

1852

- ბულბული ვარდზედ (ცისკარი, 1852, № 4).  
ჩემი ლოცვა (ცისკარი, 1852, № 4).  
ქალი [„რად ჰყვედრი კაცსა“] (ცისკარი, 1852, № 4).  
სულთ ბოროტო (ცისკარი, 1852, № 4).

1858

- ლაშქრობა ქართველთა კავკასიაზე [„ომი საქართველოს თავად-  
აზნაურ-გლეხთა“] (ცისკარი, 1858, № 2).  
გალობა სიტურფისა [„შევიშრობ ცრემლსა“] (ცისკარი, 1858,  
№ 2).  
ჩჩვილი (ცისკარი, 1858, № 2).  
ბედი ქართლისა (ცისკარი, 1858, № 9).

1860

- ფანტაზია [„ეპოვე ტაძარი“] (ცისკარი, 1860, № 5).  
ჩემს მერანს [„მირბის, მიმაფრენს“] (ცისკარი, 1860, № 6).  
საფლავი მეფის ირაკლისა (ცისკარი, 1860, № 7).  
ჩემს ვარსკვლავს (ცისკარი, 1860, № 8).  
თ. ე. ჭ. [თავადის ჭ... ძის ასულს, ეკ...ნას] (ცისკარი, 1860, № 9).  
საყურე (ცისკარი, 1860, № 10).  
სული ობოლი (ცისკარი, 1860, № 11).  
სატრფოვ მახსოვს (ცისკარი, 1860, № 12).

1861

- თქალები [მიყვარს თვალები“] (ცისკარი, 1861, № 1)).  
ჩონგურს (ცისკარი, 1861, № 3).  
„აღმოხდა მნათი“ (ცისკარი, 1861, № 6).

### 1862

- ფიქრი მტკვრის პირზე (ცისკარი, 1862, № 1).  
 ნაპოლეონ (ცისკარი, 1862, № 2).  
 ხმა იღუმალი (ცისკარი, 1862, № 3).  
 ჩემთ მეგობართ (ცისკარი, 1862, № 5).  
 სუმბული და მწირი (ცისკარი, 1862, № 9).  
 ჩინარი (ცისკარი, 1862, № 10).

### 1863

- შემოღამება მთაწმინდაზე (საქართველოს მოამბე, 1863, № 1).  
 „მადლი შენს გამჩენს“ (საქართველოს მოამბე, 1863, № 2).  
 ჩემს სატრფიალოს [„არ უკიეინო სატრფოო“] (ცისკარი, 1863, № 12).

### 1872

- „ვირთები მოდულუნებენ“ [ქეთევან] (კრებული, 1872, № 7).

### 1873

- „დამქოლა ქარმან“ (კრებული, 1873, № 2).

### 1876

- კნიაზ ბარატაევის აწარფეშაზედ (ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, 1876, გვ. 58).  
 „შენნი დალალნი“ (ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, 1876, გვ. 58).

### 1882

- ძია გ-სთან (ივერია, 1882, № 4—5).  
 ღამე ყაბახზედ (ივერია, 1882, № 4—5).  
 ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი (ივერია, 1882, № 4—5).  
 „ცისა ფერს“ (ივერია, 1882, № 4—5).  
 „როს ბედნიერ ვარ“ (ივერია, 1882, № 4—5).

### 1886

- „ვლოცავ დღეს“ (თეატრი, 1886, № 30).

### 1916

- ელენეს და მაროს (სახალხო ფურცელი, 1916, № 728).

ვარდი და ია (დროშა, 1924, № 16—17).

ნარგიზი და ყაყაჩო (დროშა, 1924, № 16—17).

კავკასიური მოთხრობა (დროშა, 1924, № 16—17).

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა  
ბეჭდური გამოცემანი

1876

1. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, თფილისი, სტამბა ექვთიმე ხელაძისა, 1876, VIII+63 გვ. (17 X 11). (ქართული მწერლობა, წიგნი პირველი), ტირაჟი 1200, ფასი 20 კაპ.

ამ გამოცემაში მოთავსებულია 31 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. დართული აქვს „სარჩევი“ (გვ. V—VII) და გამომცემლების წინასიტყვაობა (გვ. VII—VIII).

გამოცემას რეცენზია უძღვნა გ. თ. (გიორგი თუმანიშვილი) გაზეთ დროებაში (იხ. 1876, №№ 60, 61).

1879

2. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემელი გრ. ჩარკვიანი, ამბ. ენფიანჯიანცის - სტამბა, 1879, 64 გვ. (17 X 12). ტირაჟი 1200, ფასი 20 კაპ.

იმეორებს პირველ გამოცემას წინასიტყვაობის გამოკლებით.

1886

3. ლექსნი თქმული თ. ნ. ბარათაშვილისაგან და მისი ნაწერები. მესამე შევსებული გამოცემა. თბილისი, გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1886, VI+98 გვ. (16,5 X 12). ტირაჟი 600, ფასი 40 კაპ.

გამოცემას წამძღვარებული აქვს „წინასიტყვაობა“, სადაც ნათქვამია: „ეს მესამე გამოცემა ჩვენის გამოჩენილის და უდროოდ გარდაცვლილის პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. ამით შევასრულეთ სურვილი და წყურვილი საზოგადოებისა ბარათაშვილის თხზულებათადმი. ამ გამოცემაში დაემატა ლექსები და მიწერმოწერა პოეტისა, რომელნიც დღემდის, თუმცა იყვნენ დაბეჭდილნი ცალკე გაზეთში, მაგრამ მისს თხზულებათა კრებულში პირველათ შეუერთდებიან პოეტის სხვა ნაწარმოებებს“.



4. თავადის ნ. ბარათაშვილის ლექსები. მეოთხე შევსებული გამოცემა. ტფილისი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, მ. დ. როტინოვის სტამბა, 1890, IV + 66 გვ. (21,5 X 14,5), ტირაჟი 1198, ფასი 30 კაპ.

გამოცემას ერთვის ზ. ჭიჭინაძის წერილი „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია“. წინა გამოცემასთან განსხვავებით დამატებულია პოეტის ორი ლექსი: „ძრწოდე კავკასო“ და „ვლოცავ დღეს“; სხვაგვარად იმეორებს მესამე გამოცემას.

## 1895

5. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები (ექ. თაყაიშვილისა და დავ. კარიჭაშვილის რედაქციით). გამოცემა მეხუთე. ტფილისი, ქმწკგს გამოცემა, № 25, წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის სტამბა, 1895, XX + 124 + V გვ. (20,5 X 14), ტირაჟი 1200, ფასი 40 კაპ.

წინა გამოცემებთან შედარებით აქ დამატებულია ნ. ბარათაშვილის ექვსი წერილი.

შინაარსი: ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ (დ. კარიჭაშვილისა), გვ. I—IX; ცნობები თ. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების შესახებ (ე. თაყაიშვილისა), გვ. X—XVI; ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“, გვ. 1—80; წერილები, გვ. 83—122; უმთავრესნი განსხვავებანი ვალ. გუნიას ვარიანტისა, გვ. 123—124.

## 1904

6. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები. წინასიტყვაობით, რომელშიაც მოთავსებულია ავტორის ბიოგრაფია და ჩვენი მწერლების აზრი ნ. ბარათაშვილზე და მის პოეზიაზე. ბათუმი, გამოცემა სპ. ჭელიძისა, № 3, ი. ბ. მინკინის სტამბა, 1904, X + 46 + 16 გვ. (20,5 X 13,5), ფასი 20 კაპ.

გამოცემაში მოთავსებულია 36 ლექსი, დართული აქვს სპ. ჭელიძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“ (გვ. 1—46), რომელშიც მოყვანილია ნ. ნიკოლაძის, ხომლეღის, გ. თუმანიშვილის, კიტა აბაშიძის, ვ. წ., განნარიძის და სხვათა აზრი ნ. ბარათაშვილზე და მის პოეზიაზე.

## 1905

7. ნ. ბარათაშვილი, მოკლე ბიოგრაფია და რჩეული ლექსები. ტფილისი, ქმწკგს გამოცემა, სტამბა „გუტენბერგი“, 1905, 16 გვ. (17 X 12).

8. ბარათაშვილი ნიკ. ლექსები. ტფილისი, ელექტრობეჭდ. „სორაბანი“, მაღათოვის კუნძული, № 1, 1908, 52 გვ. (12 X 14), ფასი 15 კაბ.

## 1910

9. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნას“ გამოცემა № 45, სტამბა „ფუტენბერგი“, 1910, 113+XVIII გვ. (21,5 X 14,5), მეშვიდე გამოცემა, ტირაჟი 2000, ფასი 40 კაბ. (ყდაზე დაბეჭდილია ნ. ბარათაშვილის სურათი).

ლექსებს დართული აქვს წერილები: 1. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია დ. კარიჭაშვილისა (გადმობეჭდილია 1895 წ. გამოცემიდან, ბოლოში ბიბლიოგრაფიის გამოკლებით) გვ. 3—9; 2. ნ. ბარათაშვილი — კრიტიკული წერილი ი. ჭავჭავაძისა, გვ. 10—19; 3. ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია, ივ. გომართელისა გვ. 20—32; ავტოგრაფი „ფიქრნი მტკვრის პირას“ ბოლო სტროფი, გვ. 34; 4. ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გვ. 35—82; 5. წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გვ. 83—113; 6. შენიშვნები დ. კარიჭაშვილისა, სადაც გარჩეულია ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები (გვ. 1—11), „საზოგადო შენიშვნის“ სახით გარჩეულია პოეტის მართლწერის საკითხები (გვ. III—IV) და ცალკე შენიშვნების ქვეშ მოცემულია ვარიანტები (გვ. V—XIV); სარჩევი (გვ. XV—XVII).

10. ნ. ბარათაშვილის სრული ლექსთა კრებული. ტფილისი, აშხ. „სორაბანის“ სტამბა, 1910, 77 გვ. (14 X 9,5), (სახალხო ბიბლიოთეკა, წიგნი მეორე).

დართული აქვს წერილი: „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ“, გვ. 67—77, რომელიც გადმობეჭდილია 1895 წლის გამოცემიდან, შესწორებულია მხოლოდ გამოცემათა ბიბლიოგრაფია (გვ. IX). გამოცემას ერთვის ავტოგრაფი — „ფიქრნი მტკვრის პირას“ ბოლო სტროფი.

## 1911

11. ნ. ბარათაშვილი, ზედი ქართლისა, ისტორიული პოემა. ბათუმი, გამოცემა აღ. კელიძისა, № 3, ვ. ჩანტლაძის და ნ. ხვინგიას სტამბა, 1911, 16 გვ. (18 X 11) ტირაჟი 2000, ფასი 3 კაბ.

წიგნს ერთვის გამომცემლის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სადაც მოცემულია პოეტის მოკლე ბიოგრაფია და მისი შემოქმედების შეფასება (გვ. 2).

#### 1916

12. ბარათაშვილი ნიკოლოზ, ბედი ქართლისა. თქმული წელსა 1839-სა ტფილისს (ავტოგრაფული გამოცემა), თბილისი, გამოცემა ამხანაგობისა, ქართველთა ამხ. სტამბა, 1916, 64 გვ. (აქედან 9 გვ. ცარიელია) (18 X 12). ტირაჟი 3000, ფასი 1 მან.

გამოცემა დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ პრემიის სახით.

13. ნიკ. ბარათაშვილის რჩეული ლექსები. 1816—1916, ქუთაისი, გამოცემა გ. ლეშკაშელისა, ქმუკგს ქუთაისის განყოფილების სტამბა, 1916, 20 გვ. (20,5 X 13,5).

წიგნს ერთვის გამომცემლის წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია: „განვიზრახეთ რა გაგვემართა საღამო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ნიკ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავათ, გადავწყვიტეთ აგრეთვე, მოწაფეთა ხარჯით, გამოგვეცა ნიკ. ბარათაშვილის რჩეული ლექსების კრებული, უმცროს კლასიან მოწაფეებისათვის დასარიგებლათ“.

#### 1919

14. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები. დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბილისი, ქმუკგს გამოცემა, № 159 (1919), VIII + 49 + X გვ. (27,5 X 14), ტირაჟი 2000, ფასი 8 მან.

წიგნს ერთვის სურათი — ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება თბილისში და წერილი: ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია დ. კარიჭაშვილისა. ბოლოში დართული აქვს „საზოგადო შენიშვნები“, სიტყვების განმარტება, სარჩევი და შეცდომების გასწორება. რედაქტორი აღნიშნავს: „საჭიროდ დავინახეთ ტექსტის მართლწერაში შეგვეტანა ზოგიერთი შესწორებანი ახლანდელს მართლწერას მიხედვით, რომელნიც გვხვდება თვით ბარათაშვილის ხელით გადაწერილს ლექსებში“, შემდეგ ნაჩვენებია ნ. ბარათაშვილის წერის ნორმები.

#### 1922

15. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. სამფირცხალავს რედაქციით, ტფილისი, სახელმწიფო სტამბა, 1922 წ.

LIX+245+VI გვ. (22,5 X 17,5), ტირაჟი 2600. გამოცემა ილუსტრირებულია.

შინაარსი: 1. იონა მეუნარგია — ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გვ. V—LIX; 2. ლექსები, გვ. 3—57; 3. პოემა — „ბედი ქართლისა“, გვ. 65—86; 4. წერილები, გვ. 89—124; 5. ექვთიმე თაყაიშვილი — ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, გვ. 127—132; 6. ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი, გვ. 132—165; 7. გიორგი ჭავჭავაძის ნიკოლოზ ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში, გვ. 165—181; 8. გერონტი ქიქოძე — ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 181—192; 9. დ. უზნაძე — ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება, გვ. 192—220; 10. ს. გორგაძე — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა, გვ. 220—236; 11. ს. ფ. — ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემანი, გვ. 237—238; 12. შესწორება და შენიშვნა, გვ. 238—239; 13. ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის, გვ. 240; 14. მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, გვ. 241—245; 15. სამ. ფირცხალავა — ბოლოსიტყვაობა, გვ. I—II.

#### 1930

16. ნ. ბარათაშვილი, ნაწერების სრული კრებული. თბილისი, გამოცემა „ქართული წიგნის“, სტამბა ა. ფ. მიასნიკოვის სახ. გამცემა „ზარია ვოსტოკა“-სი, 1930, II+132 გვ. (16,5 X 11,5), ტირაჟი 3000. (რედაქტორი პ. ინგოროყვა).

გამოცემას წამძღვარებული აქვს რედაქციის ცნობა: „ნ. ბარათაშვილის ნაწერების ტექსტი, მოთავსებული წინამდებარე გამოცემაში, შედარებულია და დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერი მასალების მიხედვით“.

#### 1937

17. ნიკ. ბარათაშვილი, ლექსები, თბილისი, სახელგამი (სასკოლო ბიბლიოთეკა), ცეკაეშირის სტამბა, 1937, 82 გვ., (20 X 14), ტირაჟი 10300, ფასი 85 კაპ.

ტექსტი დამუშავდა ი. ბალახაშვილმა, რედაქტორი — მ. ჩიქოვანი.

#### 1939

18. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, პოემა, წერილები. რედაქტორები: ი. თავაძე და ა. გაწერელია, მხატვარი — ლ. გუდიაშვილი, თბილისი, „ფედერაციას“ გამოცემა (ქართული კლასიკური მწერ-



ლობა), გამომც. „ფედერაციას“ სტამბა. 1939, XCIII+176 გვ. (11 X 7), ტირაჟი 5000, ფასი 14 მან. 50 კაპ.+2 მ. 30 კ.

გამოცემის დართული აქვს: 1. ნ. ბარათაშვილის პორტრეტი ლ. გუდიაშვილისა, 2. წერილი „რედაქციისაგან“, გვ. I, 3. ნიკოლოზ ბარათაშვილი — ბიოგრაფიული ნარკვევი პ. ინგოროყვასი, გვ. V—XCIII; ბოლოს: შენიშვნები ნ. ბარათაშვილის წერილების შესახებ — აკ. ვაწერელიასი, გვ. 96—109; ტექსტისათვის — ი. ბალახაშვილისა, გვ. 113—128; ს. ჯანაშია — ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, გვ. 131—144; ლ. ასათიანი — ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი, გვ. 145—148; ა. შანიძე — ბარათაშვილის ენა, გვ. 149—160; გ. ნადირაძე — ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლაიზევიცი, გვ. 161—168; ი. გრიშაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები, გვ. 169—172.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ამ გამოცემის ტექსტი დადგენილია ი. გრიშაშვილის მიერ. გამოცემის შესახებ სარედაქციო წერილში ნათქვამია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა წინამდებარე აკადემიური გამოცემა დაგვიანებით გამოდის. ამის მიზეზი იყო რედაქციის მიერ თავდაპირველად დასახული გეგმის შეცვლა და მთელი რიგი ტექნიკური საკითხებისა, რომლებმაც ხელი შეუშალეს გამომცემლობას უფრო ადრე მიეწოდებინა მკითხველებისათვის პოეტის ნაწერები“.

#### 1945

19. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი (ლექსები და წერილები). მხატვარი ს. კეცხოველი. (საიუბილეო გამოცემა. 1845—1945). თბილისი. სახელგამი. სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. 1945, XXXII—116—6 გვ., ტირაჟი 15500, ფასი 15 მან. (6,5 X 9,5). რედაქტორი გ. ლეონიძე.

წიგნს ერთვის: ნიკოლოზ ბარათაშვილი (მოკლე ბიოგრაფია) — გ. ლეონიძის, გვ. V—XXXII; კომენტარები, შედგენილი გიორგი ლეონიძის მიერ, გვ. 95—112 და ლექსიკონი, შედგენილი ვუკ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის მიერ, გვ. 113—116.

20. ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი (საიუბილეო გამოცემა). 1845—1945. რედ.: აკად. კ. კეკელიძე, გაფორმება მხატვარ გრიგოლიასი. მხატვრული ხელმძღვანელი და ტექრედაქტორი ბ. გორდეზიანი. თბილისი. სახელგამი. სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბი-

ნატი. 1945, I—XXVIII გვ. ავტოგრ., 170 გვ. ავტოგრაფებით (5)  
ჩართ. ფურც. სურ. 28 სმ. ტირაჟი 5050, ფასი 30 მან.

შინაარსი: რედაქციისაგან, გვ. V—VIII; პ. ინგოროყვა — ნ. ბარათაშვილი (ნარკვევი), გვ. IX—LXXVIII; ლექსები, გვ. 3—49: „ბედი ქართლისა“, გვ. 52—64; სახუმარო ეპიგრამა და ყრმობის პერიოდის ლექსები, გვ. 67—72; წერილები, გვ. 75—96; გ. აბზიანიძე — კომენტარები ლექსებისა, გვ. 99—102; ა. გაწერელია, ს. ყუბანეიშვილი — ხელნაწერები და გამოცემანი, გვ. 117—142; ვარიანტები, გვ. 145—158; ვ. ბერიძე და სოლ. იორდანიშვილი — ლექსიკონი, გვ. 161—164; კ. კ. — გამოცემისათვის, გვ. 165—168.

21. ბარათაშვილი ნიკოლოზ (ლექსები და პოემა). საიუბილეო გამოცემა, 1845—1945. რედაქტორი ი. გრიშაშვილი; მხატვრები დ. და ლ. ქუთათელაძეები. თბილისი, სახელგამი, სახელგამის ბექდვითი სიტყვის კომბინატი, 1945, 115 გვ., (3,5 X 5,5), ტირაჟი 10000, ფასი 5 მან.

22. ბარათაშვილი ნიკოლოზ, ბედი ქართლისა (პოემა). მხატვარი ნ. ფოფხაძე; თბილისი, საბლიტგამი, სახელგამის ბექდვითი სიტყვის კომბინატი, 1945, 21 გვ. ტირაჟი 3500, ფასი 5 მან.

#### 1954

23. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1954, 155 გვ., ტირაჟი 30000, ფასი 5 მან., პასუხისმგებელი გამომცემისათვის ან. თევზაძე.

წიგნს ერთვის: ილია ჭავჭავაძის ლექსები წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნუსხის გადმოსვენებაზე 1893 წლის 25 აპრილს, გვ. 3—5; კომენტარები — გიორგი ლეონიძისა, გვ. 121—146; ლექსიკონი — ვუკ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის, გვ. 147—151; გამომცემლობისაგან, გვ. 152.

#### 1958

24. ბარათაშვილი ნიკოლოზ. ბედი ქართლისა (პოემა). თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958, ტირაჟი 30000, 16 გვ.

1959

25. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა. თბილისი, 1959, მოსწავლის ბიბლიოთეკა, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, ტირაჟი 25000, ფასი 35 კაპ. (წინამდებარე გამომცემა განკუთვნილია IX კლასის მოსწავლეთათვის), 32 გვ.

1960

26. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა. (ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა ოც ტომად; ტომი 6, გვ. 99—142), საქ. სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1960, ტირაჟი 20000, ფასი 1 მან. 50 კაპ. შესულია პოეტის ყველა ლექსი და პოემა.

1963

27. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლირიკა. 1817—1945, საქ. სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1963, რედაქტორი რ. ორჯონიკიძე, მხატვრები თ. მირზაშვილი, ო. ჯიშკარიანი. 77 გვ., (5,5X7), ტირაჟი 10000, ფასი 10 კაპ. შესულია პოეტის ყველა ლექსი და პოემა.



ნიკოლოზ ბარათაშვილი  
ქართულ ლიტერატურაში

წერილები, ნარკვევები, გიგლიოგრაფია და ქრონიკა

1852 — 1967

1852

28. თუმანოვი მ. [მიხეილ თუმანიშვილი]. — ქართული თეატრი. Кавказ, 1852, №№ 10, 11; Актн, т. XI, გვ. 917—919; რჩეული თხზულებანი თ. მ. თუმანიშვილისა, თბ., 1881; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I; შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა; საქ. სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოც., 1954, გვ. 40—48.


წერილი დაწერილია რუსულად. ავტორი ეხება ქართულ თეატრს და გაკვრით ქართულ მწერლობას. ახსენებს ა. ქავკაძეს, გრ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს და შენიშნავს: „ეს სახელები, რასაკვირველია, ახალი და უცნობია მკითხველებისათვის, მაგრამ ისინი დიდი ხანია ცნობილია ხალხში ხელნაწერი პოემებითა და სიმღერებით, რომელნიც იმდენად საყვარელი არიან აქ, რომ იშვიათად ადგილობრივთაგან ვინმემ არ იცოდეს რამდენიმე მაინც ზეპირად. შეიძლება მე მომეცეს საშუალება „კავკაზის“ მკითხველებს ვავაცნო“.

1859

29. არდაზიანი ლავრენტი. Н. Бердзенов. Беглый обзор 12 книжек журнала „Заря“ с янв. по декабрь. 1858 г.

პასუხია ნ. ბერძენიშვილის წერილზე, რომელშიაც ავტორმა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ქართული მწერლობის მიმართ. არდაზიანის წერილში გაკვრით ნახსენებია ნ. ბარათაშვილი.

2. ნ. ალანია





ცისკარი, 1865, № 9; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 135—141.

30. ბერძენოვი ნიკოლოზ [ნიკოლოზ ბერძენიშვილი]. ქართული ლიტერატურა, ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის — იანვრიდან დეკემბრამდე, — გავკრით მიმოხილვა. *Кавказ* 1859, №№ 42, 43, 49, 50; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 114—135.

ავტორი მიმოხილავს ჟურნალ „ცისკრის“ ერთი წლის ნომრებს, გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს, განიხილავს ცალკეულ ნაწარმოებებს. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ჟურნალში გამოქვეყნებულ ნ. ბარათაშვილის ლექსებს. იგი წერს: „მეორე წიგნაკის ორიგინალურ ლექსთაგან შესანიშნავი არიან: „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „გალობა სიტურფისა“ და „ჩხვილი“ თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. თავ. ბარათაშვილი მიეკუთვნება უზადო ნიჭის მქონე ქართველ პოეტთა მცირერიცხოვან ოჯახს და ნაადრევ სიკვდილს რომ არ მოეტაცა იგი, მისი კალამი ბევრ ჭეშმარიტ-პოეტურ თხზულებას შექმნიდა. ერთი სიტყვით, ბარათაშვილია დატოვა რამდენიმე წვრილი ლექსი, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ნიჭი ატარებდა ბუკედს იმ გაცრუებისა და უკმაყოფილებისა, იმ უსიხარულო მელანქოლიისა, რომელნიც ანსხვავებენ ლერმონტოვის და ბაირონის სხვა მიმდევრების პოეზიას. მაგრამ წაიკითხეთ მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და თქვენ სრულიად დარწმუნდებით განსვენებული ბარათაშვილის ნამდვილ მოწოდებაში“.

#### 1861

31. ჭავჭავაძე ილია. ორიოდვე სიტყვა თავად რევან შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმნაზედა. — ცისკარი, 1861, № 4; თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროვის რედაქტორობით, სახელგამი, 1953, ტომი III, გვ. 7—27.

უწუნებს რა მთარგმნელს ენას, ილია წერს: „როცა ვკითხულობდი თარგმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ენახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილიდინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილი, მაგ, უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები!..“

ილია ხაზგასმით აღნიშნავს რომ ქართული ენა უნდა ვისწავლოთ ნ. ბარათაშვილისაგან და არ უნდა დავანაგვიანოთო იგი.

32. ბარათაშვილი გიორგი. წერილი რედაქტორთან. — ცისკარი, 1861, №№ 5, 6; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 187—199.

ავტორი წერილში იხსენიებს ნ. ბარათაშვილს.

#### 1862

33. თერგდალეული [კირილე ლორთქიფანიძე]. ორიოდ სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ. — ცისკარი, 1862, № 9; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 265—273.

სტატიაში ავტორი ქებით იხსენიებს ლექსებს „ჩუენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშვილისა“.

#### 1863

34. ქერელი ბექა [ანტონ ფურცელაძე]. ქართული ლიტერატურა; საქართველოს მოამბე, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები. — ცისკარი, 1863, № 3; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 303—314.

რეცენზიის ავტორი ეხება ჟურნალში დაბეჭდილ ნ. ბარათაშვილის ლექსს „მთაწმინდაზე შემოღამება“ და აღნიშნავს: „ეს დიას კარგი და ჩინებული ლექსია; ამ ლექსიდანა სჩანს, რომ ავტორი ნამდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარი სული და, სხუა არაფერი! მკითხველი რაღაც მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას და როდესაც გაათავებს რჩება ხახა-მშრალი, გულცარიელი, ეს იმიტომა რომ აქედან არ ამოგაქვთ გონების მსაზრდობელები ლუკმა და როგორც მშვიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვასა, ისეთივე და უფროც მშვიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საკმელსა ჰგავს, რომ კაცს მადას უხსნის და კუქს კი არ ეცნობა რამდენიც გინდა სჭამო“.

#### 1865

35. ორბელიანი ალექსანდრე [ალექსანდრე ეახტანგის ძე ჯ.-ორბელიანი]. ზოგი ერთი შემცნევა. — ცისკარი, 1865, № 8; აღ. ორბელიანი, ნაწერები..., 1879, გვ. 252—253.

წერილის ავტორი აღფრთოვანებით ლაპარაკობს „ქართველების მომავალ დიდ პოეტზე“ ნიკოლოზ ბარათაშვილზე: „...სად არის სა-

ქართველოში იადონი!.. იმისი კვერცხი ჯერ არ არის გადაქრილი, დრო კი არის გამოიჩიოს. მფრინველთ ქრიაშული ყველგან ისმის. ენახოთ ეს შესხმა ვის ეკუთვნის, ამის პაზრსა ვინ აიღებს? ცოდო არ არის ეხლა შორს გზაზედ იყო შენ — შენ კაცის გულის გამომთქმელი სინაღლი-სა, შენ ჩვენო საქართველოს უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, თავადო ნიკოლოზ ბარათაშვილო! იმ დაუღვევლს გზაზედ იდგე, სადაც სანატრელი სიმართლეა, მხოლოდ იქა? ჯერ არ იყო დრო: გემოვნება გაგელო შენ, რომელმა მსაჯულებმა წაიღო ეგ შენი სხივ მოსხმული, ნათელი სული პოეტობისა? ავი ძლიერ ჰფლობდა, პატრონობდა, მას დაწმენდილს სულსა შენსასა? არა მგონია ანგელოზის ვისიმე მარჯუნა შეეხებოდა მას, განგებულებავ, განგებულებავ! ეძრწი და ვფრთხილობ, სწორე სიტყვა ვეღარ მითქუამს ამისათვის განგებულებავ, მაგრამ ამისი კი ნება გვქონდეს, რომ ეხლა იყო დრო, ეხლა სრულსა პაზრსა აიღებდა პოეტობისას ის! ეხლა მის პატარასა ლამაზსა თავზედ, მამულისა პოეტების ბრწყინვალესა გვირგვინს დაადგამდნენ, კარგი ქართველთ წყნარის ქალებითა, მოწიწებით მოკრძალებული, იგი შეიღნი მამულისა. შენ ქართუელების მომავალო დიდო პოეტო! მაინც რადაც უნდა იყოს, შენა წევხარ უნაკლებლოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, რომელიცა გენიის ღმერთა შენს ძილსა მშვიდობასა უაღერსებს, შენსა მიღულებულს თუალებს ჰკოცნის უმანკოს და წრფელისგულით. ახ! უდროვო ესე ძილო. ესე მშვიდობაო... ასე ბედ-კრულო შენ უბედურო! ობლობის ცრემლსა იხოცს, შენს საფლავეს საქართუელო...“

(ალ. ორბელიანის წერილს ცისკარში ახლავს ავტორის შენიშვნა: „ერთხელ და ერთხელ დარჩა ეს სტატია ვეღარ დავაბეჭდინე. მაინც ადრე თუ გვიან სულ ერთია, ოღონდ საქმეში შევიდეს“).

36. ფურცელაძე ანტონ. კაცია, ადამიანი — მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა. Литературный листок, 1864, №№ 3, 9; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 372—391.

რეცენზია დაწერილია რუსულ ენაზე. ავტორი ახსენებს ნ. ბარათაშვილს და ქებით ლაბარაკობს მასზე.

37. ღვიშელი. ჩუშნი დროების მწერლები. — ცისკარი, 1865, № VII; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, 1954, გვ. 391—394.

ავტორი განიხილავს დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ ქრესტომათიას, სადაც სხვებთან ერთად ნ. ბარათაშვილის ლექსებიცაა შეტანილი და საყვედურობს შემდგენელს: „ჩუშენ გაკვირვებული ვართ, რამ ასაზრებია უ. ჩუბინაშვილს, ნ. ბარათაშვილის ლექსები: ჩემი

ლოცვა, მერანი და სულო ბოროტო, სამღერალი ლექსები იყოს. ამის შემდგომ ჩუენ დარწმუნებული ვართ, რომ უ. პროფესორმა, ვერც ერთი ლექსის მნიშვნელობა ვერ გაიგო. თუ რომ გაეგო ამ გვარს (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ) უგუნურ შეცთობილებასაც აღარ იქმნოდა. ქართლის ბედი კი „აღწერილებითი“ პოეზიაშიდ შერაცხა. „ოხ, ღმერთო ჩემო! ნუთუ იმოდენად დაკარგეს შენგან გაჩენილმა ადამიანების შეილებმა გრძნობა, რომ წმინდა ლიტერატურის გვაშებს, ბლალვენ თავისი ურწმუნო და ბიწიერის ხელებით! რისათვის ხელი არ შეუყენე როცა ამ გვარად იმათი შებლალვა მოიწადინეს? მაგრამ დახედეთ თუ როგორ ვექცევით ბარათაშვილის ლექსებს, ჩანგურზედაც კი მღერიან „სულო ბოროტოს“, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სულო ბოროტოს მნიშვნელობა, სულ არ ესმის იმ ბატონ პირებს, ვინც „სულო ბოროტოს“ მღერის. ეჭვი არ არის, რომ ისინი „სულო ბოროტოს“ სიკუდილს ჰგონებენ, რადგანაც ნ. ბარათაშვილმა, სიკუდილის დროს დაჰსწერათ. არა ჩემო ბატონო, ვინც ამას გონებთ, წაიკითხეთ გონების თვალთ, გულ დასმით, რამოდენჯერმე იმისი ლექსები, გაიგეთ ნამდვილი იმათი მნიშვნელობა და მაშინ, გარწმუნებთ ყველა ერთ ხმათ დასძახებთ რომ: „ჩუენი ნ. ბარათაშვილი გენით ჩუენი რუსთაველის ძმაო. „ამ გვარი ჩემგან შედარება ბევრს ემწუთხება, თუ როგორ გაებედე! მაგრამ რა გაეწყობა ჩემო ბატონებო! თუ რომ მართლა რუსთაველი გენია იყო (რომელშიდაც ეჭვი არა მაქუს) მაშინ ეჭვი არა მაქუს ბარათაშვილიც გენია იყო!“.

საბოლოოდ აღარებს რა ძველსა და ახალ მწერლობას, ავტორი ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შესახებ დასკვნის: „...ამ სამს პოეტებთაგანზედ კი ვიტყვი, რომ არა თუ ქართულ ლიტერატურაშიდ, რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც მალა დგას გენით. ვიტყვი თამამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორს მოიტოვა!“.

38. ხუციშვილი ან[ტონ]. ჩონგური, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხუა მწერლების ლექსების კრება. შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. პეტერბურდი. 1864. მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ავტორი ამბობს, რომ „სამშობლო მამულის მოყვარე ქართველი არა მცირედს ნუგეშს, იმედს და სიამოვნებას გამოსცდის ამ წიგნის ნახვით და გადაკითხვით“ და მოუწოდებს „ყველა ქართველსა, ვისაც კი შეუძლიან, — იქონიოს ეს წიგნი, რომელსაც პატრიოტული ჰაზრების გარდა სხუა არა მცირედი ღირსებაცა აქუს“... ცისკარი, 1865, № 9 (22—42).

39. წერეთელი აკაკი. რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ. —



ცისკარი, 1865, № 9; თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XI, რედაქტორი ვ. აბზიანიძე, 1960, გვ. 20—33.

ავტორი მიესალმება კ. ლორთქიფანიძის მიერ „ჩანგურის“ გამოცემას და წერს: „ეს ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული; სტირის და ჰკენესის ქართველების კვნესით და მამ რაღა საიჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?.. მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე“...

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის ლექსებს, პოეტის სევდის მიზეზებს და ავლებს პარალელს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან.

40. **ჯანაშვილი დიმიტრი.** მახე. — ცისკარი, 1865, № XI; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის ქრესტომათია, I, 1954, გვ. 405—418.

წერილის ავტორი საყვედურობს ღვიმელს წარსულის მწერლობის და ჩუბინაშვილის შრომის დაუფასებლობას და ახდენს ნ. ბარათაშვილის ლექსიდან ციტირებას.

## 1867

41. **მოენიძე ზურაბ** [ანტონ ფურცელაძე]. შეუსრულებელი სურათი. — დროება, 1867, №№ 35, 36, 37, 38; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, შეადგინა და წინასიტყვაობა. შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, თბილისი, 1956, გვ. 26—37.

ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი არჩევს თავისსავე ნაწარმოებს — „სამის თავგადასავალი“, ხშირად იხსენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილს და მოჰყავს პოეტის სტრიქონები ლექსიდან „მერანი“.

## 1868

42. **ბეთანელი მიხეილ.** პოეტური გაკენწვლა. — დროება, 1868, № 12; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, II, გვ. 43—47.

წერილის ავტორი განიხილავს აკაკი წერეთლის სტატიას „რამოდენიმე სიტყვა შესახებ კნ. ბ. ჯორჯაძისა“ („დროება“, 1868, № 3), ეხება ნ. ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“ და ამ პოემის გმირს სოფიოს.





43. [ალექსანდრე ცაგარელი]. ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში. — დროება, №№ 2, 3, 4, 6, 7; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 62—106.

ალ. ცაგარელის ეს ვრცელი წერილი გამოგზავნილი იყო ქ. მიუნხენიდან და ხელმოუწერლად გამოქვეყნდა. წერილს ეპიგრაფად უძღვის ნ. ბარათაშვილის სტრიქონი: „არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება“... ავტორი ვრცლად იხილავს ნ. ბარათაშვილის ლექსებს და აღნიშნავს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას ჩვენს ლიტერატურაში ერთად-ერთი, გაცალკევებული; არც თითონ მისდევდა ვისგანმე დაქნილ ბილიკსა და ვერც არავინ იმის შემდეგ იმისაგან გადებულ გზაზედ გაიარა“.

აძლევს მაღალ შეფასებას პოემას „ბედი ქართლისა“ და წერს: „ამის პოემამ „ბედი ქართლისა“ დაბადა, რამდენადაც გარემოებამ შეაძლებინა, ნაციონალური — ქართული პოეზია, მთელი ახალი ლიტერატურა“...

44. ა. ფ. [ანტონ ფურცელაძე]. გორის უეზდიდამ, დროება, 1870, № 39.

ავტორი გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სასიმღეროდ გადატანილ ქართველ მწერალთა ლექსებზე და მათ შორის ბარათაშვილის „სულო ბოროტოსა“ და „მერანის“ შესახებ.

## 1871

45. სკანდელი ნ. [ნიკო ნიკოლაძე]. ქუთაისის ამბები. — დროება, № 26; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტომი II, თსუ, 1960, გვ. 515—520.

ავტორი ლაპარაკობს იმ პოეტებზე, რომლებიც პოეტურ აზრს სწირავენ ლექსის ფორმას და აღნიშნავს, რომ „ჩვენს ლიტერატურაში ამ ცოდვაში უმანკო დარჩა მარტო ნ. ბარათაშვილი და ილ. ჭავჭავაძე“.

## 1872

46. პეტრიძე მ. [პეტრე უშიკაშვილი]. შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის (ფიქრები ამ უკანასკნელის ოცის წლის ლიტერატურაზე). — კრებული, 1872, №№ 8—9; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 151—164.

ნაშრომში დახასიათებულია XVIII საუკუნის ქართული ლიტერა-

ტურა და ცალკეულ საკითხებზე ლაპარაკისას ავტორი ხშირად იხსენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილს.

47. ფურცელაძე ანტონ. საწყალი კვდაბზიკა! („კრებულ-დროება“ და იმათი ყვინჩილაობა). — მნათობი, 1872, X, XI, XII; ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 182—195.

ავტორი პოლემიკას ეწევა სკანდელთან (ნიკო ნიკოლაძე) და ეხება ნ. ბარათაშვილის ლექსს „მერანი“ და პოემას „ზედი ქართლისა“. „მერანის“ შესახებ იგი ამბობს: „მერანი“ ბარათაშვილისა... (არის) ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრებისა და ახალის ცხოვრებისათვის“...

1873

48. ბარათაშვილი ნიკოლოზ. წიგნები (წერილები). — კრებული, №№ 1, 3.

„კრებულის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია პოეტის მიერ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი წერილი. ეს წერილები რედაქციისათვის გადაუცია ილია ჭავჭავაძეს. წერილებს წინ უძღვის რედაქციის შენიშვნა ამის თაობაზე.

მესამე ნომერში მოთავსებული წერილები მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი და რედაქციისთვისაც ამ უკანასკნელს გადაუცია.

49. გორისელი გ. [გიორგი წერეთელი]. ერთი უგბილიმ. „ტიფლისის მოამბის“ ბიბლიოგრაფი დ. ერ-ვი. Библиограф „Тифлисского Вестника“ Д. Эр-в. დროება, 1873, № 36.

„ტიფლისკი ვესტნიკმა“ მოათავსა უხამსი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ „კრებულში“ გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის წერილების გამო. ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს უბრალო ადამიანის წერილებია, რომლითაც ავტორს სურს შეიტყოს თავისი მეგობრის ამბავი და მისი გამოქვეყნება საჭირო არ იყო.

გ. წერეთელი აღუფრთხვბია ქართული მწერლობის აბუჩად ამგდები წერილის ტონს და თავის წერილში მკაცრად აკრიტიკებს რედაქტორსა და ბიბლიოგრაფიის ავტორს. ამ უკანასკნელს იგი უწოდებს დაბალი კლასის მოსწავლეს, რომელსაც ღრმა შინაარსის წერილებისა და მაღალმხატვრული ნაწარმოების ღირსების გაგების უნარი არ შესწევს. უწოდებს მას უვიცს, წერა-კითხვის უცოდინარს, ბავშვურად მოაზროვნეს და ა. შ.

რედაქტორისა და ბიბლიოგრაფის საკადრისი დახასიათების შემდეგ, გ. წერეთელი თვითონ იძლევა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების

ზოგად დახასიათებას და როგორც პოეტს ბაირონსა და ლერმონტოვს აღარებს. პოეტის წერილების გამოქვეყნება მას მიაჩნია დიდ მოვლენად, რომლითაც ეს დიდი პოეტი ქართული მწერლობის სადიდებლად, საამაყოდ, მთელი თავისი შინაგანი ბუნებით წარსდგა ქვეყნის წინაშე. „ამ წიგნების შემდეგ ჩვენ თითქოს გავგიცოცხლდა თვალწინ ის დიდი ნიჭისა და აზრის მწერალი, რომლის ცხოვრება აქამდის დაკარგული გვეჩნდა. ბარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. ბარათაშვილი“.

50. ს. მ. [სერგეი მესხი]. ბიბლიოგრაფია — კრებული — წიგნი პირველი, 1873 — დროება, 1873, № 19; სერგეი მესხი, თხზულებანი სამ ტომად, შედგ. იოსებ ბოცვაძის მიერ, მისივე წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1962, გვ. 349—352.

ბიბლიოგრაფიაში განხილულია ნ. ბარათაშვილის წერილები მაიკო ორბელიანისადმი (ოთხი წერილი). ეს წერილები ილია ჭავჭავაძეს მიუწოდებია კირილე ლორთქიფანიძისათვის „კრებულში“ დასაბეჭდად შემდეგი წერილით: „ძნაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად. შეუშლელად და შეუმცდარად დაპბეჭდავ. მართლ წერა და ჩიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულ ასოებს არც ნ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა.“

გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი ნ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი. გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივეცემულმა პირმა ქართული ენის და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამ გვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მნიშვნელობისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგ წიგნების პატივეცემულს გარდმომცემელსა“.

ამგვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „Мир управляется слабостями людскими“. (ი. ჭავჭავაძის წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949, გვ. 311; ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 472—473).

სერგეი მესხი ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ბარათაშვილის აღნიშნული წერილების უდიდეს მნიშვნელობას ლიტერატურის ისტორიისათვის. იგი წერს: „ამ წიგნებში... ნათლად იხატება ის სულის ბრძოლა, ის „ობლობა“ და ჰაზრის თანამოზიარის ნაკლებობა, რომელიც ასე მშვენივრად გამოხატულია მომეტებულ ნაწილ იმის ლექსებში“...

51. დღიური. — დროება, 1875, № 143.

მოთავსებულია ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვისა და გამოცემის შესახებ.

52: განცხადება. — გუთნის დედა, 1875, № 21.

ექვთიმე ხელაძის სტამბაში იყიდება ნ. ბარათაშვილის ლექსები.

53. დღიური. წინასიტყვაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გამომცემლებისაგან. — დროება, 1876, № 143.

გამოქვეყნებულია წინასიტყვაობა, რომელიც ერთვის ნ. ბარათაშვილის ლექსთა 1876 წლის გამოცემას. ამ წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ეს ლექსთაკრება ნიკოლოზ მელიტონისძის ბარათაშვილისა გადმოვებუდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელიც ეკუთვნოდა თ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს. ხოლო ოთხი, ბოლოს მოქცეული, ლექსი სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ. მათ შორის „ჩინარი“ ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია. ნაშთებს სამს ლექსზე კი მაგას ვერ ვიტყვით თუმცა ნ. ბარათაშვილის სიტყვის კილო და სიტყვოვლე მართალ გრძნობისა ზედ აჩნევია (ეს ლექსებია: „შეგიშრობ ცრემლსა“, „დამჭროლა ქარმან“, „მაღლი შენს გამჩენს...“ — ნ. ა.) სამწუხაროდ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ერთის დედნის გარდა, ვერსად ვერ ვიშოვეთ სხვა ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ანუ სარწმუნოთა გვაშთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ისე შედარებით შეთანხმებული დაგვებეჭდა.

დავებუდეთ კი ეს წიგნი, მაგრამ მით ჩვენი გულითადი წადილი მართლად არ დაკმაყოფილებულა. ჩვენ გვსურდა ყოველი თხზულება ამა ჩვენის ნიჭიერის პოეტისა, ყოველი ნაწერი, ყოველი მიწერ-მონაწერი შეგვეკრიფა და ამისთანა ზრული წიგნი დაგვებეჭდა, რომ ეს ჩვენი საუცხოვო მწერალი გამოხატულიყო ჩვენი საზოგადოების წინაშე სრულის თავის თვისებითა. ეს წადილი ჩვენი დაბრკოლდა მით, რომ ვერსად ვერ ვიხილეთ ვერც სრული თხზულება ნ. ბარათაშვილისა და ვერც სრული და ჭეშმარიტი ამბავი მისის ყოფა-ცხოვრებისა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენის ქართულის სიტყვიერების მოყვარენი ამაში შეგვეწევიან და ვისაც რა ეგულება სადმე ნ. ბარათაშვილის თხზულება, თუ ნაწერი რამე, ანუ მის ყოფა-ცხოვრებაზე ცნობა, გადმოგვცემს ჩვენ რომ დღეს არა, საკვლავოდ მაინცა შესაძლო გვექნას წარმოუდგინოთ ქართველობას მისის ღირს-სახსოვრის პოეტის სრული თხზულება და შესაბამი ბიოგრაფია“.



54. თ. შ. [გიორგი თუმანიშვილი]. ქართული მწერლობა — ლექსნი თქმულნი ნ. ბარათაშვილისაგან, 1876 წ. — დროება, 1876, №№ 60, 61; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, — II, გვ. 274—280.

რეცენზიაში ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის პოეზიის დიდ პოპულარობაზე, აღნიშნავს რომ პოეტის ლექსების წიგნი მოკლე დროში გაიყიდა და საჭიროა ახალი გამოცემა. ასევე საჭიროა გამოიცეს პოეტის ბიოგრაფია და ა. შ. ლაპარაკობს რა პატრიოტულ მოტივზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, ავტორი წერს: „პატრიოტიზმი პოეტისა არ ჰგავს იმ პირუტყვეულ პატრიოტიზმს, რომელიც კაცს თავის სამშობლოს სიყვარულის გამო აძლევს სხვებს; იმ პატრიოტიზმს, რომელიც უნერგავს კაცს ჰაზრს, რომ ვინც შენ ხალხს არ ეკუთვნისო, გაქლიტე და გაპრისეო“.

55. ნიკოლაძე ნიკო. Николай Бараташвили. (Стихотворения Н. Бараташвили. Тифлис. Типография Е. Хеладзе 1875.) (на грузинском языке). — Тифлисский Вестник, 1876, № 76.

წერილი დაწერილია რუსულ ენაზე და დამთავრებული არ არის. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ბარათაშვილის პოეზიას, მიიჩნევს მას ნოვატორად რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომ მან შემოქმედებაში ჩააქსოვა ხალხური სიბრძნე და სისადავე, მასში თავი იჩინა რეალისტურმა მოტივმა, პოეტის შინაგან სამყაროში ცხოვრების სინამდვილის არეკვლამ და გარდატეხამ, მდიდარი შინაარსის მაღალ მხატვრულ ფორმაში გადმოცემამ და ქართული ლექსის ახლებურმა ელერადობამ. ავტორი მიმოიხილავს რა ნ. ბარათაშვილის წინაპერიოდის ქართული მწერლობის მდგომარეობას. მის ფონზე წინ წამოსწევს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას და აღნიშნავს: „Понятно, следовательно, какое громадное значение должен иметь в такой литературе талантливый поэт, в первый раз решающийся отразить в своих произведениях жизненные мотивы своего времени и высказывающий в них сомнения души и стремления лучших людей своего века. Такое именно значение имеет в грузинской литературе, по нашему мнению, Николай Бараташвили“.

1877

56. ნიკოლაძე ნიკო. სირაჯ-პოეტი — ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან საიქიოს. — დროება, 1877, № 18; თხზულებანი, ტ. V, 1966, გვ. 51—56.



სატირულ ფორმებში ავტორი ერთმანეთს უღარებს ნ. ბარათაშვილისა და თანამედროვე მწერლის ცხოვრებასა და იდეალებს.

57. ჩვენ გვიოხრეს... — დროება, 1877, № 17.

ცნობა ნ. ბარათაშვილის ლექსების სომხურად თარგმნის შესახებ.

58. ისყიდება... — ივერია, 1877, № 44.

განცხადება ნ. ბარათაშვილის ლექსების წიგნის გამოსვლის გამო.

## 1878

59. ძამსაშვილი კ. — ივერია, 1878, № 18.

კორესპონდენციაში ჩართულია ნ. ბარათაშვილის სტრიქონები ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“.

60. ჩვენ შევიტყვეთ... — დროება, 1878, №№ 136, 138.

ცნობა, რომ მთლიანად გაიყიდა ნ. ბარათაშვილის ლექსების წიგნი და საჭიროა ახალი გამოცემა.

## 1880

61. ახალი ამბები. დროება, 1880, № 228.

გამოქვეყნებულია ზ. ჭიჭინაძის თხოვნა, რომ თუ ვისმეს აქვს მიაწოდონ ნ. ბარათაშვილის სურათი.

62. ერისთავი რაფიელ (ნ. ბარათაშვილი). Обзор 1880, № 339; ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, № 25.

ავტორი ლაპარაკობს 1879 წ. ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემაზე. ახსიათებს პოეტის შემოქმედებას, აძლევს მას დიდ და მაღალ შეფასებას. სანიმუშოდ მოჰყავს მის მიერვე თარგმნილი ლექსი („მადლი შენს გამჩენს...“). იგი წერს: „უჭვი არ არის, რომ განსვენებული ნ. ბარათაშვილი იყო დამოუკიდებელი, დიდად ნიჭიერი პოეტი, რომელმაც ბევრად წინ გაუსწრო მის თანამედროვე ლექსის მჩმახავეებს“.

რეცენზენტი საყვედურობს გამომცემლებს რომ კრებულს არა აქვს დართული პოეტის ბიოგრაფია.

## 1881

63. ახალი წიგნები. — ივერია, 1881, № 7, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 411—414.

ხელმოუწერელ რეცენზიაში განხილულია მიხეილ თუმანიშვილის რჩეული ლექსები, გამოცემული 1881 წელს. ავტორი ავლებს პარალელს მ. თუმანიშვილისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას შორის და პირველს თვლის ნ. ბარათაშვილის მიმდევრად პოეზიაში.

64. ახალი ამბები. — დროება, 1881, № 214.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დისაგან მიღებული ცნობები პოეტის შესახებ.

65. მამაცოვი კონსტანტინე. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალები ბიოგრაფიისათვის). — დროება, 1881, № 206.

66. მამაცოვი კონსტანტინე. ნამდვილი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებისა. — დროება, 1881, № 232.

67. მამაცოვი კონსტანტინე. კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ. — დროება, 1881, № 237.

(ამ წერილში დაშვებული შეცდომების გასწორება იხ. „დროება“, № 238, გვ. 1).

68. მიქელაძე ვლადიმერ. ჩვენს ლიტერატურაზედ. წერილი 1. ნიკო ბარათაშვილი. — დროება, 1881, № 39.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 351—355.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ „წარსულისა და მომავლის საზღვარზე დაისახა ბრძოლა და ამ ბრძოლამ დაჰბადა ნიკო ბარათაშვილი. მისი ნაწერები შეადგენენ ერთს საქართველოს ისტორიის გვერდს, საცა მჭევრ-მეტყველურად გამოიხატება ჩვენის საზოგადოების მდგომარეობა მეოცდაათე და მეორმოცე წლებში მდგომარე საუკუნისა“...

იგი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს „მერანს“. საერთოდ პოეტის შესახებ წერს: „...ის იყო გამოთქმელი მთელის თავის მამულის კაენისა, დაწულ გრძნობებისა. ქართულ პოეზიაში ჩვენ ვერ გვიპოვნია თხზულება, რომელშიაც ლირიზმი იმ სიმაღლეზედ ასულიყოს, როგორც ნიკო ბარათაშვილის ლექსებში. გრძნობათა სიღრმე, ზედ მიწევნილი ფანტაზიის ძალა და ნათლად აზრის გამოხატვა — აჰა ღირსებანი მისი მუზისა...“

69. მიქელაძე ვლადიმერ. ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებაზე. — დროება, 1881, № 234.

ავტორი წერს: „მთადარ სამმართველოს არხივში, მე ვიპოვე ერთი „საქმე“ (Дело Главного управления за 1830 г., № 1154) რომელშიც ნაჩვენებია, რომ ათას რვაას ოცდა-ათში ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი იყო თორმეტის წლისა, ესე იგი დაიბადა 1818 წელსა. მამასადამე ნ. ბარათაშვილის გარდაცვლილა ოც-და-შვიდის წლისა და არა ოც-და-ცხრისა“.

70. უმიკაშვილი პეტრე. ერთი შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — დროება, 1881, № 208. საბიოგრაფიო მასალა.

71. ერისთავი რაფიელ. ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნო ლექსი. — დროება, 1882, № 121.

ავტორი ლაპარაკობს სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის ქალაქებში ნაპოვნ ლექსებზე და წერილებზე ლევან მელიქიშვილთან.

## 1883

72. დიმიტრიძე ნ. [ნიკოლოზ ყიფიანი]. ახალი მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში (ვუძღვნი ა. მ. ყ.-სას). — დროება, 1883, №№ 87, 88. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, გვ. 528—534.

წერილში განხილულია ქუთაისელი ქალების მიერ გამოცემული კრებული „ქართული ბიბლიოთეკა“. ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილზე და მოაქვს ნაწყვეტები პოეტის ლექსებიდან.

73. ბოსღვეელი [ესტატი მჭედლიძე]. კრიტიკული მიმოხილვა (ბატ. ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდევილი“, „ივერია“ № 11). — გაზ. შრომა, 1883, № 18. ბოსღვეელი, ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებით და საძიებლით, თსუ, 1961, გვ. 228—238.

წერილის ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის პოეზიას და აღნიშნავს: „ჩვენის კლასიკურის პოეტის ნ. ბარათაშვილის „მერანი“ სხვა რა არის, თუ არ ჩამოსხმული „კენესა გულისა“ და „განწირულის სულის კვეთება“, თუ არა მთლად ამ ცხოვრებისადმი გულ-გაცივებულის მამრალი ოხვრა-გოდება?!. ახლა გაიხსენეთ მისივე „სული ობოლი“, გაიხსენეთ მისი მღურვა ამ სოფლისადმი და ჩივილი ცრუ და მუხთალის სოფლის მოძაგება, იმის გულში დასადგურება სევდისა და წყვედიადისა, მისი ობლობა, მწირობა, მიუსაფრობა!..“ ილ. ჭავჭავაძე კი ამანედ შორს მიდის და სრულ უსასოობას ქადაგებსო, ამტკიცებს ავტორა.

74. უჩინარი. საკენკი. — დროება, 1883, № 44.

მოტანილია არტურ ლასტის აზრი ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

75. ჭავჭავაძე ილია. შინაური მიმოხილვა. — ივერია, 1883, № 9. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1955, ტომი V, გვ. 274—292.

ავტორი მიმოიხილავს XIX საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიან წლებს საქართველოში და ლაპარაკობს გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე, რომელიც მაშინდელ „ბურუსიან, მიძინებულს გარემო ჰაერს“ არღვევდა...

წერილი „იურიაში“ გამოქვეყნდა ცენზურის მიერ დამახინჯებულ-  
ლი. მთლიანად და აღდგენილი სახით იგი გამოაქვეყნა პ. ინგოროცემ  
აღნიშნულ გამოცემაში.

76. ზ. [ილია ჭყონია]. სამწიგნობრო შენიშვნა (საერთოდ ქართვე-  
ლი მწერლების და კერძოდ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა შეკრების  
და გამოცემის აუცილებლობა). — დროება, 1883, № 264.

საუბარია მწერალთა სრული კრებულების გამოცემაზე. ავტორი  
წერს, რომ უთუოდ ნ. ბარათაშვილს სხვა ნაწერებიც ექნებოდა და სა-  
ჭიროა მათი გამოვლენაო. „ვინ იცის, — წერს ავტორი — რამდენი  
ამისთანა და ამაზე უკეთესი ნაწარმოები დარჩა უდროვოდ მიცვლილს  
ნიქს ნ. ბარათაშვილისას, და როგორ უწყალოდ ჰხრავს მათ თავვთა  
რაზმი პოეტის ვერ დამფასებელთა კერძო-პირთა სკივრებში“.

1884

77. ბოსლეველი [ესტატე მკედლიძე]. სერგეი მესხის სახსოვრად. —  
დროება, 1884, № 147. ბოსლეველი, ნაწერები, 1961, გვ. 401—404.

ავტორი ახასიათებს ს. მესხის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, ლა-  
პარაკობს საერთოდ საზოგადო მოღვაწის მოვალეობაზე და ამბობს,  
რომ თუ ადამიანს „ძვალსა და რბილში არა აქვს გამჯდარი და თბედ  
გარდაქცეული უკვდავის პოეტის უკვდავი სიტყვები:

აზრც კაცი ვარვა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!

ის კაცი, ვიმეორებ, კრუხივით ვერ დააჯდება თოთხმეტის წლის  
განმავლობაში იმისთანა საზოგადო საქმეს, როგორიც არის ჩვენში  
დღესაც გაზეთის გამოცემა და ლიტერატურის თავის პროფესიად გახ-  
დომა. ამ გვარმა, ასე ვსთქვათ, უმადურმა მოღვაწემ თავის გამოსვლის-  
თანავე სამოქმედოთ უნდა დაიწეროს გულის ფიცარზედ ნ. ბარათა-  
შვილის ნაღვლითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები:

ნუ შეეფარვი, ჩემო მერანო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა.

ნუ შეიბრალებ დაქანცულობით თავ-განწირულსა შენსა

მხედარსა.“...

78. გარეშე მაყურებელი [ესტატე მკედლიძე]. ქუთათური ფე-  
ლეტონი. — დროება, 1884, № 122. ბოსლეველი, ნაწერები, 1961,  
გვ. 376—379.

„ჰეი, ჰეი, ნეტარხენებულო დიდებულო პოეტო ბარათაშვილო!  
შენი წინასწარმეტყველება დახე როგორ სრულდება!.. შენ არ სთქვი  
სოლომონ მსაჯულის პირით, რომ

სახელმწიფოსა იგი ერთობა  
არა რას არგებს, ოდეს თვისება  
ერთა მის შორის სხვა და სხვაობდეს...

დახე. როგორ შეაცვალა გული?! როგორ დამახინჯებულა ჩვენი ტვინი! ვამბობთ, რომ ქართული ენა პურს ვერ გვაჭმევს, ჯიბებს ვერ გაგვიმსებს, და ამიტომ არც საჭირო არის, ესე იგი, იმავე უკვდავის ბარათაშვილის უკვდავი სიტყვებით რომ ვსთქვათ: „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?...“

მაგრამ თუ ეს ასე არის, თუ იმ ერთს ვაყბატონს ბევრი სხვაც ჩემად, თუ აშკარად ბანს აძლევს, რაღა ნება აქვს იმავე პოეტს, როდესაც ამბობს პატარა კახზედ: „აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა და თაყვანსა ჰსცემს შენსა საფლავსა, ცრემლით აღნაგსა...“

79. გუშინდელს „ნოვოე ობოზრენიაში“... — დროება, 1884, № 176.

განხილულია ტხორყევსკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „მერანი“.

80. შინაური ქრონიკა. — დროება, 1884, № 80.

თ. მამუკა ორბელიანის ხელწერილი ნ. ბარათაშვილისათვის ძეგლის ასაგებად შეგროვილი ფულის მიღებაზე.

81. შინაური ქრონიკა. — დროება, 1884, № 244.

ცნობა ნ. ბარათაშვილზე ცნობების შესაკრებად ერთი ახალგაზრდის განჯაში გამგზავრების შესახებ.

## 1885

82. ვაჟა-ფშაველა. სოფელი თიანეთი. — დროება, 1885, № 130.  
ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თსუ, 1967, გვ. 35—37.

ვაჟა კორესპონდენციაში მკაცრად აკრიტიკებს თიანეთის მაზრის ექიმს კ. ბახუტაშვილს, რომელსაც პეტერბურგში გამოქვეყნებულ დისერტაციაში ქ. სტავროპოლის გუბერნიის ქალაქთა სანიტარულ მდგომარეობას როცა ეხებოდა, გამოუყენებია ნ. ბარათაშვილის სტრაქონები. ვაჟა წერს: „ნეტა... ნ. ბარათაშვილის პოეზიის საკუთრთხევლის ცეცხლზედ არ დაეწყო ხელების თბობა. რა დააშავა ნ. ბარათაშვილმა ისეთი, რომ იმისი ცეცხლ-მოდებული სიტყვები: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება“ და სხვ., გამხდარა, ბ-ის დისერტაციის დასკვნის დასამშვენებლად. როგორ შეძრწუნდებოდნენ სიამარეში ნ. ბარათაშვილის ძვლები, თუ კი როგორმე იგრძნობდნენ, რომ უღირსად მედიცინის დოქტორობის მძებნელი ქართველი, რომე-



ლიც ქართულად კირით აგებს ენას, იმეორებს მის, საქართველოს ბედისაგან გამოწვეულ სიტყვებს...“

83. **მთაწმინდელი ზ.** [ზაქარია ჭიჭინაძე]. ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1816—1845. ზ. მთაწმინდელისა. თბილისი, არსენ კალანდაძის სტ., 1885, 40 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფია და ყველაფერი რაც ავტორს პოეტის შესახებ გაუგონია თანამედროვეთაგან. წიგნში მოტანილია ალ. ჩიქოვანის ლექსი, რომელიც ამ უკანასკნელს „ბედა ქართლისას“ მეორე გვერდზე მიუწერია. ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის ნაცნობობაზე გადმოსახლებულ პოლონელ პროფესორებთან და ა. შ. მოყავს განჯაში, ნ. ბარათაშვილის საფლავზე მდებარე ქვის წარწერა: «Здес лежит прах Грузинского князя губернско-го секретаря Николая Мелитоновича Баратова, сканчавшегося во цвете лет на 29 году, 9-го октября 1845 года».

84. **ორი წერილი ნიკ. ბარათაშვილისა.** — დროება, 1885, № 114.

ნ. ბარათაშვილის ორი წერილი მიწერილი გრიგოლ ორბელიანისადმი.

85. **ურბნელი [ნიკო ხიზანიშვილი].** ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. ზ. მთაწმინდელის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, თბ., 1885. — თეატრი, 1885, №№ 6, 7.

რეცენზია ზ. ჭიჭინაძის ნაშრომზე.

86. **შინაური ქრონიკა.** — დროება, 1885, № 114.

ცნობა იმაზედ, რომ ი. მეტნარგიამ იპოვა გრიგოლ ორბელიანის ქაღალდებში ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები.

## 1886

87. **„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“**... — თეატრი, 1886, № 30.

ნ. ბარათაშვილის ლექსს „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, რომელიც გამოქვეყნებულია ამ ნომერში, ახლავს შემდეგი შენიშვნა: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნ. მართა ერისთავის თასზედ და ჯერ არსად დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მაღლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვისურვებთ რომ სხვებმაც მიჰბადონ პატივცემულს კნეინას და ყველა ამისთანა ძველი, დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა გახადონ მკითხველი საზოგადოებათა საკუთრებად, რითაც ისინი დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენს მწერლობას და მომავალ შთამომავლობას“.

88. **ახალი ამბავი.** — ივერია, 1886, № 35.

გამოქვეყნებულია ცნობა ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემის გამო.

89. ახალი ამბავი. — ივერია, 1887, № 13.

ცნობა ნ. ბარათაშვილის სურათის პოვნის შესახებ.

## 1888

90. ახალი ამბავი. ივერია, 1888, № 65.

ცნობა ი. მეუნარგიას მიერ ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიების შედგენის შესახებ.

91. სანდალა [ზაქარია ჭიჭინაძე]. წერილები ქართულ მწერლობაზე. თბილისი, 1888 წ., ექვთიმე ხელაძის სტ., 79 გვ., საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, თბ., 1924, ტ. 2—3, გვ. 23—27. ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის პოეზიას.

## 1889

92. ახალი ამბავი. — ივერია, 1889, 818.

ცნობა იმაზედ, რომ იონა მეუნარგიამ შეადგინა ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია.

93. ვეზირიშვილი მ. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. — ივერია, 1889, №№ 247, 249, 250, 251.

მ. ვეზირიშვილის წერილში ვრცლადაა განხილული ნ. ბარათაშვილის პოეზია, მისი ცალკეული მოტივები, მისი „ხასიათი და შინაგანი ძალა“. ავტორი დაწვრილებით ჩერდება პოემაზე „ბედი ქართლისა“. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ლექსს „მერანი“ და ამბობს: „მთელს მსოფლიო პოეზიაში იქნება ბევრი არ მოიპოვებოდეს ბადალი ამ ლექსისა“.

## 1890

94. ჭიჭინაძე ზ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1890, № 129.

ნ. ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვის გამო.

## 1891

95. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 134.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსასვენებლად ფულის შეგროვება ახალ-ქალაქში.

96. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 188.

ცნობა ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის ივ. რატიშვილის მიერ შეგროვილი ფულის შესახებ.

97. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 259.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შემოწირულებანი ქ. განჯაში.

98. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 199.

ცნობა იმაზედ, რომ კ. მალრაძემ ნოტებზე გადაიღო ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“.

99. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 145.

ცნობა, რომ გ. არეშიძესთან აღმოჩნდა ზ. ანტონოვის დაკარგული პიესების ხელნაწერები და ნ. ბარათაშვილის ლექსების რვეული.

100. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 137.

ცნობა ნ. ბარათაშვილის სურათისა და მისი ლექსების რვეულის შესახებ.

101. ახალი ამბავი. — ივერია, 1891, № 120.

ცნობა ნ. ბარათაშვილის საფლავის შესახებ ქალაქ განჯაში.

102. ბარნოვი ვ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 129.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსასვენებლად შეგროვილი ფულის შესახებ და შემოწირველთა სია.

103. ბარათაშვილის გვამის ტფილისში გადმოტანის შესახებ. — ივერია, 1891, № 125.

104. გვარამაძე კონსტ. ივ.-ძე. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 178.

შემოწირულებანი ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის და შემოწირველთა სია.

105. გოდერძიშვილი აბ. და ჯალდასტანოვი ნიკო. წერილი რედაქციის მიმართ.

ნ. ბარათაშვილის სახელობის ფონდისათვის შემოწირულებანი.

106. მანსვეტოვი ი. [იაკობ მანსვეტაშვილი]. უპატრონო საფლავი. — ივერია, 1891, № 120.

ავტორი აღნიშნავს, რომ მოუვლელი და გაპარტახებულია ნ. ბარათაშვილის საფლავი განჯაში.

107. მასხულია ვასილ. რკინისგზის მოსამსახურე ქართველთა საყურადღებოდ. — ივერია, 1891, № 174.

ავტორი მოუწოდებს რკინიგზაში მომუშავე ქართველებს მონაწილეობა მიიღონ ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან სამშობლოში გადმოსვენებაში და შეაგროვონ ფული პოეტის სახელობის ფონდისათვის.

108. მურვანიშვილი დავით. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 161.

დაბა სურამში ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილ შემოწირულებათა სია.

109. კაციტაძე ივანე. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 129.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილ შემოწირულებათა სია.

110. „ნოვოე ობოზრენიეს“ მეტად საყურადღებო წერილი მოხვლია... — ივერია, 1891, № 109.

განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის მდგომარეობის შესახებ.

111. პარმენი. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 135.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის ახალქალაქში შეგროვილი შემოწირულებანი.

112. პეტრიაშვილი ნ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 144.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ.

113. რატიშვილი ივანე. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 188.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის ქ. ბაქოში შეგროვილი ფული და შემომწირველთა სია.

114. უმიკაშვილი პეტ. [რე] ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოსვენება. — ივერია, 1891, № 114.

115. „ქართულ წიგნების მბეჭდავს საზოგადოებას“... — ივერია, 1891, № 119.

ცნობა აღნიშნული საზოგადოების განზრახვაზე, რომ გამოსცემს ნ. ბარათაშვილის ნაწერებს ი. მეუნარგიას მიერ შედგენილ პოეტის ბიოგრაფიის დართვით.

116. ქიტიაშვილი ივანე. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 264.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის სიღნაღში შეგროვილი შემოწირულებანი და შემწირველთა სია.

117. ფ-ლი ა. [ალექსანდრე ყიფშიძე]. ტფილისი, 8 ივლისს. — ივერია, 1891, № 143.

ნ. ბარათაშვილის გვამის განჯიდან გადმოსვენების განზრახვის შესახებ.

118. შვლიევი ი. მაჭავარიანი ა. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 189.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილი შემოწირულებანი.

119. ჩვენ მოგვივიდა... — ივერია, 1891, № 2.  
ხელმოუწერელ რეცენზიაში ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვი-

ლის ლექსების მეოთხე (ჰიჰინაძისეულ) გამოცემას და ზ. ჰიჰინაძეს ბრალს დებს ცალკეულ საკითხთა დაუსაბუთებლობაში.

120. **ცაგარელი ა.** „უპატრონო საფლავის“ შესახებ. — ივერია, 1891, № 125.

გამოხმაურებაა ი. მანსვეტაშვილის წერილზე („ივერია“ № 120). ავტორს მოყავს ნ. ბარათაშვილის ნათესავეების დავით ბარათაშვილისა და გიორგი ორბელიანის აზრი მანსვეტაშვილის წერილზე.

121. **ჭავჭავაძე ირაკლი.** წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 146.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილი შემოწირულებანი და შემომწირველთა სია.

122. **ჰიჰინაძე ზ[აქარია].** წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1891, № 3.

„ივერიის“ მეორე ნომერი გამოქვეყნებულ ხელმოუწერელი რეცენზიის პასუხი. ზ. ჰიჰინაძე აღნიშნავს, რომ რეცენზენტი „ეჭვს აცხადებს ბარათაშვილის ორს ლექსზე, რომელნიც ახლა დაიბეჭდა. ასევე ეჭვით უმხერს ბარათაშვილის სახელობაზედ შეკრებილ 600 მან., რომელიც 1849 წ. შეუკრებიათ და ამ ფულით ბარათაშვილის ძეგლის დადგმა სდომებიათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა...“ და დამატებითი ცნობებით ასაბუთებს თავის განცხადებას.

123. **ჰიჰინაძე ზ[აქარია].** ბარათაშვილის ლექსების რვეული. — ივერია, 1891, № 79—80.

ავტორი აღწერს გ. არეშიძის მიერ ნაპოვნ ნ. ბარათაშვილის ლექსთა ავტოგრაფებს.

1892

124. **ახალი ამბავი.** — ივერია, 1892, № 222.

ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების თაობაზე განჯაში გაემგზავრა ნ. ერისთავი.

125. „ამჟამად ტფილისის ერთს სტამბათაგანში“... — ივერია, 1892, № 46.

ცნობა, რომ იბეჭდება ა. ბიანკის მიერ რუსულად ნათარგმნი ნ. ბარათაშვილის ლექსები.

126. **ბოლქვაძე მალაქია.** წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1892, № 27.

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილი თანხის შესახებ.



127. დოლიძე სოლომონ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1892, № 213.

შემოწირულებანი ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის.

128. მოკლე ბიოგრაფიები ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა. — საქართველოს კალენდარი, 1892.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია მოთავსებულია გვ. 338—346.

129. მძინარაშვილი მიხეილ. პოეტის ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო. — ივერია, 1892, № 223.

130. ფრონელი ა. [ალექსანდრე ყიფშიძე]. ტფილისი, 10 ოქტომბერი. — ივერია, 1892, № 215.

ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების საკითხს.

131. ყიფშიძე ალ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1892, № 220.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო.

132. \*\*\* [ილია ჭავჭავაძე]. — ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი, ერთის წერილიდამ ამოღებული). — ივერია, 1892, № 77.

ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953, გვ. 210—220.

ეს ნაწილი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ნაშრომის — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ — ს მეოთხე თავს. მასში ვრცლადაა განხილული ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. ილია წერს: „ნ. ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თავყანას სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში... რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობა“.

ილიას დაკვირვებით „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოსი“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიტოცხლის აღმფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრთ მიჰყვება ჩვენს პოეტსა „მერანში“ და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვაფი ექვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუქარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთის-სოფლად“.



133. ზ. ჭ. [ჯაქარია ჭიჭინაძე]. ვახტანგ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა). ტფილისი, მ. დ. როტინოვის სტ., 1892, 40 გვ.

წიგნში ავტორს მოყავს ვახტანგ ორბელიანის შეხედულებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

1893

134. აბაშიძე სამსონ. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი. — მწყემსი, 1893, №№ 5—6. სამსონ აბაშიძე, ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თსუ, 1957, გვ. 95—96.

ავტორი გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის მოგონებას პოეტის მოწაფეობის პერიოდზე.

135. ალექსანდრე ებისკოპოზი. სიტყვა ალექსანდრე ებისკოპოზისა ნ. ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე. — კვალი, 1893, № 13; ივერია, 1893, № 92.

136. ალექსიევ-მესხიევი ნიკოლოზ. შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა. — ივერია, 1893, № 130.

1884 წელს ვახეთ დროებაში (№ 80) უკვე გამოქვეყნებული ცნობის გამეორება იაკინთე დიმიტრის ძე ალექსიევ-მესხიევის, მამუკა (მაკარ) ჯამბაკურ-ორბელიანის, ალექსანდრე ონიკოვის და ალექსანდრე თუმანოვის წერილები ნ. ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად ფულის შემოწირულების შესახებ.

წინ უძღვის ავტორის შენიშვნა: „მამაჩემის იაკინთე დიმიტრის ძე ალექსიევ-მესხიევის ქალაქებში ეს ვბოვე“.

137. ახალი ამბავი. — ივერია, 1893, № 32.

ცნობა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ.

138. ახალი ამბავი. — ივერია, 1893, № 84.

ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსასვენებლად განჯაში გაემგზავრენ პოეტის ახლობლები და დაკვეთილია გვირგვინები პოეტის კუბოს შესამკობად.

139. ახალი ამბავი. — ივერია, 1893, №№ 88, 103, 113.

შემოწირულებანი ნ. ბარათაშვილის სახელობის ფონდისთვის.

140. ახალი ამბავი. — ივერია, 1893, № 100.

ალ. ხაჩანაშვილის მიერ მოსკოველ ქართველთა შორის ნ. ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად შეგროვილი თანხის მიღება.

141. ნ. ბარათაშვილის წერილები ჯაქარია ორბელიანთან. — კვალი, 1893, №№ 7, 10.

142. ნ. ბარათაშვილის წერილი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილთან. — კვალი, 1893, № 19.

წერილებს ერთვის პ. უმიკაშვილის შენიშვნები.

143. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისას... — ივერია, 1893, № 138.

ცნობები სხვადასხვა ქალაქებიდან გვირგვინებისთვის გადმოგზავნილი ფულის დანიშნულებისამებრ გადაცემის შესახებ.

144. ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავება. — კვალი, 1893, № 18.

აღწერილია პოეტის ნეშტის დაკრძალვის ცერემონიალი.

145. ბაქრაძე დავით. სიტყვა დავით ბაქრაძისა (ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენელი). — კვალი, 1893, № 18; ივერია, 1893, № 86.

სიტყვა წარმოთქმულია ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვისას.

146. ბაქრაძე ნიკო. — კვალი, 1893, № 19.

სიტყვა თქმული ნიკო ბაქრაძის მიერ ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოტანის დროს ქ. განჯას.

147. გაბაშვილი ეკატერინე. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 85.

წერილი ეხება ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვას და ქართველი ქალების მიერ ფულის შეგროვებას ნ. ბარათაშვილის სახელობის ფონდისთვის ღარიბ ლიტერატორთა დასახმარებლად.

148. განჯის რკინის გზის ქართველობა. — ივერია, 1893, № 88.

რედაქციის საშუალებით განჯის ქართველი რკინისგზელები მადლობას უხდებიან ი. გ. გლადკოვსა და მ. ა. კისელიოვს ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების დროს რკინისგზის მოსამსახურეთა სამუშაოდან განთავისუფლებისათვის.

149. განცხადება. — ივერია, 1893, № 228.

დღეს, 24 ოქტომბერს დიდუბის ეკლესიაში... პანაშვიდი... ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად.

150. განცხადება. — ივერია, 1893, №№ 79, 80, 81, 82, 83, 84.

„კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილის ნეშტი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

151. განცხადება. — ივერია, 1893, № 84.

კვირას, 25 აპრილს, ბ. ა. ავალიშვილისა გაკმართავს წარმოდგენას..., დასასრულ დივერტისმენტი: წაკითხული იქნება ნიკ. ბარათაშვილის ლექსები.

152. დამსწრეთაგანი. წერილი რედაქციის მიმართ. ივერია, 1893, № 277.

ცნობა ქ. ბათუმში ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შეგროვილი თანხის შესახებ.



153. დასაფლავება დიდუბეში ნ. ბარათაშვილის ნეშტისა. ივერია, 1893, № 86.

ი. ჭავჭავაძის, ლ. ლოლუას და დავით ბაქრაძის სიტყვები; ნინო ორბელიანის და ბიძინა ჩოლოყაშვილის მიერ თქმული ლექსები, თ. თუმანიანის მიერ სომხურად წარმოთქმული ლექსის თარგმანი.

154. დებეშა (საკუთარი კორესპონდენტისაგან). — ივერია, 1893, № 85.

ცნობა განვიდან ნ. ბარათაშვილის სამარის გათხრის შესახებ. პოეტის ნეშტის გადმოსვენების გამო თანაგრძნობის დებეშები დუშეთიდან.

155. დებეშები. — ივერია, 1893, № 86.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო მიღებული დებეშები, მათ შორის ფოთიდან იონა მეუნარგიასი, კავკავიდან ლუარსაბ ბოცვაძისა და ყვირილადან თეოფილე ხუსკივაძისა.

156. ერისთავი დიმიტრი. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 93.

ნ. ბარათაშვილის სახელობის სალიტერატურო ფონდისათვის შეგროვილი შემოწირულებანი.

157. თუმანიოვი-წერეთლისა ანასტასია. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 103—104.

წერილი ეხება ნ. ბარათაშვილის ძეგლისთვის შემოწირულ ფულს და ქუთაისელ ახალგაზრდათა მიერ გვირგვინისთვის გამოგზავნილი თანხიდან 15 მანეთის გადაღებას ძეგლისათვის.

158. თუმანიანცი ოქსანეს]. სიტყვა ლექსად თქმული სომეხის გაზეთის „მურჩის“ წარმომადგენლის თუმანიანისა (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე). — კვალი, 1893, № 18.

ლექსად ნათქვამ სიტყვაში პოეტი ამბობდა: „გული დაიმშვიდე და ინუგეშე, მოწყენილო საქართველოვ! რად დაგლონებია ვაჟკაცური სახე? განა განსვენებულის პოეტის ნეშტის ხელის შეხებამ განაახლა წყლულნი შენის გულისა? ნუ თუ შენს დაობლებულს სულს ამინებს ბნელი სამარე პოეტისა?.. დიად, შენ საუკუნოდ ხელმეორედ ესალმები შენს მგოსანს. მაგრამ მისი მგოსნობით გამოწვეული გრძნობა არც სამარეში ჩავა და არც დასასრული მიეცემა. იგი გრძნობა მუდამ ცხოველი იქნება და მოვა დრო, როცა განკურნავს შენს წყლულს. შენ კი მრავალტანჯულის ერის საიდუმლო გულისნადების მგოსანო, შენ, რომელიც მუდამ სწუხბდი ცეცხლაგზნებულის გულითა და სულით, საუკუნოდ განგისვენოს უფალმა“.

159. იოსელიანი გ. ამბავი ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოტანისა განვიდან. — კვალი, 1893, №№ 18, 19; ცხოვრება, 1917, № 1.

ავტორი შედიოდა იმ სამეულში (გ. ორბელიანი, ალ. ჭყონია, გ. იოსელიანი) რომელთაც წკ გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიანდო განჯაში გამგზავრება, ნ. ბარათაშვილის ნეშტის პოვნა და გადმოსვენება. წერილში აღწერილია თუ როგორ იპოვეს პოეტის საფლავი და როგორ გადმოსვენეს ნეშტი თბილისში.

160. იანჭოშვილი მ. შენიშვნა. — კვალი, 1893, № 19.

ცნობა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთაგან ნ. ბარათაშვილის კუბოს შესამკობად გვირგვინისათვის ფულის შეგროვების შესახებ.

161. კავკავი. — ივერია, 1893, № 92.

კავკავში გადაიხადეს ნ. ბარათაშვილის მოსახსენებელი პანაშვიდი.

162. კიევი. — ივერია, 1893, № 92.

პოეტის ნათესავის თ. ორბელიანის დასწრებით კიევის უნივერსიტეტის უკლესიაში გადაიხადეს ნ. ბარათაშვილის პანაშვიდი.

163. ლოლუა ლ. სიტყვა თქმული ქუთაისის ქალაქის თავის ლ. ლოლუასი (ნ. ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე). — კვალი, 1893, № 18; ივერია, 1893, № 86.

164. მ. პ. წერილი განჯიდან. — ივერია, 1893, № 88.

წერილში აღწერილია ნ. ბარათაშვილის ნეშტის პოვნა და გადმოსვენება.

165. მამაცოვი კონსტანტინე. ნ. ბარათაშვილი. კონსტანტინე მამაცოვისა, გამოცემული ზ. ქიქინაძის მიერ, თბილისი, 1893, 16 გვ.

კ. მამაცაშვილის მოგონებას ერთვის ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი: „სულთ ბოროტო“, „შემოღამება შთაწმინდაზე“ (ელეგია), „მირბის მიჰაფრენს...“, „ფიქრი მტკვრის პირზედ“.

ამ წიგნზე რეცენზია იხ. ნ. მთვარელიშვილი, მოამბე, 1894, № 2. ვანყ. II, გვ. 126—129.

166. მათიანე. — კვალი, 1893, № 7.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვის განრიგი, გვირგვინები და მათზე წასაწერი ტექსტი და ა. შ. გამოთქმულია სურვილი, რომ დაწესდეს ნ. ბარათაშვილის სახელობის ფონდი ღარიბი ნიჭიერი ახალგაზრდის უმაღლეს სასწავლებელში გასაგზავნად, აიგოს პოეტის ძეგლი და ა. შ.

167. მეველე [დავით მიქელაძე]. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნეკროლოგი). — ივერია, 1893, № 85.

ნეკროლოგი დაწერილია პოეტის ნეშტის გადმოსვენების გამო.

168. მეუნარგია იონა. ცხოვრება და პოეზია თ. ნ. ბარათაშვილისა (ვუძღვნი თავ. ნიკ. რევაზის-ძე ერისთავს). — ივერია, 1893, №№ 85, 86, 87, 88, 93, 95, 98, 103. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული.



თბ., 1922, გვ. V—LIX; ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ., 1941; გვ. 167—202; „ცხოვრება...“ ცალკე წიგნად გამოიცა სოლ. ცაიშვილის რედაქციით, 1945.

169. მასხულია ვასილ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 92.

ნ. ბარათაშვილის სახელობის სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ შეგროვილი შემოწირულებანი.

170. მატიანე. — კვალი, 1893, № 17.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენება განჯიდან თბილისში.

171. მრევლიშვილი გ. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 146.

პ. მიქელაძისა და ნ. აბაშიძის თაოსნობით ქ. ართვინში შეგროვილი შემოწირულებანი ნ. ბარათაშვილის სახელობის სალიტერატურო ფონდისთვის.

172. მოსკოვი. — ივერია, 1893, № 113.

ნ. ბარათაშვილის სახელზე შეგროვილი თანხის განაწილების შესახებ.

173. მძინარიშვილი მ. სიტყვა თქმული დეკანოზის მ. მძინარიშვილის მიერ ნ. ბარათაშვილის ნეშტის წინაშე განჯაში. — კვალი, 1893, № 109.

174. ნარკვევი (მ. ვეზირიშვილის წერილებიდან. „ივერია“, 1889, №№ 247, 249, 250, 251). „ივერია“, 1893, № 85.

175. ნიკოლაძე ნიკო. ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრი პოეტ ნ. ბარათაშვილისა და იმის პოეზიაზე („Н. Бараташвили, 1876, № 76). — ივერია, 1893, № 86.

176. თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი [ბიოგრაფია]. — მწყემსი, 1893, № 8.

177. ორბელიანი ნინო. დასაფლავება დიდუბეში ნ. ბარათაშვილის ნეშტისა. — ივერია, 1893, № 86.

178. პაატა [მიხეილ ნასიძე]. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. — ივერია, 1893, № 85.

კრიტიკულ წერილში მოკლედ განხილულია პოეტის შემოქმედება.

179. უმიკაშვილი პ. ნ. ბარათაშვილის გვამის ფაღმორტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე. — კვალი, 1893, № 3.

ავტორს მოჰყავს მთლიანად ლ. მელიქიშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც ფაღმორცემულია ნ. ბარათაშვილის გარდაცვალება და ამით გამოწვეული დიდი მწუხარება.

180. ფოთი. — ივერია, 1893, № 90.

ცნობა გრიგოლ ეპისკოპოსის მიერ ნ. ბარათაშვილის მოსახსენებელი პანაშვიდის შესახებ და გიორგი ორბელიანისადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსი.

181. ყიფიანი პავლე. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება). — კვალი, 1893, № 17.

182. შესახებ ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა. — ივერია, 1893, № 130.

183. ჩვენ მივიღეთ... — ივერია, 1893, № 66.

კიევის ქართველ სტუდენტებისაგან ფული და თხოვნა რათა შეამკონ გვირგვინით ნ. ბარათაშვილის კუბო ნეშტის ვადმოსვენების დროს.

184. ჩვენ მივიღეთ... — ივერია, 1893, № 82.

მოსწავლეთა შორის შეგროვილი ფული ნ. ბარათაშვილის ფონდისთვის.

185. ჩვენ მივიღეთ... — ივერია, № 89.

ნ. ბარათაშვილის დებისა და ნათესავების სამადლობელი წერილი პოეტის პატივისმცემლებისადმი.

186. ჩვენ მივიღეთ... — ივერია, № 145.

ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შემოწირულებანი ქ. ართვინიდან.

187. ცაგარელი ალექსანდრე. — პროფესორ ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე (ამოღებული გაზ. „დროებიდან“, 1870, № 3). — ივერია, 1893, № 85.

188. ცნობა. — ივერია, 1893, № 84.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის ვადმოსასვენებლად იანჯაში გამგზავრება; ივერიის რედაქციაში მიღებული სამგლოვიარო დეპეშები.

189. ცნობა. — ივერია, 1893, № 92.

კონსტანტინე მამაცაშვილის წერილი ნ. ბარათაშვილზე.

190. ცხვილოელი პ. [პოლიექტორ კარბელაშვილი]. ნიკოლოზ [ტატო] ბარათაშვილი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის IV კლასში. — ივერია, 1893, № 79.

ავტორი მოგვითხრობს პოეტის მოწაფეობის დროინდელ ცელქობებს; ბარონ როზენის აბუჩად ამგდები წერილის შეთხზვას და ამისთვის მის მკაცრ დასჯას.

191. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ... — ივერია, 1893, №№ 97, 105.

განცხადება ნ. ბარათაშვილის თხუთღებათა გამოცემის შესახებ.

192. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ... — ივერია, 1893, № 123.

ცნობა, რომ ამ საზოგადოებამ ნ. ბარათაშვილის შემკვიდრეთაგან მიიღო პოეტის ნაწერების გამოცემის უფლება. საზოგადოება მიმარ-

თავს ყველას თხოვნით, რომ თუ ვისმეს აქვს ნ. ბარათაშვილის გამო-  
უქმეყნებელი ლექსები, წერილები ან სხვა რაიმე ქალაქდები, ათხო-  
ვონ დროებით.

193. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების... — ივერია,  
1893, № 235.

ცნობა, რომ საზოგადოების ბიბლიოთეკამ მიიღო შემოწირულე-  
ბანი და მათ შორის არის ნ. ბარათაშვილის ხელნაწერები.

194. წერეთელი აკაკი. სიტყვა თ. აკაკი წერეთლისა (ქუთაისის  
თავად-აზნაურობის წარმომადგენლისა) ნ. ბარათაშვილის ნეშტის და-  
საფლავებაზე. — კვალი, 1893, № 18; ივერია, 1893, № 92. აკაკი წე-  
რეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი  
XIII, თბილისი, 1961, გვ. 61—62.

„... არავის გეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათა-  
შვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველს გული და ისე ხშირი, რო-  
გორც თვით მგოსნის მთელი საქართველოსადმი სიყვარულით ავსე-  
ბული გულის-ძგერა. ეს ადგილი არის ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა  
დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელს საქართველოს სხივი ჰფინოს...“

...მოესულვართ იმერეთით, რომ, ნიშნათ სამარადისო ძმობისა და  
განუყრელი ერთობისა, დავადვათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს,  
გვირგვინი შეკონვილი პურის თავ-თავისაგან საგულისხმოდ მისა, რომ  
მგოსანი იყო უბირველესი მთესველი გონებრივი ნაყოფისა, არა მარ-  
ტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს  
ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად  
დაუფიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

195. წერეთელი აკაკი. შავი ფიქრები (ნ. ბარათაშვილის დასაფ-  
ლავების გამო). კვალი, 1893, № 18; თხზულებანი, ტ. XIII, 1961,  
გვ. 63—64.

ლაპარაკობს სიცოცხლეში მოღვაწეთა დაუფასებლობაზე და წერს:  
„ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს მოღვაწეებს უკანასკნელ სურ-  
ვილს მაინც ვუსრულებდეთ და ნაცვლად იმ ძვირფას გვირგვინებისა,  
რომელსაც თავზედ ვაყრით, თუ მაინცადამაინც არ მოგვიშლია, მხო-  
ლოდ ცარიელი, უბრალო რამე ნიშანი გვირგვინისა მიუძღვნათ ხოლმე  
და ფულები კი, რომელიც ასე ტყუილა იკარგება, დავდვით ფონდათ  
მომავალი მოღვაწეებისა, რომ მათ სიცოცხლეშივე დაეხმაროს ხოლმე  
საზოგადოება...“

196. წერეთელი გიორგი. სიტყვა გ. წერეთლისა (ქალ. ქუთაისის  
წარმომადგენლისა) ნ. ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე. —  
კვალი, 1893, № 18; ივერია, 1893, № 93.

გ. წერეთელი ასე მიმართავს პოეტის ნეშტს: „გიხაროდენ დიდებულო პოეტო, სახელო ივერიისაო, რამეთუ ძვალთა შენთა ბოლოს განისვენეს!.. სამშობლო მიწამ გაგიხსნა თავისი მკერდი და შევიტყბო მშობლიურად. შენ, როგორც პოეტი, ...მოველინე ერს წინასწარმეტყველად. პოეტებს შორის მხოლოდ უმაღლესს და უწარჩინებულესს დაპყვება ეს ნიჭი და მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოველინია თავისი ქვეყნის საწინამძღვროდ“.

197. წვრილი ამბები. — კვალი, 1893, № 16.

აღწერილია ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება.

198. წვრილი ამბები. კვალი, 1893, № 19.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემის შესახებ.

199. ჭავჭავაძე ილია. სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე (25 აპრილს, 1893 წელს). — ივერია, 1893, № 86; კვალი, № 18; ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25; ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი III, 1958, გვ. 250—252.

ილია ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის პოეზიის უკვდავებაზე, პოეტის მწარე ბედზე და ამბობს: „...დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნამი ცრემლად ზედ აღინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.“

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითად იმისა, რომ ჩვენი ერი აღმადლებულა სულითა და გულითა...

... ვაპირებთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში ალაგო.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

... მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“.

200. კრელაშვილი სტეფანე. ქართველთა შორის... — ივერია, 1893, № 136.

კორესპონდენციაში ავტორი მოკლედ ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე.

201. **ქუონია ალექსანდრე**. როგორ ვიპოვნეთ ნეშტი ნ. ბარათაშვილისა. — ივერია, 1893, № 87.

202. **ხახანაშვილი ალექსანდრე**. წერილი მოსკოვიდგან. — ივერია, 1893, № 113.

ცნობა, რომ მოსკოვში გადაიხადეს ნ. ბარათაშვილის პანაშვიდი, ქართველთა შორის შეგროვდა ფული პოეტის კუბოს გვირგვინით შესამკობად და მისივე ძეგლისათვის.

203. **ხუნდაძე სილოვან**. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1893, № 84.

ნ. ბარათაშვილის გვირგვინისა და ძეგლისთვის ფულის შეგროვება ქუთაისში.

204. **ჰაზირა [ა. აბრამოვი]**. ჰაზირას წერილი მის ამხანაგებთან (ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების გამო). — კვალი, 1893, № 18.

აღწერილია ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, ის დიდი მწუხარება და პატივისცემა რაც გამოხატა ქართველმა ხალხმა პოეტისადმი. ავტორის აზრით ეს დიდი მაგალითია ახალგაზრდობისათვის და წერს რომ „ეხლა კი აღარ მგონია, რომ ჩვენმა ახალმა თაობამ დაზოგოს თავის შრომა ქვეყნისათვის“.

## 1894

205. **ვეზირიშვილი ნიკოლოზ**. წერილი რედაქციის მიმართ. — ივერია, 1894, № 54.

ნ. ბარათაშვილის ფონდისთვის ფულის შეგროვების შესახებ.

206. **მთვარელიშვილი ნ. თ. ნ. ბარათაშვილი**, კონსტანტინე მამაცოვისა და რამდენიმე ლექსი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ, ტფილისი, 1893 წ. — მოამბე, 1894, № 2, განყ. II.

გადმოსცემს შინაარსს, იწონებს გამოცემას და წერს: „ვისურვით, რომ კეთილსა და სასარგებლო საქმეში მრავალი წამბაძველი გამოსჩენოდეს ჩვენს პატივცემულ მოხუცს და მრავალ სხვისთვისაც აღდებინოს კალამი ამგვარის მოგონების გადმოსაცემად, რაიც ფრიად საჭირო საგნად უნდა იყოს მიჩნეული“...

207. **ნა-ლი [ალექსანდრე ნანიშვილი]**. სალიტერატურო შენიშვნები. — მოამბე, 1894, № 7, განყ. II.



ავტორი უხედა ნ. ბარათაშვილის ნემტის დაკრძალვაზე აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

208. ხერხეულიძე ბარბარე. „27-ს დეკემბერს“... — ივერია, 1894, № 5.

სოფელ საციხურში ნ. ბარათაშვილის ფონდისთვის გამართული ლატარია და მონაწილეთა სია.

## 1895

209. აბაშიძე კიტა. ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში. — მოამბე, 1894, № 12; 1895, №№ 1, 2, განყ. II. ცალკე წიგნად გამოვიდა 1919 წ., ქუთაისი, გამომცემლობა „აკ-სიმ-კოლი“.

წიგნში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

210. ახალი ამბავი. პანაშვიდი ნ. ბარათაშვილის საფლავზე. — ივერია, 1895, № 224.

211. ახალი ამბავი. შეკითხვა ნ. ბარათაშვილის ძეგლის შესახებ. — ივერია, 1895, № 238.

212. ერეკლე მეფე დასურათებული ჩვენი პოეტების მიერ. — ივერია, 1895, №№ 195, 196, 197.

მოტანილია სტრიქონები ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან.

213. კარიკაშვილი დავით და თაყაიშვილი ექვთიმე. „მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო რედაქტორო!“ — კვალი, 1895, № 47.

ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების გამოცემაზე ი. ფანცხავას მიერ დაწერილი რეცენზიის საპასუხო წერილი. ავტორები ამართლებენ გამოცემაში პოეტის ენის ნორმების დაცვის თავიანთ პრინციპს. საყვედურობენ რეცენზენტს, რომ მას გულდასმით არ წაუკითხავს წიგნი და ზერელედ ლაპარაკობს.

214. სხვადასხვა ამბები. ნ. ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი წერილების გამოცემის შესახებ. — კვალი, 1895, № 19.

215. სხვადასხვა ამბები. ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემის შესახებ. — კვალი, 1895, № 36.

216. ფხა [იაკობ ფანცხავა]. ნიკ. ბარათაშვილი — ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე, ქმწკგ საზოგადოების გამოცემა. 1895. — კვალი, 1895, № 45.

რეცენზიის ავტორი იწუნებს გამოცემის მეთოდს. მისი აზრით, საჭირო იყო, ვარიანტებიდან ამოკრეფილიყო სწორი წაკითხვანი და ის დაბეჭდილიყო ტექსტში, გასწორებულიყო თვით პოეტის კორექტურული შეცდომები და ა. შ. იგი საყვედურობს გამომცემლებს, რომ

ბრმად გაიმეორეს ერთი ვარიანტის ტექსტი და სხვა ვარიანტების განსხვავებანი მხოლოდ შენიშვნის სახით წარმოადგინეს.

217. ფხა [იაკობ ფანცხავა]. პასუხის პასუხი. — კვალი, 1895, № 48.

ავტორი განმარტავს აკადემიური გამოცემის პრინციპებს და საუბრობს ცალკეულ სიტყვათა დამწერლობაზე.

218. წერა-კითხვის გამავრცელებელი, საზოგადოების წიგნთსაცავს... — ივერია, 1895, № 157.

შემოწირულებანი რაც მიიღო აღნიშნულმა წიგნთსაცავმა. მათ შორის ვალერიან გუნიას მიერ შეწირულია ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის ავტოგრაფი.

219. წერეთელი გიორგი. ორმოცდაათის წლის მიცვალების პანაშვიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის. — კვალი, 1895, № 45.

ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს მიმდინარე წლის 16 ნოემბერს ქართველი საზოგადოების მიერ ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავის აღნიშვნას, როგორც სასურველ ეროვნულ მოვლენას. ლაპარაკობს ქართველი ერის წარსულ ისტორიაზე და მისი აღდგენის რწმენას გამოსთქვამს. ამ რწმენის სიმბოლურ მნიშვნელობას იგი ნ. ბარათაშვილის სახელსა და პოეზიაში ხედავს. მებრძოლი განწყობილების გამოხატულებად მას „მერანი“ მიაჩნია, „ხოლო ბარათაშვილის გარშემო ხალხის თავმოყრა, „მერანში“ გამოხატული ანდერძის ასრულებად“.

## 1896

220. ხომლედი [რომანოზ ფანცხავა]. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. — კვალი, 1896, №№ 22, 24; 1897, №№ 2, 3, 4, 7, 8, 9. ცალკე წიგნად გამოვიდა 1920 წ., ხომლედი, რჩეული ნაწერები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით. გამ. „ცოდნა“, თბილისი, 1963, გვ. 135—196.

ხომლედის ნაშრომი ვრცელი გამოკვლევაა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების. ავტორი განიხილავს პოეტის წინა პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებას, იმ წინამძღვრებს, რამაც წარმოშვა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. ლაპარაკობს რომანტიკული ლირიკისა და საერთოდ რომანტიზმის გარშემო. მისი აზრით „ჩვენში ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ რომანტული მიმართულება გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების ლექსებში ჩანს, ხოლო ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებში ბაირონიზმი გამოიხატება“. ავტორი ნ. ბარათაშვილს

თვლის ახალი ეპოქის დამწყობად ქართულ ლიტერატურაში. განიხილავს მისი შემოქმედების ცალკეულ მოტივებს, პოემას „ბედი ქართლისა“ და ა. შ.

1898

221. აბაშიძე კიტა. — ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან. თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845). — მოამბე, 1898, № 6, განყ. I.

კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ქუთაისი, ტ. I, 1911; კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით, თსუ, 1962, ნ. ბარათაშვილზე ნარკვევი გვ. 63—92.

კ. აბაშიძე თავის წერილებში ქართველ მწერლებზე ხშირად მიმართავს ნ. ბარათაშვილის სახელსა და მის პოეზიას. სპეციალურ წერილში იგი პოეტის შემოქმედებას განიხილავს როგორც ახალ ეტაპს ქართულ მწერლობაში, რომელიც მისმა წინა პერიოდმა მოამზადა. ავტორის აზრით, ნ. ბარათაშვილი არის განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც გენიოსობამდე ამაღლდა „და ეს გენიოსობა, მარტო იმაში კი არ გამოიხატა, რომ ახალი პოეზიის შინაარსი არაჩვეულებრივი ნიჭითა და ტალანტით აქვს შემუშავებული — ამ შინაარსს გენიოსობის ბეჭედი ასვია ყოველ წვრილმანში..., მისი გენიოსობა არც მხოლოდ იმაში გამოხატულა, რომ რომანტიული ლირიკა მიიყვანა იმ საფეხურამდე, რომლის გადაცილება შეუძლებელი იყო ქართველი პოეტისათვის. არა, მან დაუდვა მტკიცე და შეურყეველი საფუძველი მთელ ახალ ქართულ პოეზიას, მან ჩააგდო საფუძველი ახალი რეალური ლირიზმისა — თუ კი რეალური ლირიზმის საგანი შეიცავს სხვისი, ხალხის, ერის გრძნობათა გამოსახვას და არა პოეტის გაზვიადებულ სულის კვეთების გამოთქმას“. ავტორი განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს სიყვარულის მოტივს პოეტის შემოქმედებაში და მეტად საინტერესოდ ასკვნებს იძლევა. ნაშრომში მოცემულია აგრეთვე პოემა „ბედი ქართლისას“ ანალიზი.

222. მეფე ერეკლე, დასურათებული პოეტებისა და სხვათა მიერ. — მწყემსი, 1898, № 1.

მოტანილია ერეკლესადმი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის სტრიქონები.

223. სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშების დამატებითურთ, სახელმძღვანელო წიგნი, შედგენილი არხიმანდრიტის კერიონის და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898.



ნაშრომში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის ლექსებზე, დამატებაში მოტანილია ვრცელი ნაწყვეტები პოემიდან „ბედი ქართლისა“.

1899

224. წ. ვ. [ვასილ წერეთელი]. (სამი პოეტი) კრიტიკული წერილები. — აკაკის თვითური კრებული, 1899, № V, განყ. I; № VI, განყ. I.  
ავტორი თავის წერილებში ეხება ხელოვნებისა და მეცნიერების მსგავსებისა და განსხვავების საკითხებს, ხელოვნურ და არახელოვნურ თხზულებათა განსხვავების არსს და ა. შ. ცალკე განიხილავს გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და ა. წერეთლის პოეზიას, როგორც მაღალხელოვნურს.

1900

225. სხვადასხვა ამბები. — კვალი, 1900, № 15.  
ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე დასადგმელი ძეგლის შეკვეთის შესახებ.

1901

226. გომართელი ივ[ანე]. ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში. — კვალი, 1901, №№ 15, 19; ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად. ვ. წოწელიას რედაქციით, თბილისი, 1966, ტომი I, გვ. 213—229.

ნაშრომში საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე და კერძოდ მისი სევდის გამომწვევ მიზეზებზე. ავტორის აზრით, „ეს სევდა იქიდან წარმოსდგა, რომ ნ. ბარათაშვილი ერთობ ადრე დაიბადა; ის მთელი საუკუნით მაღლა იდგა მაშინდელ საზოგადოებაზე; მისი მისწრაფება, მისი სულისკვეთება არავის ესმოდა, მის წყურვილს მოქმედებისას არავითარი ასპარეზი არა ჰქონდა, — ამიტომაც ის მთელი თავისი ზანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სულიერ ობლობას გრძნობდა...“

1904

227. დიზრაელი. ჩვენი მწერლები და მწერლობა. — მოგზაური, 1904, №№ 7, 8.  
ავტორი განიხილავს გ. ერისთავის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას ზოგად ხაზებში.

228. ქართველი პოეტების რჩეული ლექსები (სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით). წიგნი II, ტფილისი, 1904, ქმწკგ საზოგადოების გამოცემა. „შრომა“-ს სტამბა, 156 გვ.

1905

229. ჩიტაძე შიო. სამწუხარო მოვლენა. — ცნობის ფურცელი, 1905, № 2930.

ავტორი ეხება გაზეთ „ვოზროჯდენიეში“ (№ 7) გამოქვეყნებულ წერილს ნ. ბარათაშვილზე (წერილს ხელს აწერს ავტორი ფსევდონიმით — „ქუთაისელი“). შ. ჩიტაძე მკაცრად აკრიტიკებს წერილს, ედავება ავტორს საერთოდ ნ. ბარათაშვილის პოეზიის და კერძოდ „მერანის“ გაუბრალოებასა და გაგებაში.

230. ვ. ვ. ნიკოლოზ ბარათაშვილის დრო. — მწყემსი, 1905, № 19; ცნობის ფურცელი, 1905, № 2928.

ნარკვევში ავტორი მიმოიხილავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, როცა გამოსვლა მოუხდა და ჩამოყალიბდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი მსოფლმხედველობა.

231. გომართელი ივანე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ივერია, 1905, № 184; რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1966, გვ. 326—327.

კრიტიკულ ნარკვევში ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას, მსგავსებასა და განსხვავებას ბაირონსა და ქართველ პოეტს შორის, ნ. ბარათაშვილის პოეზიის უმთავრეს მოტივებს და ჩერდება XIX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

232. ი. ე. [იროდიონ ევდოშვილი]. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის კურთხევა. — ივერია, 1905, № 185.

233. \*\*\* ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ცნობის ფურცელი, 1905, № 2928.

მოკლე ბიოგრაფიული შენიშვნა.

234. ფირცხალავა სამსონ. სიტყვა — გარდაცვალებულთა, მაგრამ არ დასაფლავებულთა შესახებ. — ცნობის ფურცელი, 1905, № 2928. საუბარია პოეტზე, მისი ძეგლის კურთხევის გამო.

235. ჩიტაძე შიო. მწუხარების მგოსანი. — ცნობის ფურცელი, 1905, № 2928.

ავტორი მოკლედ განიხილავს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას.



236. ცნობა. — მწყემსი, 1905, № 19; ცნობის ფურცელი, 1905, № 2927.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ძეგლის კუროხევა.

### 1907

237. ჯანაშვილი მ[ოსე]. ილია გრიგოლის ძე ქავჭავაძე. — ნაშრომი, № 2, თფილისი, 1907.

ილია ქავჭავაძეზე სატბრისას ავტორი ვრცლად ჩერდება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე და კერძოდ განიხილავს პოემას „ბელი ქართლისა“.

### 1908

238. ჯ-ძე გრ. ქ. მოსკოვი. — შრომა, 1908, № 8, გვ. 12—13.

კორესპონდენტი იტყობინება, რომ მოსკოვის „ქალთა კლუბში“ ალ. სუმბათაშვილის მეუღლემ განმარტა საღამო, რომელზედაც ალექსანდრე სუმბათაშვილმა წაიკითხა „ბარათაშვილის „მერანი“, რასაც საზოგადოება აღტაცებული ტაშის ცემით მიეგება“.

239. ჭელიძე სპ. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. თბილისი, 1908, „სორაპანი“-ს სტამბა, 46 გვ.

წიგნში განხილული და შეფასებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება; დახასიათებულია ეპოქა როცა მწერალი მოღვაწეობდა და მოტანილია საილუსტრაციოდ პოეტის ნაწარმოებები.

240. შოთა — დიანი. ქართველი ქალის სახე აკაკის ზოგიერთ ნაწარმოებში. — დროება, სურათებიანი დამატება, 1908, 7-XII.

ავტორი ავლებს პარალელს ნ. ბარათაშვილის პოემის გმირ ქალ სოფიოსა და აკაკის ზოგიერთი ნაწარმოების გმირ ქალებს შორის.

241. ფურცელაძე ანტონ. ილია და აკაკი. — დროება, 1908, № 7.

წერილში ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას.

### 1909

242. ა-ლი მ. ქართული წიგნი. — ერი, 1909, № 9.

ავტორი ლაპარაკობს ქართული წიგნის გამოცემის მდგომარეობაზე და აღნიშნავს: „დღემდის ისიც-კი ვერ მოვახერხეთ, რომ ჩვენი საუკეთესო პოეტის ნ. ბარათაშვილის 50-გვერდიანი ლექსები ხეირიან წიგნად გამოგვეცა“.

243. რაჭ-შვილი ქრ. [ქრისტეფორე რაჭველიშვილი]. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — აღმანახი პირველი ნაბიჯი, 1909, № 2.

ეპოქის მიმოხილვის შემდეგ ავტორი ჩერდება სიყვარულის მოტივზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში და წერს: „იმ დროს, როდესაც მთელი მაშინდელი და წინანდელი პოეზია, სპარსული პოეზიის გავლენით, მხოლოდ ფიზიკურ სიყვარულს შესტრფოდა, აღმერთებდა და მასში ჰპოვებდა თვის იდეალს, ბარათაშვილი სხვა სიყვარულზედ გვიმღერის და გვითითებს, ის სიყვარულს ამყარებს ორ არსებათა სულიერ ერთობაზედ და არა ფიზიკურ ლტოლვილებაზე“.

244. უზნაძე დ[იმიტრი]. ბარათაშვილის ღირსი მოტივები. — დროება, 1909, №№ 252, 253.

ავტორი კამათობს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ წაკითხული ლექციის დებულებებზე და პოეტის შემოქმედებას განიხილავს ფსიქო-ფილოსოფიური თვალსაზრისით.

245. მეგრელი დუტუ. ლექცია ნ. ბარათაშვილზე. — დროება, 1909, № 67.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე წაკითხულ ლექციას.

246. მეტრეველი ლევან. ნ. ბარათაშვილზე ლექციის გამო. — დროება, 1909, № 239.

247. ქიქოძე გერონტი. ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში. — დროება, 1909, № 103.

ავტორი განიხილავს ტრაგიკუმს ნ. ბარათაშვილის პოეზიაში.

248. ცეცხლაძე მ. ბაირონიზმი ჩვენში. — დროება, 1909, №№ 277, 279, 280.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის პოეზიის კავშირს ბაირონიზმთან.

249—251. ჯორჯაძე არჩილ. პოეზიის სამფლობელოში. — დროება, 1909, № 239.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის პოეზიის თავისებურებებს.

252. ა. ხ. [ალექსანდრე ხახანაშვილი]. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845). — ნაკადული, 1909, № 7.

წერილში მოკლედ დახასიათებულია პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

## 1910

253. გომართელი ივ[ანე]. ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია. — ნ. ბარათაშვილის „ლექსები...“, 1910 წლის გამოცემა, გვ. 20—32; აგრეთვე: ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1966, გვ. 371—381.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ბარათაშვილი გულია საქართველოსი. საქართველოს უნუგეშობამ, ქართველი ხალხის სულისკვეთებამ, გულის კენესამ და სევდამ ბარათაშვილში ჰპოვეს თავისი ნამდვილი გამოხატულება“.

254. ვაჟა-ფშაველა. მცირე შენიშვნა. — სახალხო გაზეთი, 1910, № 161; ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თსუ, 1967, გვ. 163—165.

ლაპარაკია ქართული ენის გარშემო და მოკლედ ეხება ნ. ბარათაშვილს.

255. კარიჭაშვილი დავით. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია. „ნ. ბარათაშვილის ლექსები“... 1910 წლის გამოცემა, გვ. 3—9; აგრეთვე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“... 1919 წ. გამოცემა, გვ. V—VIII.

256. კარიჭაშვილი დ[ავით]. შენიშვნები. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“ 1910 წ. გამოცემა, გვ. I—XIV.

აღწერილია ნ. ბარათაშვილის ლექსების ზეითი ავტოგრაფული რვეული და მოცემულია ცალკეულ ნაწარმოებთა შენიშვნები და კომენტარები.

257. აბაშიძე კიტა. სალიტერატურო მიმოხილვა. — დროება, 1910, № 3.

ავტორი განიხილავს ივ. გომართელის მიერ წაკითხულ ლექციებს ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

258. კახელი დ. ვაკერით. — სახალხო გაზეთი, 1910, № 223.

წერილის დასაწყისში ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილზე.

259—260. ჯაბადარი გ. დიქცია. — თეატრი და ცხოვრება, 1910, № 22.

ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზე“-ს წაკითხვის გარშემო.

261. ჭავჭავაძე ილია. ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ნ. ბარათაშვილის ლექსები“... 1910 წ. გამოცემა, გვ. 10—19.

ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953, გვ. 197—231.

ნაწყვეტია ილიას ვრცელი ნაშრომიდან „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“.

262. ჭიჭინაძე ზ[აქარია]. დრამატიულ მოღვაწეობის ასპარეზზე. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი. — თეატრი და ცხოვრება, 1910, № 15.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს პოეტის ცხოვრებას და ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის მიერ „იულიუს ტრანტელის“ თარგმნაზე; თუ როგორ დაიკარგა ეს თარგმანი.

263. ვართაგავა იპოლიტე. ლიტერატურული შენიშვნები. მოქალაქეობრივი მოტივები ჩვენს პოეზიაში. — განათლება, 1911, VI.

ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის პოეზიას და აღნიშნავს, რომ „პირველი მძლავრი გამომხატველი მოქალაქეობრივი მოტივისა ჩვენს პოეზიაში იყო უკვდავი ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

264. პაპავა აკაკი. შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე. ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი. კოლხიდა, 1911, № 76.

წერილში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის სევდის მიზეზებზე.

264ა. ფერაძე ილია. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი (ბიოგრაფიული ცნობები). ბათუმის მოამბე, 1911, № 1.

## 1912

264ბ. ფერაძე ილია. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845). ცხოვრების აღწერითი ცნობები. განათლება, 1912, №№ 9, 10; 1913, №№ 1, 3, 4, 5, 8, 10.

ავტორი ვრცლად და დაწვრილებით განიხილავს პოეტის თვითეულ ნაწარმოებს, ავლებს პარალელებს ბაირონის შემოქმედებასთან და ა. შ. ნაშრომში ციტირებულია ცნობილ ქართველ მოღვაწეთა: ნ. ნიკოლაძის, გ. თუმანიშვილის, ხომელის, ვ. წერეთლისა და სხვათა აზრები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

265. გორგაძე სერგი. ქართული წყობილსიტყვაობა. თბილისი, 1912.

ლექსთა კლასიფიკაციაზე საუბრისას (გვ. 39—40) განხილულია ნ. ბარათაშვილის ლექსთა ზომა, ე. წ. ბარათაშვილური.

## 1913

266. [ბეგიაშვილი თედო]. ქართველი მწერლები. IV. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845). — ხმა კახეთისა, 1913, №№ 97, 98.

მოკლედ განხილულია პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

267. წეჭეთელი აღ[ექსანდრე]. „სულის ობლობის გენიოსი“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) — სახალხო გაზეთი, 1913, №№ 843, 844, 846.

ავტორი განიხილავს მსოფლიო სევდის საკითხს ლიტერატურაში და ვრცლად ჩერდება ბაირონის შემოქმედებაზე, კერძოდ „მანფრედზე“, მიმოიხილავს ნ. ბარათაშვილის მოღვაწეობის ეპოქას, პოეტის სევდის მიზეზებს, შემოქმედების ცალკეულ მოტივებს. ცალკე ჩერდება ლექსზე „მერანი“, რომელშიც „საესეებით გადმოცემულია მგოსნის სულის

შეუჩერებელი სრბოლა“. ლაპარაკობს „მერანისა“ და ა. მიცკევიჩის „ფარისის“ მსგავსება-განსხვავებაზე. დასასრულ, მოკლედ ეხება პოემას, რომელიც „უფრო რეალისტური ნაწარმოებია, ვიდრე რომანტიული“.

268—270. ხახანაშვილი ალ[ექსანდრე]. ქართული სიტყვიერების ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 1913 წ., განხილულია ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, გვ. 36—47.

ნარკვევში გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფია და განხილულია მისი პოეზია. ავტორი ვრცლად ლაპარაკობს იმ პირობებზე, რამაც წარმოშვა და განსაზღვრა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში სევდის მოტივი. ეხება რომანტიზმისა და რეალიზმის ელემენტებს პოეტის შემოქმედებაში, მის რწმენას მომავლისადმი, მშობლიურ ბუნებასთან დამოკიდებულებას და ა. შ. მოკლედ მიმოიხილავს პოემას „ბედი ქართლისა“ და აქ დასმულ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს.

#### 1914

271. შარაშიძე ჩიტო. ქ-ონ ჩიტო შარაშიძის ლექცია. ქართველი ქალი ახალ ქართულ ლიტერატურაში. — სახალხო გაზეთი, 1914, № 130.

გაზეთში დაბეჭდილია ლექციის ანგარიში. ლექციაში ავტორი შეეხო ნ. ბარათაშვილის მიერ დახატულ სოფიოს სახეს.

272. ხუნდაძე სილოვან ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. I. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქუთაისი, 1914, ქმწკგ გამოცემა, გვ. 42.

#### 1915

273. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების საგანგებო გამოცემა. — სახალხო ფურცელი, 1915, № 274.

ცნობა იმაზედ, რომ მზადდება პოეტის თხზულებათა საგანგებო გამოცემა.

274. ს. ფ. [სიკო ფაშალიშვილი]. ნიკ. ბარათაშვილის ლექსთა გამოცემა. — ხმა კახეთისა, 1915, № 241.

ცნობა საიუბილეო გამოცემის შესახებ.

275. ხომლედი [რომანოზ ფანცხავა]. აკაკი — როგორც დიდი ეროვნული მგოსანი. — განთიადი, 1915, №№ 1, 3, 5, 10. რჩეული ნაწერები, 1963, გვ. 255—290.

ნაშრომში ავტორი ხშირად ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილზე.



276. ხომლედი [რომანოზ ფანცხავა]. ვაჟა-ფშაველა. — განთიადი, 1915, № 13; რჩეული ნაწერები, 1963, გვ. 307—332.

ვაჟას პოეზიაზე საუბრისას ხშირად მიმართავს ნ. ბარათაშვილს.

277. გაბადარი გიორგი. დიქცია. — თეატრი და ცხოვრება, 1915, № 3, გვ. 13—15.

ნ. ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზე“-ს მაგალითით აჩვენებს როგორ უნდა წაიკითხონ იგი და მხატვრული კითხვისას როგორ უნდა განაწილდეს სუნთქვა.

## 1916

278. აბულაძე ხავლე. ნ. ბარათაშვილის ხსოვნას (დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო). — განათლება, 1916, № 10.

279. ან-გან. ნ. ბარათაშვილის საღამო ბაქოში. — სახალხო ფურცელი, 1916, № 744.

საღამოს მოკლე ანგარიში.

280. არიმათიელი იოსებ [იოსებ იმედაშვილი]. სული ობოლი, მგოსან-მოაზრე ნ. ბარათაშვილი (1816—1845—1916). — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

მოკლედ გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფია, დახასიათებულია ეპოქა და პოეტის შემოქმედება (წერილს ახლავს შენიშვნა: „ცნობები ამოკრეფილია იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“-დან“).

281. ავტოგრაფი... — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფი საგანგებოდ გამოიცემა კნ. ერისთავის მიერ.

282. ახალი ამბავი. ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება. — ზვირთი, 1916, № 61.

„პარასკევს, 9 დეკემბერს დებუტატთა საკრებულოს დარბაზში გაიმართა კრება ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლის აღსანიშნავად. წაიკითხულ იქმნა ბ. ინგოროყვას მიერ მოხსენება: „ბარათაშვილი და ქართული ლექსის ახალი პრობლემები“. მოხსენებამ კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: მ. ს. გორგაძემ, მოსე თოიძემ და ალ. შანშიაშვილმა...“

283. ახალი ამბავი. ნ. ბარათაშვილის ხსოვნას. — ზვირთი, 1916, № 61.

„... შალვა ალექსი-მესხიშვილის წინადადებით, ქალაქის გამგეობამ დაადგინა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დაერქვას გიმნაზიის ქუჩას ბარათაშვილის სახელი“.

284. ახალი ამბავი. ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების გამო. — ზვირთი, 1916, № 61.

„ქ. ტრაპიზონში, ბერძნების საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მეთაურობით. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით აქ მომუშავე ქართველი მუშები“...

285. „ბედი ქართლისა“. — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

ცნობა პოემის ფაქსიმილურ გამოცემის შესახებ.

286. ბარათაშვილის დაბადების... — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 46.

„ნ. ბარათაშვილის დაბადების ასის წლის თავის (ვიორგობისთვის 22) აღსანიშნავად ქართ. სიტ. — კახ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით ვიორგობისთვის 21 დიდუბის ვალავანში მგოსნის სამარესთან გადაიხდიან პანაშვიდს, სამარეს შეამკობენ ცოცხალ ყვავილებით, ხოლო საღამოთი გაიმართება ამავე საზ-ის საზეიმო კრება მგოსნის პატივსაცემად“.

287. ბარათაშვილის დილა. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 48.

ცნობა, რომ პოეტის ხსოვნის დილა გაიმართება დეკემბრის ოთხსახალ კლუბში.

288. განცხადება. — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

ნ. ბარათაშვილის პანაშვიდის შესახებ.

289. გედევანიშვილი ი. ბედი ქართლისა (ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო). სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

ნ. ბარათაშვილის პოემის მოკლე კრიტიკული მიმოხილვა.

290. გომართელი ივ[ანე]. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

განიხილავს პოეტის შემოქმედებას და ამბობს: „ბარათაშვილის ძიება მთელი კაცობრიობის ძიებაა, ბარათაშვილის ტანჯვა მთელი კაცობრიობის ტანჯვაა. მიტომაც შოთას შემდეგ ბარათაშვილი ყველაზე უფროა მსოფლიო პოეტი“.

291. გუნია ვ[ალერია]. როგორ შევიძინე ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი. — საქართველო, 1916, № 160.

292. გურული გრიშა. ბათოში... — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 49.

ავტორი აღწერს ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს ქ. ბათოში.

293. დადიანი სამსონ. საზოგადოებრივი აზრები XIX საუკ. სიტყვა-კახმელ მწერლობაში. I. — ზვირთი, 1916, № 32.

ავტორი მოკლედ ეხება ნ. ბარათაშვილის „მერანის“ შექმნის ისტორიას. წერილს აქვს შენიშვნა: „იხ. ჟურნ. „განათლება“ 1913, № 1 დასხ. „სახალხო გაზეთი“ 1913 წ. ივლისი № 945 და სხვ. ეს ნაწილი წაკითხული იყო ლექციად ტფილისში, გორში და ქუთაისში“.

294. დადიანი სამსონ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ზვირთი, 1916, № 58.

წერილში განხილულია პოეტის შემოქმედების პოლიტიკური მხარე. ავტორს მიაჩნია, რომ ნ. ბარათაშვილი შემოქმედებაში გაორებული პიროვნებაა.

295. დ. შ. [შალვა დადიანი]. ნიკოლოზ ბარათაშვილი (დაბადებიდან ასი წლის გამო) — ზვირთი, 1916, № 58.

მოთხრობილია პოეტის ბიოგრაფია.

296. დონის როსტოვის... — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 49. ცნობა. რომ „დონის როსტოვის ქართველობასა და ქართველ სტუდენტობას განუზრახავს ამ მოკლე ხანში გამართოს ნ. ბარათაშვილის საღამო და ქართული წარმოდგენა“.

297. ვეზირიშვილი მ. მგოსანი მსოფლიო მწუხარებისა (ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია). — საქართველო, 1916, № 118.

298. ვინ რა აზრისაა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის პოეზიაზე? — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

ჟურნალს მოაქვს ამონაწერები ნიკო ნიკოლაძისა და პროფ. ალექსანდრე ცაგარელის წერილებიდან (ეს წერილები გამოქვეყნებული იყო, პირველი „ტიფლისკი ვესტნიკში“ 1876, ხოლო მეორე გაზ. „დროებაში“ 1870 წელს).

299. თ. გ. ნ. ბარათაშვილის ნაწერები. — სახალხო ფურცელი, 1916, № 637.

ნ. ბარათაშვილის პოეზიის მოკლე კრიტიკული მიმოხილვა.

300. ვეშაპელი გრიგოლ. ბარათაშვილი და საქართველო. — საქართველო, 1916, № 261.

301. მ.-ი. ცოტა რამ ბარათაშვილის მშობლებზე (წერილი ქუთაისიდან). — სახალხო ფურცელი, 1916, № 736.

302. ინ.-ბანი [იროდიონ სონღულაშვილი]. ნიკ. ბარათაშვილის ხსოვნას (დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო). — საქართველო, 1916, № 260.

303. ი.-ელი [იოსებ იმედაშვილი]. საუკუნის თავი. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 48.

ანგარიში პოეტის საიუბილეო საღამოსი და საფლავზე გადახდილი პანაშვილის.



304. კარიჭაშვილი დ[ავით]. ნ. ბარათაშვილი (ბიოგრაფია). — საქართველო, 1916, № 261.

305. კარიჭაშვილი დ[ავით]. ნ. ბარათაშვილის ახალი ლექსის შესახებ. — საქართველო, 1916, № 261.

ლაბარაკია ახლად ნაპოვნ ნ. ბარათაშვილის სახუმარო ლექსზე „ელენეს და მაროს“.

306. კასრაძე დავით. შავი მზის რაინდი. — საქართველო, 1916, № 260.

ნ. ბარათაშვილის სულიერი ობლობა.

307. მავრი. ჩემი შენიშვნები (ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო). — ჩვენი მეგობარი, 1916, № 229.

308. მამულია ს. ნ. ბარათაშვილის სადამო ნალჩიკში. — სახალხო გაზეთი, 1916, № 765.

ნალჩიკის ქართული სკოლის დარბაზში 22 ნოემბერს გამართული სადამოს ანგარიში.

309. მირიანაშვილი პ. სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში (ნარკვევი). — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

310. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია მწერალთა დახასიათებით. — ცხოვრება, 1916, №№ 17, 18.

მოტანილია გამონათქვამნი: ნ. ნიკოლოძის (გვ. 8—9), ილია ქავჭავაძის (გვ. 18—19), პროფ. ალ. ცაგარლის (გვ. 19—20), გ. თუმანიშვილის (გვ. 20), ვ. წერეთლის (გვ. 20—21), ივ. გომართელის (გვ. 21).

311. ნიკოლოზ ბარათაშვილის დილა. — სახალხო ფურცელი, 1916, № 747.

ცნობა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში პოეტის დილის მოწყობის შესახებ.

312. ნიკო ბარათაშვილის ხსოვნა ქალაქის საბჭოში. — სახალხო ფურცელი, 1916, № 748.

ცნობა.

313. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების აკადემიური გამოცემის შესახებ. — სახალხო ფურცელი, 1916, № 725, 726 და სხვ.

გამოცხადებულია წიგნის შინაარსი.

314. ნიკოლოზ ბარათაშვილის... — სახალხო ფურცელი, 1916, № 725.

პოეტის ასი წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის განრიგი.

315. ნიკოლოზ ბარათაშვილის დღე. — სახალხო ფურცელი, 1916, № 728, 729.

პანაშვიდი პოეტის საფლავზე, მგოსნისადმი მიძღვნილი სადამო და სხვ.



316. ნიკოლოზ ბარათაშვილის წსოვნას. — სახალხო ფურცელი, 1916, № 730.

პოეტის იუბილის ქრონიკა.

317. ნიკოლოზ ბარათაშვილის დაუბეჭდავი ლექსი. — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

ნ. ბარათაშვილის ლექსის „ელენე და მარიამ“-ის შესახებ, რომელიც № 5190 აღმოაჩინა დ. კარიჭაშვილმა წყ საზოგადოების მუზეუმში.

318. „პარ-დონ“. ნ. ბარათაშვილის საღამო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. — ზვირთი, 1916, № 62.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოეტის საღამოები გამართულა კლასიკურ გიმნაზიაში, ქართულ გიმნაზიაში და ა. შ. რეალურ სასწავლებელში გამართულ საღამოზე თავი გამოიჩინა მოწაფე შ. ლამბაშიძემ.

319. რჩეული აზრები ნ. ბარათაშვილისა. — ცხოვრება, 1916, №№ 17, 18; თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

გამოქვეყნებულია ნაწყვეტები პოეტის ნაწარმოებებიდან.

320. ლიხელი დ. [დავით სულიაშვილი]. ჩვენი სინდისი. — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

მწერლის მიერ ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლისთავის გამო წაკითხული რეფერატის ნაწყვეტი.

321. ტატიშვილი შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — საქართველო, 1916, № 261.

322. უკვდავების მოციქული. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

ეჟურნალის მოწინავე მიძღვნილია ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი.

323. ფერაძე ილია. სიყვარული ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში. — საქართველო, 1916, № 260.

ნაწყვეტი კრიტიკული წერილიდან.

324. ფერაძე ილია. ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემის გამო. — საქართველო, 1916, № 266.

325. ქიქოძე გერონტი. ტრადიკულის გრძნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში. — საქართველო, 1916, №№ 261, 262. გ. ქიქოძე, წერილები ხელოვნებაზე, თბ., „ფედერაცია“, 1936, გვ. 5—14; გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1963, გვ. 97—101.

ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის პოეზიის ძირითად თავისებურებებზე, განიხილავს პოეტის პოლიტიკურ მრწამსს და აღნიშნავს, რომ „მართალია, „ბედი ქართლისა“ და „მეფე ირაკლის საფ-



ლავის“ ავტორი ძლიერ პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ მისი პოლიტიკური აზროვნება არ ყოფილა ნათელი და გარკვეული“.

326. შანშიაშვილი ხანდრო. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მისი დაბადების ასი წლის თავზე). — საქართველო, 1916, №№ 260, 261.

327. გელეიშვილი პ. ნ. ბარათაშვილი (1816—1916). — თანამედროვე აზრი, 1916, № 265.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.

328. დამსწრე. ნ. ბარათაშვილის დილა. — სახალხო ფურცელი, 1916, № 759.

თბილისის უმაღლესი კურსების ქართველ მსმენელ ქალთა მიერ მოწყობილი ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილის ანგარიში.

329. კოტეტიშვილი ვახტანგ. შავი რაინდი. — სახალხო ფურცელი, 1916, № 731.

წერილი ეხება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას და დ. კასრაძის წერილს პოეტზე. ავტორი ლაპარაკობს პოეტის დამოკიდებულებაზე სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან და აღნიშნავს: „სიკვდილი მას სძულს. იგი ცხოვრების მოტრფიალეა: „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“-ო, — ეს ფორმულა სიცოცხლის ღირებულების დადასტურებაა და მამასადამე პესნიმიზმის უარყოფა“.

330. კვირიკაძე თედ. შემოწირულება. — სახალხო გაზეთი, 1916, № 760.

ტრაპიზონში ნ. ბარათაშვილის პანაშვიდის დროს შემოწირულებათა გამღები პირების სია.

331. ნ. ბარათაშვილის საღამო „ხარფუხის“ კლუბში. — სახალხო ფურცელი, 1916, № 756.

საღამოს ანგარიში. „საღამოს დაესწრო პოლონელთა დეპუტაცია ეპისკოპოს როპის მეთაურობით, რომელმაც დაფნის გვირგვინი უძღვნა განსვენებულ მგოსანს და ლამაზი სიტყვით მიმართა. შეადარა ქართველთა და პოლონელთა ბედი და უსურვა დაჩაგრულ საქართველოს აღორძინება“.

საღამო ჩატარდა 22 დეკემბერს, მასში მონაწილეობდნენ: ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, არ. ჭუმბაძე, ს. ფაშალიშვილი და სხვ.

332. ონიაშვილი დ. ყარიბი მგოსანი (1816—1916). — თანამედროვე აზრი, 1916, № 265.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე განხილვა.

333. პატარა ამბები. ნ. ბარათაშვილი და თბილისი. — სახალხო ფურცელი, 1916, № 751.

კორესპონდენცია ეხება ქალაქის საბჭოში ხმოსნებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას საკითხზე, თუ თბილისის რომელ ქუჩას უნდა ეწოდოს ნ. ბარათაშვილის სახელი.

334. პატარა ამბები. — სახალხო ფურცელი, 1916, № 755.

ცნობა, რომ ს. ფაშალიშვილის საღამოზე ა. პაპავამ წაიკითხა მოხსენება — „თელილ გზაზე“, მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

335. პატარა ამბები. — სახალხო ფურცელი, 1916, № 759.

ცნობა ოდესის უნივერსიტეტის კლუბში ნ. ბარათაშვილის ხსოვნის პანაშვიდის გადახდის შესახებ.

336. პაპავა აკაკი. დახსნა (ნ. ბარათაშვილის იუბილეს გამო). — სახალხო ფურცელი, 1916, № 728.

მოკლე ნარკვევი ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე.

337. ჩიტაძე შიო. მწუხარების მგოსანი. — ცნობის ფურცელი, 1916, № 2928.

განხილულია პოეტის შემოქმედება.

338. ძია. ძ-ე კ. ნ. ბარათაშვილის სალიტერატურო დილა. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 50.

თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში ჩატარებული ნ. ბარათაშვილის დილის ანგარიში.

339. წვრილი ამბები. თეატრი და ცხოვრება, 1916, № 46.

ცნობა, რომ ეურნალის შემდეგი ნომერი მთლიანად მიეძღვნება ნ. ბარათაშვილის ხსოვნას.

340. წვრილი ამბები. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

ქრონიკა: ბათუმის დრამატიული წრე მართავს ნ. ბარათაშვილის საღამოს 22 ნოემბერს; პოეტის თხზულებანის აკადემიური გამოცემა გამოვა მომავალ თებერვალს; ხარკოვის სტუდენტობა მართავს პოეტის ხსოვნის საღამოს 26 ნოემბერს; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართება პოეტის ხსოვნის საღამოები და სხვ.

341. წვრილი ამბები. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 49.

გამოცხადდა ხელის მოწერა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების გამოცემაზე; პოეტის დილა იმართება „ახალ კლუბში“; და სხვ.

342. წვრილი ამბები. — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 50.

დადგენილება, რომ გიმნაზიის ქუჩას, ერთ სკოლას და სამკითხველოს ეწოდოს ნ. ბარათაშვილის სახელი.

343. ჭიჭინაძე ზაქარია. რა წრეში აღიზარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი? — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.



ავტორი წერს, რომ ნ. ბარათაშვილის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა სოლომონ დოდაშვილმა და პოლონეთიდან გადმოსახლებულმა პროფესორებმა. „1830 წ. თბილისში დაარსებულ იქნა ერთი წრე, რომელს წრეში მოქმედებდნ პოლონელი პროფესორები და სოლ. დოდაშვილიც. ამ წრის წევრებად ითვლებოდნენ იმ დროის თბილისის სასწავლებლის ქართველი მოწაფენი, რომლებზედაც ერთობ დიდი გავლენა ჰქონდათ ხსენებულ პირთ. ცნობილი არის, რომ ნ. ბარათაშვილიც ამ საამხანაგო წრეში ერთგულ ამხანაგად ითვლებოდა“.

344. ჭიჭინაძე ზ[აქარია]. სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი (საბიოგრაფიო მასალა). — საქართველო, 1916, №№ 219, 220.

345. ჭიჭინაძე ზ[აქარია]. ნ. ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვის ისტორია. — საქართველო, 1916, № 260.

ნ. ბარათაშვილის ნაწერების გამოცემის შესახებ.

346. ჯანაშვილი მოსე. ნ. ბარათაშვილი (22 ნოემბ. 1816—22 ნოემბ. 1845). — ცხოვრება, 1916, №№ 17, 18; საქართველო, 1916, № 262.

წერილში მოთხრობილია პოეტის ბიოგრაფია და მოკლედ განხილულია შემოქმედება.

1917

347. გოგია ილია. ნიკოლოზ ბარათაშვილი (დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო). — განათლება, 1917, № 1.

348. დეკანოზიშვილი მ. „ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მღელვარნი“ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა. — თეატრი და ცხოვრება, 1917, №№ 24, 25, 26, 28, 30, 33.

თელავის წკ განყოფილების საისტორიო და სალიტერატურო სექციაში 1916 წლის 24 იანვარს წაკითხული მოხსენება.

349. დონ-ინი. ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო ხარკოვში. — სახალხო ფურცელი, 1917, № 764.

საღამოს ანგარიში.

350. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების სრული აკადემიური გამოცემის თაობაზე. — ზვირთი, 1917, № 79.

გამოცხადებულია წიგნის შინაარსი, სარედაქციო კომისიის სია და ა. შ. წიგნის გამოცემა ნავარაუდევია მიმდინარე წლის აპრილში.

351. იოსელიანი გ. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო. — ცხოვრება, 1917, № 1.

352. მირიანაშვილი პეტრე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი. — სახალხო ფურცელი, 1917, №№ 786, 789.

ნარკვევში განხილულია ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა. — 352ა. წეველი სიმონ. ნ. ბარათაშვილის საღამო ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში. — სახალხო ფურცელი, 1917, № 797. ავტორის შთაბეჭდილებანი ამ საღამოზე.

353. ხომლედი [რომანოზ ფანცხავა]. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. — ცხოვრება, 1917, № 1.

წერილი დაუსრულებელია.

353ა. ხუნდაძე სილოვან. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. II. გრ. ორბელიანი. 1917, ქუთაისი.

ავტორი განიხილავს გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ურთიერთობას, მათი პოეზიის მსგავსება-განსხვავებას.

354. ჩვენი ახალი მწერლობა. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. წიგნი I. ქუთაისი, 1917.

41—66 გვერდებზე გადმოცემულია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.

## 1918

355. გორგაძე ს[ერგი]. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა. — პრომეთე, 1918, № 2, გვ. 55—71.

356. ვართაგავა იპ[ოლიტი]. სული ახალი საქართველოსი. — საქართველო, 1918, №№ 24, 25.

წერილი ეძღვნება ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განხილვას.

357. მექანარიშვილი არ. ნიკოლოზ ბარათაშვილი [კრიტიკული ეტიუდი]. — ახალი კვალი, 1918, № 7; 1919, № 1.

## 1919

358. ჭიჭინაძე ზ[აქარია]. სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფართული საზოგადოების“ წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში. — ტფილისი, სახელმწიფო სტამბა, 1919, 27 გვ.

359. ჭიჭინაძე ზაქარია. ვინ რა აზრისა იყო საქართველოს განთავისუფლების შესახებ. — თეატრი და ცხოვრება, 1919, № 8.

ავტორს მოჰყავს ნ. ბარათაშვილის აზრი.

360. ხუროძე ვარლამ. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება (კრიტიკული ცდა). — ცისარტყელა, 1919, № 2.

ავტორი ავლებს შემოქმედებით პარალელს გალაკტიონ ტაბიძისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას შორის.

361—363. შარაშიძე ქრ[ისტინე]. მებრძოლი ფიქრის პოეტი. ნ. ბარათაშვილი, (მოწაფეთათვის). (თბ.), წიგნების გამოცემა. აღ. არაბიძის და ამხ. (1920), 13 გვ.

364. ხომლედი [რომანოზ ფანცხავა]. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. წყვეს გამოცემა № 18, ტფილისი, 1920, სტ. „სორაპანი“, 71 გვ.

## 1921

365. ფანცხავა ი[აკობ]. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი. — კრებული, 1921, № 1.

ბიოგრაფიული ცნობები და შემოქმედების განხილვა.

## 1922

366. გორგაძე ს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა. „ნ. ბარათაშვილი...“, 1922 წლის გამოცემა, გვ. 220—236.

განხილულია პოეტის ლექსთა საზომი, მუხლი, მახვილი, რითმა. წერილს ახლავს ავტორის შენიშვნა: „ეს წერილი დამზადებული იყო საგანგებოდ ამ გამოცემისათვის, მაგრამ რადგან უკანასკნელი ძალიან დაგვიანდა და შეფერხდა, ამიტომ პირველად დავბეჭდეთ „პრომეთეში“ (№ 2, 1918), სადაც ბარათაშვილის ლექსების ხანები და ტაეპები ნაჩვენებია გვერდზე 1895 წლის გამოცემის თანახმად (V გამოცემა). აქ კი ყველგან წინამდებარე გამოცემა ნაგულისხმევი; მხოლოდ ნიკ. ბარათაშვილის ნაწარმოებთაგან ჩვენ ანგარიშში არ მიგვიღია ლექსი „ელენეს და მაროს“, რომელიც ამ ახალ გამოცემაშია დაბეჭდილი (გვერდი 57). ამიტომ ჩვენს წერილში ბარათაშვილის ნაწარმოებთა საერთო რიცხვად ნაჩვენებია არა 39 (როგორც ამ ახალი გამოცემით გამოდის), არამედ 38“.

367. გერგესელი ნ. სამრეკლო უდაბნოში [კრიტიკული ესკიზი]. — გალაკტიონ ტაბიძის ქურონალი, 1922, № 3.

ავტორი ავლებს შემოქმედებით პარალელს ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს შორის.

368. ბარათაშვილის პორტრეტისათვის. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 240.

369. თაყაიშვილი ექვთიმე. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 127—132.

ავტორი აღწერს ნ. ბარათაშვილის ლექსების მის ხელთ არსებულ შვიდ ავტოგრაფს. ესენია: ექვ. თაყაიშვილისა, ბარბ. ვეზირიშვილისა,





ბარბ. ერისთავისა, ვალ. გუნიასი, მაიკო ორბელიანისა, გრ. ორბელიანისა და სამეგრელოს დედოფლის.

370. ვარიანტების განსხვავებანი და განმარტებანი. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 132—165.

მოტანილია ნაწარმოებთა ვარიანტული წაკითხვები. შენიშვნებში ჩართულია ალ. ჭავჭავაძის თარგმანი „ფერსა ბნელს“... სათაურით „რუსული სიმღერა“, აგრეთვე მარიამ ფალავანდოვის (ფალავანდიშვილის) ლექსები: „მიხეილს“ (მ. თუმანიშვილს) და „ტატოს“. წერილების განმარტებანში მოტანილია გრ. ორბელიანის ლექსის „იარალის“ ვრცელი ნაწყვეტები, მიხ. თუმანიშვილის „უღაბნო“, „სალამური“ და მ. ლერმონტოვის „И скучно, и грустно...“

371. მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 241—245.

ბარბალე ვეზირიშვილისა და დიმიტრი ყიფიანის ცოლის მოგონებანი ნ. ბარათაშვილზე. გრიგოლ ორბელიანის და მელიტონ ბარათაშვილის კერძო წერილები.

372. მეუწარგია ი[ონა]. ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. V—LIX.

წერილს ერთვის რედაქციის შენიშვნა: „ეს წერილი განსვენებულმა ი. მეუწარგიამ დასწერა 1893 წ. და დაბეჭდა ფელეტონებად გაზ. „ივერიაში“, ხოლო მანამ დამთავრებული არ ჰქონდა. დაამთავრა. შეავსო და შეასწორა საგანგებოდ ჩვენი გამოცემისთვის სიკვდილის წინ“.

373. უზნაძე დ[იმიტრი]. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 192—220.

ავტორი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას იხილავს ისტორიულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და გამოყოფს ისეთ საკითხებს, როგორცაა: პოეტის გრძნობათა ტონი, ბარათაშვილის აზრთა სამკვიდროში, ლურჯი ყვავილი, ბედი, კაცთა სიახვე და ა. შ.

374. ფ. ს. [სამსონ ფირცხალავა]. ნ. ბარათაშვილის ლექსთა გამოცემანი. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 237—238.

მოკლედ აღწერილია მანამ არსებული ნ. ბარათაშვილის ლექსების რვა სხვადასხვა გამოცემა.

375. შუამდინარელი მარუთა [იოსებ გრიშაშვილი]. ნიკო ბარათაშვილი (ბიბლიოგრაფია). — ილიონი, 1922, სექტემბერი, გვ. 56—57.

ავტორი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემას უწოდებს „სანამუშოს“ და მიესალმება მის გამოცემას.



376. შუბოსანი. ნ. ბარათაშვილი (ბიბლიოგრაფია). — ილიონი, 1922.

ბიბლიოგრაფიის ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის ლექსების რუსულ გამოცემაზე, რომელიც ვალერიან გაფრინდაშვილმა გამოსცა 1922 წელს. ზედმეტად მიიჩნევს მას და აძაგებს გამოცემას.

377. ჯავახიშვილი გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში. „ნ. ბარათაშვილის ლექსები...“, 1922 წ. გამოცემა, გვ. 165—181.

ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებასთან და წერს: „...როგორც ცნობებია, ორი კვირა დაჭერილიც ყოფილა. იგი იმყოფებოდა შეთქმულთა გავლენის ქვეშ და, რაც უმთავრესია, თვითონაც იმავე აზრს ემსახურებოდა თვისის ნაწერების პირველ ნაწილში“.

ბარათაშვილის პოეტურ წინამორბედებად თვლის ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და გ. ერისთავს.

1923

378. ბარნოვი ვასილ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845). მომავალი, 1923, № 8; ვ. ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, ტომი X, 1964, გვ. 116—128.

მოკლედ გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფია და მისი სევდის მიზეზები.

379. უზნაძე დიმიტრი. ლიტერატურა, როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი (ნ. ბარათაშვილის ნიმუშზე). — ილიონი, 1923.

ავტორი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს ნ. ბარათაშვილის პოეზიას და არკვევს საკითხს, თუ რით აღწევს პოეტი ესთეტიურ ეფექტს, „მაშინ როცა ყველა მისი ნაწარმოებისათვის „მხატვრულობა“, თვალსაჩინოების აზრით, არაჩვეულებრივის სიძუნწით, არის წარმოდგენილი“.

1924

380. გაფრინდაშვილი ვალერიან. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — დროშა, 1924, № 16—17.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ბარათაშვილი, როგორც დიდი პოეტი, აღმოაჩინა ქართული ლექსის როდენმა ილია ჭავჭავაძემ“. მიმართავს პარალელებს და წერს: „ბარათაშვილს ჰყავს ერთი წინამორბედი, რომელიც არ უნდა იქნეს დავიწყებული, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ



„მერანის“ გენიალურ ავტორზე. ეს არის გურამიშვილი — ქართულ პოეზიის ვერლენი“...

381. გორგაძე სერგო. ახლად აღმოჩენილი ქრესტომათია და ნ. ბარათაშვილის ყრობის ლექსები. — დროშა, 1924, № 16—17.

ლაპარაკია გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ალმანახზე, სადაც მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი.

382. გომელაური ივ[ანე]. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ბიოგრაფიული ცნობები). სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები, 1924, III, გვ. 194.

383. დ'ორსე. ნ. ბარათაშვილი, სახელგამი, თბილისი, 1922. — მნათობი, 1924, № 3.

რეცენზენტი განიხილავს ნ. ბარათაშვილის 1922 წლის ე. წ. აკადემიურ გამოცემას.

**1925**

484. კოტეტიშვილი ვახტანგ. ქართული ლიტერატურის ისტორია მე-XIX საუკ. დღევანდლამდე. ნაწილი I. ქუთაისი, 1925; ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბილისი, 1959 წ.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება განხილულია გვ. 129—170; და 122—148.

385. ვ. ხ. ბიბლიოგრაფია. — მნათობი, 1925, № 10.

ბიბლიოგრაფიაში განხილულია ვ. კოტეტიშვილის წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I; ბიბლიოგრაფიის ავტორი არ ეთანხმება მკვლევარს ნ. ბარათაშვილის პოეზიის ცალკეულ მხარეთა შეფასებაში.

386. ხომლედი [რომანოვ ფანცხავა]. ქართული ლიტერატურა (ზოგადი მიმოხილვა). — ახალი გზა, 1925, №№ 4, 6, 13, 16—18, 20—25; რჩეული ნაწერები, 1963, გვ. 423—447.

ნაშრომში განხილულია ნ. ბარათაშვილის შემოქმედება.

**1926**

387. კაპანელი კონსტანტინე. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში. წიგნი I. ქართული ლიტერატურის თემატიური ანალიზი სოციოლოგიური თვალთახედვით. ტფილისი, 1926, გვ. 78—108.

ავტორი განიხილავს იდეოლოგიურ ბიოსფეროს, ისტორიულ პრობლემას, კოსმიურ სევდას, რომანტიულ ესთეტიზმს და ა. შ.

მმ. უდენტი ბესო. თეორიები და ფაქტები (ს. ჩიქოვანის პოემის „ფიქრები მტკვრის პირას“ გამო). — დროული, 1926, № 2.

ავტორი პარალელს ავლებს ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან და ამბობს: „მთელი პოემა თემატიურათ უახლოვდება ბარათაშვილის პოეზიას. მაგრამ ამით კიდევ მეტად ცნატრდება სხვაობა ახალი პოეზიისა — ბარათაშვილისაგან. სრულიად სხვაგვარი მსოფლხედვა, სხვაგვარი მიმღეობა, განსხვავებული კონსტრუქცია და შესრულება“...

389. ხუნდაძე სილოვან. ნიკოლოზ ბარათაშვილი. საკითხავი წიგნი ქართული ლიტერატურის შესასწავლათ. მეორე გამოცემა — შეესებულე; ქუთაისი. ადგ. მეურნ. სტამბა, 1926, გვ. 88.

შინაარსი: ნ. ბარათაშვილის ცხოვრების მიმოხილვა; ნ. ბარათაშვილის რომანტიზმი და ბაირონიზმი; ნ. ბარათაშვილის სულის ობლობის შედეგები; ბარათაშვილი — ბედნიერების მაძიებელი; ნ. ბარათაშვილის აზრი სამშობლოზე; პოეტის აზრი ტრფობის შესახებ; „ბედი ქართლისა“; საზოგადო დასკვნები და ნ. ბარათაშვილის ენა. წიგნს ერთვის დამატება, სადაც მოთავსებულეა პოეტის რვა ლექსი და პოემა. დართული აქვს აგრეთვე ზოგიერთი „სიტყვისა და ადგილის ახსნა-განმარტება“.

390. ჩიქოვანი სიმონ. ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციისათვის. — დროული, 1926, № 2.

საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ნ. ბარათაშვილის ლექსები.

391. ჭყონია აკაკი. კრიტიკული შენიშვნები ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე. — მნათობი, 1926, № 2.

## 1927

392. ბეგიაშვილი თ[ედო]. მხატვრული ლიტერატურა რომანტიზმის პერიოდში (ლიტერატურული საუბრები). თბილისი, 1927.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება განხილულია გვ. 117—132.

393. გარრიკი ვახტანგ. გილიოტინა და ეშაფოტი. — გალაკტიონი — 1927, ტფილისი, სალიტერატურო ბიულეტენი.

ავტორი ავლებს შემოქმედებით პარალელს გ. ტაბიძესა და ნ. ბარათაშვილს შორის.

394. ლაისტი არტურ. ორი მგოსანი: ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი. საქართველოს გული, წიგნი II, 1927, გვ. 19—22; საქართველოს გული. თ. ფირალიშვილის რედაქციით, 1963, გვ. 141—156.

395. ჭავჭავაძე ილია. წერილები ლიტერატურაზე. თხზულებათა სრული კრებული, 1927, ტ. IV. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე საუბარია გვ. 232—243.

396. ხუროძე ვარლამ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვა მე-XIX საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე. ტფილისი. 1927.

განხილულია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ეროვნული და ზოგადი საკითხები. გვ. 23—26 და 179—188.

## 1929

397. კალაძე რაჟდენ. ანტონ ფურცელაძე (მონოგრაფია), თბილისი, 1929.

წიგნში განხილულია ანტონ ფურცელაძის შეხედულებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

398. ჭყონია აკაკი. ნიკოლოზ ბარათაშვილი — პოეტი და მოქალაქე, თბილისი, 1929, გვ. 72.

წიგნის მოკლე ვარიანტი გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მნათობში“ 1926 წელს (№ 2) სათაურით „კრიტიკული შენიშვნები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე“. ნაშრომში ავტორი განიხილავს კლასთა და თაობათა თანამშრომლობის საკითხს, რომანტიზმს ქართულ ლიტერატურაში, „წმინდა სილამაზის“ პოეზიას და ა. შ. ვრცლად განიხილავს პოემას „ბედი ქართლისა“ და ნ. ბარათაშვილის პოეზიის უმთავრეს მოტივებს. ცალკე თავი ეძღვნება პოეტის ენას და ნ. ბარათაშვილისადმი თანამედროვეობის დამოკიდებულებას. ნაშრომში გაკრიტიკებულია ჩ. შარაშიძის პატარა წიგნაკი ნ. ბარათაშვილზე.

## 1930

399. გორგაძე სერგო. ქართული ლექსი (ლექსთწყობის გამოკვლევა), ტფილისი, 1930.

ნაშრომში განხილულია ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა პოეტიკა.

400. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტომი III, მე-XIX საუკ. პირველი ნახევარი, ია ეკალაძის რედაქციით, ტფილისი, 1930, გვ. 252—254.

შოთავსებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია.

401. ყიფიანი დიმიტრი. მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, ტფილისი, 1930.

მემუარებში რამდენჯერმე იხსენიება ნ. ბარათაშვილი.

402. ჭყონია აკაკი. ნიკოლოზ ბარათაშვილი — პოეტი და მოქალაქე. მეორე შეესებული გამოცემა. გამომც. „შრომა“, თბილისი, 1930, გვ. 122—VII.

ნაშრომი ავტორის მიერ გადამუშავებულია. წიგნს ერთვის ი. მეუწარგაძის ნაშრომიდან გაკეთებული პოეტის მოკლე ბიოგრაფია.



403. ისააკიანი ავ[ეტქი]. ჩემი პოემა „აბულ-ალა-შაარის“ ქართულ ენაზე გამოცემისათვის.

აბულ-ალა-შაარი; თარგმ. ტიციან ტაბიძის, თბილისი, 1931, გვ. 7.

პოემის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა, ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება.“

მისმა უმშვენიერესმა „მერანმა“ მე თავდავიწყებით გამიტაცა.

აბულ-ალა-შაარის ქარავანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს“...

404. გაწერელია აკაკი. ნიკოლოზ ბარათაშვილის უცნობი ნაწერები. — ლიტერატურული საქართველო, 1931, № 19.

405. კაპანელი კონსტანტინე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი; მეორე გამოცემა შესწორებული და შევსებული. სახელგამი. ტფილისი, 1931.

პოეტის შემოქმედება განხილულია გვ. 108—133.

406. გაწერელია აკაკი. ბარათაშვილის პოეტიკა. — სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 27.

407. კველიშვილი ნიკოლოზ. ნ. ბარათაშვილის რეალური პორტრეტისათვის. — დროშა, 1933, № 17.

ავტორი ლაპარაკობს 1904 წელს „მოგზაურის“ პრემიად დარიგებული ნ. ბარათაშვილის პორტრეტის სიყალბეზე და აყენებს საკითხს თანამედროვეთა მოგონებების საფუძველზე აღადგინონ პოეტის სურათი.

408. ლეონიძე [გიორგი]. ბარათაშვილი, მოცარტი და ლ. ტოლსტოი (გენეზისი ბარათაშვილის ერთი ლექსისა). — სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 8.

ავტორი არკვევს ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის — „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ — სიგნალს. მიაჩნია რომ იგი თარგმნილია რუსული სასიმღერო ლექსის «Ключ» («Как счастлив я коль с тобой бываю»). ეს სიმღერა უყვარდა თურმე ლ. ტოლსტოის; ეს სიმღერაა რომელსაც „ომსა და მშვიდობაში“ მღერის ნატაშა როსტოვა.

409. ლეონიძე [გიორგი]. ნიკოლოზ ბარათაშვილი მოხელე. — სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 12.

410. ლეონიძე [გიორგი]. ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის. — სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 7.

ავტორს მოჰყავს ივანე ავალიშვილის ცნობა თუ როგორ გაავრცელა ზ. ჭიჭინაძემ ალექსანდრე ციციშვილის სურათი ნ. ბარათაშვილის პორტრეტად და დასძინს: „მეტად საინტერესოა ივ. ავალიშვილის ცნობა. არ ვიცი თუ რას იტყვიან ამ ამბავის სხვა მომსწრეები, მაგრამ ციციშვილის ცნობის გარეშეც, დროა აღიკვეთოს ნ. ბარათაშვილის ყალბი, ლეგენდარული პორტრეტი, ხოლო ამიერიდან სათანადოდ შესწავლილი და გამორკვეული იქნეს მის. თუმანიშვილის ესკიზი“.

411. ლომიძე გ[იორგი]. ბიბლიოგრაფია. — სალიტერატურო გაზეთი, 1933, № 5.

ავტორი განიხილავს მ. ზანდუკელის წიგნს „ახალი ქართული ლიტერატურა“ და ვრცლად ჩერდება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ნარკვევებზე.

412. რადიანი შ. და თაბუკაშვილი შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლიტერატურული ქრესტომათია, 1933, ნაწ. 1, გვ. 52—54.

### 1934

413. დოლიძე სოლ. ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. — დროშა, 1934, № 13.

წერილში მოთხრობილია ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ.

### 1935

414. ბალახაშვილი ი[აკობ]. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თსუ, 1935, გვ. 634—638.

ავტორს პოეტის გარდაცვალების თარიღად მიაჩნია 1845 წლის 9 ოქტომბერი.

415. ლეონიძე გიორგი. ორი შენიშვნა ბარათაშვილზე. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 625—629.

პირველი შენიშვნა ეხება ნ. ბარათაშვილის მიერ 1841 წლის 18 ოქტომბრის თარიღით გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილს, სადაც პოეტი „აღშფოთებაზე“ ანუ აჯანყებაზე ლაპარაკობს. მკვლევარის აზრით ეს შეეხება გურიის გლეხობის 1841 წლის აჯანყებას.

მეორე შენიშვნაში „ნ. ბარათაშვილის პოეტური სახელის ისტორიისათვის“, ავტორი გვაცნობს თანამედროვეთა შეხედულებებს პოეტის შემოქმედებაზე.

416. ლეონიძე გიორგი. ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის ავტოგრაფი. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 639—640.



ლაპარაკია მოქ. არტ. გაბუნიასაგან შექმნილ ნ. ბარათაშვილის ლექსის ავტოგრაფზე („ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა, მძღვანელობასა ქვეშა ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“).

417. **გაწერელია აკაკი**. ნ. ბარათაშვილის უცნობი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წ. I, 1935, გვ. 630—633.

ავტორი აქვეყნებს წერილს და აზუსტებს მისი დაწერის თარიღს.

418. **ზანდუკელი მ[იხეილ]**. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ახალი ქართული ლიტერატურა, I, ბათუმი, 1935; პოეტზე ნარკვევი მოთავსებულია გვ. 231—270.

### 1936

419. **ასათიანი ლევან**. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი. — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 20.

წერილი ეხება გიორგი თუმანოვის მიერ მიხეილ თუმანიშვილის არქივში ნაპოვნ თადეოზ ლადი-ზაბლოცკის წერილებს, რომლებშიაც იხსენიება ნ. ბარათაშვილი.

420. **ბალახაშვილი ი[აკობ]**. ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსი. (მცირე შენიშვნა ბარათაშვილის ლექსზე კ. დ. ჩ.). — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 2, გვ. 2.

ლექსი მიძღვნილია კენიან დარია ჩოლოყაშვილისადმი.

421. **ი. ბალახაშვილი**. შენიშვნები. გ. ერისთავი, თბუღლებანი, შ. რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით, თბილისი, „ფედერაცია“, 1936, გვ. 377—419.

შენიშვნებში ხშირად იხსენიება ბარათაშვილი, ხოლო გ. ერისთავის „შეშლილზე“ ლაპარაკისას აღნიშნულია, რომ აქ გამოყვანილია ნ. ბარათაშვილი და ავტორის მოაქვს ამის დასაბუთებელი მასალა.

422. **ბალახაშვილი იაკობ**. ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმისათვის. — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 15.

ავტორის ვარაუდით ნ. ბარათაშვილს ჰქონდა ფსევდონიმი „მირიან ივერი“.

423. **ბარათაშვილი უკრაინულად**. — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 2.

ცნობა, რომ უკრაინულად პოეტმა ი. კულიკმა თარგმნა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები.

424. **გაწერელია აკაკი.** დიდი პოეტური მემკვიდრეობა (ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 120 წლის შესრულების გამო). — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 2.

425. **გაწერელია აკაკი.** ნიკ. ბარათაშვილის უცნობი ნაწერები. — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 19.

ლაპარაკია ხელნაწერ ეურნალ „თბილისის გიმნაზიის ყუავილის“ შესახებ.

426. **გუგუშვილი პაატა.** ახალი მასალები ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — მნათობი, 1936, № 4.

427. **ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა.** — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 15.

ცნობა, რომ „ფედერაცია“ გამოსცემს ნ. ბარათაშვილის სრულ კრებულს.

428. **ორბელიანი გრიგოლ.** წერილები, ტომი I, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, 1936.

ცალკეულ პირთადმი გაგზავნილ წერილებში ხშირად იხსენიება ნ. ბარათაშვილი. № 71 წერილის შენიშვნაში მოყვანილია ილია ორბელიანის წერილი, რომელშიაც აღწერილია ნ. ბარათაშვილის გარდაცვალება, გვ. 284.

429. **ქიქოძე ვერონტი.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. წერილები ხელოვნებაზე, „ფედერაცია“, 1936 წ., გვ. 5—14.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვა.

430. **ხუნდაძე სიმონ.** დიმიტრი ყიფიანი, მონოგრაფია, თს.უ., 1936. წიგნში მოტანილია კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება ნ. ბარათაშვილზე და გრიგოლ ორბელიანისადმი პოეტის წერილის ნაწყვეტი.

431. **ჯიბლაძე გიორგი.** ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი. — მნათობი, 1936, №№ 5, 6.

ავტორი ამ ორ პოეტს აკუთვნებს რომანტიკოსთა იმ ჯგუფს, რომელიც მეზრძოლი, შეურიგებელი ხასიათით განირჩევა.

## 1937

432. **აბაშიძე გრიგოლ.** ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილები. — ლიტერატურული საქართველო, 1937, № 3.

საუბარია ილია ჭავჭავაძის წერილებში ნაპოვნ ნ. ბარათაშვილის ორ უცნობ ბარათზე.

433. **ასათიანი ლევან.** პუშკინის მთარგმნელი პოეტი მიხეილ თუმანიშვილი. — ლიტერატურული საქართველო, 1937, № 4.



წერილში საუბარია მ. თუმანიშვილისა და ნ. ბარათაშვილის მეგობრულ ურთიერთობაზე.

434. ასათიანი ლევან. ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა. — ჩვენი თაობა, 1937, № 9.

ნაწრომის მესამე თავში „ბარათაშვილისა და ლერმონტოვის საერთო მეგობარი“, ლაპარაკია კონსტანტინე მამაცაშვილზე.

435. ბალახაშვილი იაკობ. ილია ქავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1937.

XV თავში (გვ. 83—85) მოთხრობილია ილიას მიერ ეკატერინე ქავჭავაძის ბინაზე პავლოვსკში ნ. ბარათაშვილის ლექსების გაცნობისა და ილიას მიერ პოეტისადმი მიძღვნილი ლექსების შესახებ.

436. გაწერელია აკაკი. ნიკოლოზ ბარათაშვილის თემა და სტილი. — ჩვენი თაობა, 1937, № 9; ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბილისი, „ფედერაცია“, 1938, გვ. 105—124.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის პოეტური სტილის თავისებურებებს.

437. თუმანიშვილი მ. გ. თბილისის ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე ასი წლის წინათ. — საბჭოთა ხელოვნება, 1937, № 1.

ავტორი ლაპარაკობს მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ გამოშვებაზე და მასში ნ. ბარათაშვილის მონაწილეობაზე.

438. ქართული რომანტიკოსები რუსულად. — ლიტერატურული საქართველო, 1937, № 17.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მოეწყო საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სამდივნოში კრებულისათვის გამზადებული ქართველ პოეტთა რუსული თარგმანების განხილვა. მითითებულია, რომ განსაკუთრებით სუსტადაა თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ლექსები.

439. ყუბანეიშვილი სოლ[ომონ]. ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1937, სახელგამი, გვ. 109—159; იგივე 1961 წლის გამოცემა, გვ. 105—112; ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თსუ, 1967, გვ. 268—275.

ვაჟა-ფშაველას სკოლის მეგობარი ალ. გარსევანიშვილი იგონებს, რომ რუსული ენის მასწავლებლის დავალებით ვაჟას დაუმუშავებია თემა: „ლექსი „მერანი“, როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“, და მოკლედ გადმოსცემს რეფერატს შინაარსს.

440. ჩიქოვანი სიმონ. პუშკინი და ქართველი რომანტიკოსები. — ლიტერატურული საქართველო, 1937, № 4.

441. ხუნდაძე არკადი. ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — კომუნისტი, 1937, № 59.



ავტორი ეკამათება ადრე გამოქვეყნებული ცნობების ავტორებს.  
პოეტის დაბადების თარიღის შესახებ.

1938

442. აბზიანიძე გიორგი. აღვადგინოთ ნ. ბარათაშვილის პორტრეტი. — კომუნისტი, 1938, № 243.

443. აბზიანიძე გიორგი. ნ. ბარათაშვილის რეალური პორტრეტი-სათვის. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

444. ა. გ. [აკაკი ვაწერელია]. ჩვენი თაობა, 1938, № 10.  
რუსულ ენაზედ გამოცემულ ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებულის ბიბლიოგრაფია.

445. ასტვაცატუროვი ერემია. ნიკოლოზ ბარათაშვილი (გარდაცვალებიდან 93 წლის შესრულების გამო). — კომუნისტური აღზრდისათვის, 1938, №№ 10, 11.

446. აქტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების შესახებ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25, გვ. 2; ლიტერატურის მატეიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 484.

„1938 წლის 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმომტანი კომისიის წევრების... თანდასწრებით დიდუბის პანთეონში გათხრილ იქნა პოეტის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის საფლავი. საფლავიდან ნეშტის ამოღებას დაესწრო მწერალთა აქტივი.

საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დახურული; კარგად შენახული. კაკლის ხის კუბო დაშლილია...

მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია:

ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. მარცხენა ქვედა კიდურის წვივკოქის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოჟიჟება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულა. თავის ქალა საშუალო ზომისაა.

12 საათზე და 45 წუთზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში...“

447. ბალახაშვილი ი. ნ. ბარათაშვილი და ყაზბეგი. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

მცირე შენიშვნა ნ. ბარათაშვილის ყაზბეგში ყოფნისა და მ. ყაზბეგთან ურთიერთობის შესახებ.



448. ბალახაშვილი ი. ნ. ბარათაშვილის მშობლების წერილები. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

პუბლიკაცია.

449. ბარათაშვილის ლექსები რუსულად. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 7.

ცნობა.

450. ბენაშვილი დიმიტრი. ნიკოლოზ ბარათაშვილი (გარდაცვალებიდან 93 წლის შესრულების გამო). — ჩვენი თაობა, 1938, № 10; ხელოვნების საკითხები, 1941.

451. გაწერელია აკაკი. ნ. ბარათაშვილი — ტფილისის გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალის თანამშრომელი. ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ., „ფედერაცია“, 1938, გვ. 198—210.

452. გაწერელია აკ. ნიკ. ბარათაშვილის ლექსი. ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 211—219.

აღწერა და კლასიფიკაციის ცდა. ავტორი განიხილავს პოეტის ლექსის რიტმს, რითმასა და მეტრს.

453. გენიალური შემოქმედი. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

პოეტის გარდაცვალებიდან 93 წლისთავის გამო. მეთაური წერილი.

454. გოგიავა კლ[იმენტი]. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება და მეფის უანდარმერია. — კომუნისტი, № 243, 1938.

აღწერილია პოეტის გადმოსვენება განჯიდან თბილისში.

455. ვ. მ. ქართული პოეზიის მარგალიტი. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1938, № 117.

456. ი. ბ. [იაკობ ბალახაშვილი]. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები. მნათობი, 1938, № 12.

457. ი. ბ. ნიკ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

458. ინგოროყვა პავლე. ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. — კომუნისტი, 1938, № 243; საბჭოთა აფხაზეთი, 1938, № 217.

459. ინგოროყვა პავლე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — მნათობი, 1938, №№ 9, 10.

ბიოგრაფიული ვრცელი ნარკვევი.

460. ლეონიძე გიორგი. ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის. — კომუნისტი, 1938, № 245; საბჭოთა აფხაზეთი, 1938, № 247.

461. მაშაშვილი ალიო. ქართველი ხალხის გენია. — მნათობი, 1938, № 10.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 93 წლის შესრულების გამო.

462. მეუნარგია ი. „მუსაიფი გრიგოლთან“. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 22.

იონა მეუნარგას არქივში ნაპოვნი ჩანაწერები, სადაც გრიგოლ ორბელიანი ლაპარაკობს ნიკოლოზ ბარათაშვილზე. პუბლიკაცია სოლ. ცაიშვილის.

463. ანთოლოგიისათვის რუსულად თარგმნილი ქართული ლექსები. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 21.

მთარგმნელთა სექციის სხდომის ანგარიში, რომელზედაც წაკითხული იყო ნ. ბარათაშვილის ლექსთა თარგმანები.

464. ბარათაშვილის ლექსები რუსულად. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 7.

ცნობა პოეტის ლექსთა კრებულის რუსულად თარგმნის შესახებ.

465. ნ. ბარათაშვილის ნაწერები რუსულად. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 21.

ცნობა პოეტის წიგნის გამოსვლის შესახებ.

466. უდენტი ბესარიონ. „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 30.

რეცენზია აკ. გაწერელიას ნაშრომზე. რეცენზენტი ეხება ნარკვევს ნ. ბარათაშვილზე და ეკამათება ავტორს.

467. „ქართველი რომანტიკოსები“. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 5.

ცნობა, რომ ლენინგრადში მზადდება კრებული ქართველ რომანტიკოსებზე, სადაც შევა ნ. ბარათაშვილის ლექსებიც.

468. ხელთუბნელი მ. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 27.

წერილი ეხება მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის არქივში დაცულ მასალებს.

469. ხელთუბნელი მიხეილ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან; თბილისი, 1938.

470. ნადირაძე გიორგი. ბარათაშვილი და ლაიზევიცი. — მნათობი, 1938, № 4; „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“ 1939 წ. გამოცემა, გვ. 161—168.

471. ნადირაძე გიორგი. პოეტი და ადამიანი ნიკოლოზ ბარათაშვილი, საქ. ალკვ ცკ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამოცემა, სასკოლო ბიბლიოთეკა, თბილისი, 1938 წ. 104 გვ.

წიგნში დახასიათებულია ნ. ბარათაშვილის დროინდელი თბილისი, პოეტის ოჯახური წრე, ხელნაწერი ჟურნალი „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“, პოეტის სევდის მიზეზები, მისი სიცოცხლის დასასრული და ა. შ.



472. ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. — კომუნისტი, 1938, № 245; ლიტერატურული საქართველო, 1938, № 26.

პოეტის გარდაცვალებიდან 93 წლის აღსანიშნავი საღამოს ანგარიში.

473. ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა სასახლეში. — კომუნისტი, 1938, № 247; ახალგაზრდა კომუნისტი, 1938, № 244.

საღამოს ანგარიში.

474. ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან გადმოსვენება 1893 წელს. — კომუნისტი, 1938, № 245.

475. ოქროშიძე თამარ. ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან გადმოსვენება 1893 წელს. — კომუნისტი, 1938, № 245.

476. უდენტი ბესო. დიდი ქართველი ლირიკოსი. — კომუნისტი, 1938, № 244.

ავტორი ჩერდება პოემა „ბედი ქართლისას“ გარშემო და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები „არის სათავე იმ ისტორიული პოემებისა, რომლებიც ასე დამახასიათებელი იყვნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიისათვის. „ბედი ქართლისა“, ღრმა პატრიოტული გრძნობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეით შთაგონებული ქმნილებაა, სადაც „გალიაში დატყვევებული ბუღბუღის“ მეტაფორით პოეტმა თავისი დამონებული სამშობლოს ბედი გამოხატა“.

477. ქიქოძე გერონტი. რომანტიკოსების თაობა. ლიტერატურული ნარკვევები, 1938, გვ. 54—83; რჩეული თხზულებანი სამ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, ტომი I, გვ. 78—96.

ავტორის აზრით „სხვა რომანტიკოსებთან შედარებით ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო პათეტურია, მაგრამ უფრო ღრმაც. მას ახასიათებს ნათელი აზროვნება, შინაარსის და ფორმის პარმონიული მთლიანობა.. თავის შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილი შედარებით ნაკლებ დაკავშირებულია თავის გარემომცველ წრესთან და ნაკლებ ასახავს თავის თანამედროვე საზოგადოების პირობებს“.

478. ჩიქოვანი სიმონ. ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

მცირე შენიშვნა გარდაცვალებიდან 93 წლის შესრულების გამო.

479. ცაიშვილი სოლომონ. ნ. ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალები. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

ი. მეუნარგიას არქივში არსებული მასალები პოეტზე.

480. წულუკიძე ვანო. Н. Бараташвили. Стихотворения. Гос. Изд. Художественная литература. 1937. Москва. — მნათობი, 1938, № 10.

ბიბლიოგრაფია რუსულად გამოსულ ნ. ბარათაშვილის ლექსების წიგნზე.

481. ხელთუბნელი მ. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მუსიკა. — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

### 1939

482. ასათიანი ლ[ევან]. ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი. „ნიკოლზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. 145—148.

483. ახლად აღმოჩენილი მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — კომუნისტი, 1939, № 67.

ცნობა ეხება დიმიტრი ყიფიანის წერილებს სადაც ლაპარაკია ნ. ბარათაშვილზე.

484. ბალახაშვილი იაკობ. ტექსტისათვის. „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. 113—128.

485. „ბარათაშვილი“. — ლიტერატურული საქართველო, 1939, № 8.

ცნობა, რომ სახელგამმა გამოსცა შ. დადიანის პიესა „ბარათაშვილი“.

486. გ. ი. მელიტონ ბარათაშვილი. — ლიტერატურული საქართველო, 1939, № 1.

წერილი ეხება პოეტის მამას.

487. გრიშაშვილი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. 169—172; აგრეთვე: ლიტერატურული ნარკვევები, სახელგამი, 1952, გვ. 468—471; თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი IV, 1964, გვ. 335—338.

ავტორი ახდენს პოეტის დედის — ეფემიას და მამის — მელიტონის მიერ ზაქარია ორბელიანთან მიწერილი ბარათების პუბლიკაციას. ეს წერილები მას გადმოუწერია ნიკოლოზ ერისთავის ოჯახში.

487ა. გრიშაშვილი იოსებ. ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, თსუ, 1939, გვ. 79—106; თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი V, 1965, გვ. 31—73.

ავტორი აღნიშნავს რომ ილია ჭავჭავაძე კარგად კითხულობდა როგორც დეკლამატორი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს. მოტანილია ცნობა 1875 წლის ერთ-ერთ სალიტერატურო საღამოზე ილიას მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსის საჯარო კითხვაზე.

487 ბ. ენიკოლოფოვი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შესახებ. — საბჭოთა ხელოვნება, 1939, № 4.

488. ინგოროყვა პავლე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბიოგრაფიული ნარკვევი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. V—





XLIII, III; თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტომი I, 1963, გვ. 257—361.

ვრცელ ნაშრომში მკვლევარს შესწავლილი აქვს ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედების ცალკეული საკითხები.

489. მახარაძე აპოლონ. ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში (XIX საუკუნის მეორე ნახევარში), თბილისი, საბლიტგამი, 1939.

წიგნში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილზე.

490. ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები. — კომუნისტი, 1939, № 155.

წერილი ეხება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულ პოეტის ავტოგრაფებს.

491. რადიანი შალვა. ილია ჭავჭავაძე კრიტიკოსი. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, თსუ, 1939, გვ. 107—124.

ნაშრომში საუბარია ილიას დამოკიდებულებაზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან.

492. შანიძე აკაკი. ბარათაშვილის ენა. „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. 149—160.

493—495. ჯანაშია ს[იმონ]. ბარათაშვილის გენეალოგიისათვის: „ნიკოლოზ ბარათაშვილი...“, 1939 წ. გამოცემა, გვ. 131—144; აგრეთვე, ს. ჯანაშია, შრომები, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, ტომი II, 1952, გვ. 464—481.

1940

496. აბზიანიძე გიორგი. ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი. — ლიტერატურის მატრიანე, 1940, გვ. 379—381, წიგნი 1—2.

ავტორი ასაბუთებს, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსის „ქეთევან“-ის ობიექტი უნდა იყოს პოეტის ერთ-ერთი პირველი სიყვარული, ქეთევან შალვას ასული ერისთავი.

497. აბზიანიძე გიორგი. ყაფლან ორბელიანი. — ნაკ. ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი. — ლიტერატურის მატრიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 466—473.

498. ბალახაშვილი იაკობ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული წერილი. — ლიტერატურის მატრიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 483.

ნ. ბარათაშვილის ხელით დაწერილი მელიტონის წერილის პუბლიკაცია (წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი).

499. ბალახაშვილი იაკობ. ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის მეგობარი. — ლიტერატურული საქართველო, 1940, № 29.

ლაპარაკია ყაფლან ორბელიანზე.

500. **ბალახაშვილი იაკობ.** ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, დოკუმენტალური ნარკვევი; საბლიტგამი, თბ., 1940, 242 გვ. წიგნში მოიხსენება ნიკოლოზ ბარათაშვილი.

501. **ბარამიძე აღიქსანდრე.** ვახტანგ VI. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თსუ, 1940.

ავტორს მოყავს ვახტანგის სტრიქონები.

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,  
 ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
 მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
 სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს..

და აღნიშნავს:

„სწორედ ვახტანგის დამოწმებული შეგონება უნდა გამხდარიყო ნიკო ბარათაშვილის განთქმული სტროფის იდეურ წყაროდ:

მგვრამ რადგანაც კაცი გვექიან — შვილი სოფლისა,  
 უნდა კიდეცა მიედიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
 არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
 იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნვოს.

502. **გომელაური ივანე.** პედაგოგიური აზრები ნ. ბარათაშვილის ლექსებში. — საბჭოთა მასწავლებელი, 1940, № 95.

503. **გურიელი შ.** გენიალური ქართველი რომანტიკოსი. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1940, № 246.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 95 წლის გამო.

504. **გ. ჯ.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. საბჭოთა აფხაზეთი, 1940, № 240; ლენინის დროშა (მახარაძე), 1940, № 85.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 95 წლისთავის გამო.

505. **დანგაძე დ.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კოლმეურნე (სიღნაღი), 1940, № 154.

ნ. ბარათაშვილის დაბადების 124 წლისთავისათვის.

506. **დიდი ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი.** — სიმართლე (ქუთაისი), 1940, № 53.

პოეტის დაბადების 124 წლის შესრულების გამო.

507. **ენიკოლოფოვი ი.** მასალები ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — ლიტერატურის მატრიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 474—482.

ავტორი აქვეყნებს ნ. ბარათაშვილის უცნობ წერილს და პოეტის სამსახურებრივ მიმოწერას.

508. გრიშაშვილი ი. ალექსანდრე ჭავჭავაძე (ნარკვევი). ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940; იხ. აგრეთვე: ა. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, 1964, გვ. 7—99.

ნარკვევში ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის ურთიერთობაზე ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან.

509. კომახიძე კ. ნ. მ. ბარათაშვილი. მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1940, № 198.

წერილი ეძღვნება პოეტის გარდაცვალებიდან 95 წლისთავს.

510. ლენაშვილი კ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — საბჭოთა ოსეთი, 1940, № 246.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 95 წლისთავის გამო.

511. ლეონიძე გიორგი. ახლად აღმოჩენილი მოგონებანი დიმიტრი ყიფიანისა ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — კომუნისტი, 1940, № 246.

512. ლეონიძე გიორგი. სად ცხოვრობდა თბილისში ნ. ბარათაშვილი? — კომუნისტი, 1940, № 225.

513. ლეონიძე გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. — ლიტერატურის მათიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 397—465.

შენიშვნების წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ ამზადებს ვრცელ მონოგრაფიას პოეტზე და „ზოგიერთ ფრაგმენტებს შენიშვნების სახით ცალკეულად ვაქვეყნებთო“. ავტორი ეხება შემდეგ საკითხებს: პოეტის შორეული წინაპრები და რევაზ ბარათაშვილი; ბარათაშვილი და ალ. პუშკინი; კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე; დიმიტრი ყიფიანის მოგონება პოეტზე, ბარათაშვილის ერთი ლექსის ირგვლივ („როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“); ერთი დავიწყებული ლექსი ნ. ბარათაშვილზე (ვანო ბარათაშვილის „ეპიტაფია“ თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ნათქვამი); ნ. ბარათაშვილი მოხელე; სად გარდაიცვალა ნ. ბარათაშვილი, ნ. ბარათაშვილის უმცროსი და; პოეტი და ეგნატე იოსელიანი; ბარათაშვილის მეგობრები და თანამედროვე პოეტები; სად ცხოვრობდა თბილისში ნ. ბარათაშვილი; ბარათაშვილის პორტრეტისათვის; „მერანის“ ს. გენეზისი და ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავი და სხვ. ნაშრომში უხვადაა ჩართული საარქივო ცნობები და დოკუმენტები.

514. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების შესახებ (ლიტერატურული არქივი). — ჩვენი თაობა, 1940, № 4.

514ა. მელიქსეთ-ბეგი ლეონ. ნ. ბარათაშვილი სომხურ პოეზიაში. — ლიტერატურული საქართველო, 1940, № 8.

ბიბლიოგრაფიული სტატია.

515. მეტრეველი ს. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ქიათურის მალა-როელი, 1940, № 195.

პოეტის გარდაცვალებიდან 95 წლისთავის გამო.

516. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 95 წლისთავი. — კომუნისტი, 1940, № 245.

ინფორმაცია თუ როგორ ემზადება ამ თარიღისათვის საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმი.

517. ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღი (1817 წ. 15 დეკემბერი). — კომუნისტი, 1940, № 41.

518. ნ. მ. ბარათაშვილი. კოლექტიური მესაქონლეობა (თიანეთი), 1940, № 47.

დაბადებიდან 124 წლისთავის გამო.

519. ს. ც. [სოლომონ ცაიშვილი]. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, პოემა, წერილები. „ფედერაცია“, 1939, ტფილისი. — ჩვენა თაობა, 1940, № 2.

რეცენზიის ავტორი არ ეთანხმება გამომცემლებს პოეტის დაბადების თარიღის სისწორეში.

520. ქარჩილაძე კ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — საბჭოთა სვანეთი, 1940, № 54.

პოეტის დაბადებიდან ას ოცდა ოთხი წლისთავის გამო.

520ა. კაპანელი კონსტანტინე. ქართული კულტურა და ნ. ბარათაშვილი. — ლიტერატურული საქართველო, 1940, № 3.

520ბ. რადიანი შალვა. აკაკი წერეთელი — კრიტიკოსი. — აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებული, თსუ, 1940, გვ. 177—188.

ნაშრომში საუბარია აკაკი წერეთლის შეხედულებებზე ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე.

521. ქიქოძე გერონტი. XIX საუკუნე. ნარკვევი ლიტერატურის ისტორიიდან. დაუსწრებელი სწავლების კომბინატი. 1940.

საუბარია ნ. ბარათაშვილზე, გვ. 35—42.

522. ცაიშვილი სოლომონ. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — ლიტერატურის მატრიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 382—388.

იონა მეუნარგიას „უბის წიგნში“ არსებული ცნობები ნ. ბარათაშვილის შესახებ.

523. ხორავა ა. ნ. ბარათაშვილი. ბრძოლა თამბაქოსათვის (ლაგოდეხი), 1940, № 69.

524. ხუნდაძე სიმონ. ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი. — საბჭოთა ხელოვნება, 1940, № 2—3.



525. **ხელთუბნელი შიხ.** უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა. ლიტერატურის მატთანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 342—378. აღწერილია ნ. ბარათაშვილის უკანასკნელი პერიოდის სამსახური, განჯაში გამგზავრება და გარდაცვალება.

526. **ჩხეიძე ანა.** — ილია და ლერმონტოვი. — ილია ქავჭავაძის საიუბილეო კრებული, თსუ, 1940, გვ. 228—253.

ავტორი ეხება ილია ქავჭავაძის დამოკიდებულებას ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან.

527—529. **ხელთუბნელი შიხეილ.** ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები. — ლიტერატურის მატთანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 517—564.

530. **ხელთუბნელი შიხეილ.** ერთი ეპიზოდი ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან. — ლიტერატურული საქართველო, 1940, № 3.

531. [ბიბლიოგრაფია ნიკოლოზ ბარათაშვილზე].

წიგნში: ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკ. I (1852—1877), დოც. გ. აბზიანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის, საქ. სსრ სახელმწ. კ. მარქსის სახელ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1940.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში ნიკოლოზ ბარათაშვილზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითება სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით შემდეგ ნომრებზე: №№ 910, 1058—1089, 958, 960, 974, 1091, 1222, 1750.

## 1941

532. **ბალახაშვილი იაკობ.** ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა. — ლიტერატურული საქართველო, 1941, № 13.

533. **ბალახაშვილი იაკობ.** მ. ი. ლერმონტოვის ქართველი ნაცნობები. — ჩვენი თაობა, 1941, № 4; ცალკე წიგნად, თბილისი, სახელგამი, 1941, გვ. 70.

ავტორი ლაპარაკობს ლერმონტოვის ქართველ ნაცნობებზე, მათ შორის: ალ. ქავჭავაძე, მაიკო ორბელიანი, შაია თუმანიშვილი, კონსტ. მამაცაშვილი და სხვ. ვარაუდობს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც იცნობდა ლერმონტოვს და პირადად შეხვდა მას. ამის შესახებ იხ. გვ. 30—32.

534. **ბარამიძე გრ[იგოლ].** ნ. ბარათაშვილის შესწავლა VII კლასში. თბილისი, დაწყებითი და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამომცემლობა, 1941, გვ. 33.



წიგნში მოცემულია მეთოდური მითითებანი პოეტის ცხოვრებისა და ცალკეულ ნაწარმოებთა სკოლაში შესასწავლად.

535. გუგუშვილი პაატა. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1941.

წიგნში საუბარია „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ნ. ბარათაშვილის ნაწერებზე და იმ გამოხმაურებებზე რაც მათ მოჰყვა.

536. ზანდუკელი მიხეილ. ახალი ქართული ლიტერატურა, 1941, ტ. I. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი. გვ. 195—233.

537. კაპანელი კონსტანტინე. ლერმონტოვი და ბარათაშვილი. კომუნისტი, 1941, № 139.

538. მეძველია კონსტანტინე. ნიკ. ბარათაშვილის „მერანი“. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1941, ტ. II, გვ. 173—189.

539. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. II, (1877—1892), დოც. გ. აბზიანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის, საქ. სსრ სახელმწ. კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1941.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში ნიკოლოზ ბარათაშვილზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითებანი სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით, შემდეგ ნომრებზე: №№ 443, 1992, 1554, 2514, 2208, 2549—2554, 4394.

539ა. ხელთუბნელი მ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის დაუწერელი ფურცლებისათვის. — ლიტერატურული საქართველო, 1941, № 21.

## 1942

539ბ. ასათიანი ლევან. ქართული პოეზიის ტრადიცია პატრიოტიზმში. წერილები, „ფედერაცია“, 1942.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში პატრიოტული მოტივის შესახებ, იხ. გვ. 7—10.

540. ასათიანი ლევან. ილია ჭავჭავაძე რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე. წერილები, „ფედერაცია“, 1942.

ნ. ბარათაშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, იხ. გვ. 45—46.

541. კეშელავა პლატონ. საგმირო პოეზია. „ფედერაცია“, 1942.

გმირობის მოტივები ნ. ბარათაშვილის პოეზიაში, იხ. გვ. 65—73.

542. რადიანი შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რო-  
მანტიზმი. — მნათობი, 1942, № 11—12.

543. რადიანი შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი (პოეტის დაბადე-  
ბიდან 125 წ. შესრულების გამო). — ლიტერატურული საქართველო,  
1942, № 42.

544. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. — კომუნისტი,  
1942, № 306.

ცნობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებ-  
რივ მეცნიერებათა განყოფილების IX სამეცნიერო სესიის ჩატარების  
შესახებ. სესია მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის დაბადების 125 წლისთავს.

545—547. ქიქოძე გერონტი. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატუ-  
რის ისტორიიდან. რომანტიკოსები. — მნათობი, 1942, № 2.

განხილულია ნ. ბარათაშვილის შემოქმედება.

### 1943

548. აბზიანიძე გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ (მხა-  
ტვრულ-იდეური ანალიზი). — ლიტერატურული ძიებანი, 1943, ტ. I,  
გვ. 180—197.

ნაშრომი წაკითხული იყო მოხსენებით საქ. სსრ მეცნ. აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა IX სამეცნიერო სესიაზე 1942 წლის  
29 დეკემბერს.

549. ასათიანი ლევან. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კომუნისტი,  
1943, № 258.

პოეტის დაბადებიდან 126 წლისთავის გამო.

550. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. — კომუნის-  
ტი, 1943, № 4.

ნ. ბარათაშვილის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სა-  
მეცნიერო სესიის მოკლე ანგარიში.

### 1944

551. აქ ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი. — კომუნისტი, 1944, № 219.  
ლაპარაკია თბილისში, ჩახრუხადის (ყოფ. ანჩისხატის) ქ. № 17-ში  
მდებარე სახლზე.

552. ნაცვლიშვილი პ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. — მგზნე-  
ბარე კოლხიდელო (ფოთი), 1944, № 251.

დაბადებიდან 127 წლისთავის გამო.

553. ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის საღამო. — ლიტერატურა  
და ხელოვნება, 1944, № 41.

საქ. საბჭოთა მწერლების კლუბში გამართული საღამოს  
ბრძანება.

554. სცენარი ნ. ბარათაშვილზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, № 7.

ცნობა, რომ პოეტის ცხოვრებაზე კინოსცენარი დაწერა გიორგი ლეონიძემ.

555. ქუთელია ალექსანდრე. ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, №№ 32, 38, 39.

556. ქუთელია ალ. ნ. ბარათაშვილი — ქართული პოეტური გენია (გარდაცვალებიდან მომავალი ასი წლისთავისათვის). — ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, № 26.

557. ქართველი მწერლები. ალბომი შედგენილი ბ. გორდეზიანის მიერ, 29 პორტრეტით, წინასიტყვაობით და მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. სახელგამი, თბილისი, 1944, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 32—33.

558. ყაზახელი. წერილი ბარათაშვილის უბნიდან (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 99 წლისთავზე). — ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, № 36.

წერილი ეხება თბილისში, ჩახრუხაძის ქ. № 17-ში მდებარე სახლზე მემორიალური დაფის გახსნას.

559. ჭილაია სერგო. გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის. — მნათობი, 1944, 3; ლიტერატურული წერილები, 1, თბილისი, სახელგამი, 1946, გვ. 3—27.

არკვევს რა ამ ორი პოეტის ლიტერატურულ ურთიერთობას, ავტორი დაასკვნის: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა გრიგოლ ორბელიანი მიიღო როგორც წინამორბედი, სულიერი მეგობარი და მასწავლებელი, შემდეგ კი მასწავლებელს თავად გაეჭიბრა, როგორც ნოვატორი. ქართულ პოეზიას მოველინა პოეტური ოსტატობის მწვერვალად და ამ სიახლის გზაზე, ფილოსოფიური ხილვისა და პოეტური ოსტატობის ძალით დაჯილდოებული ლირიკოსი, თავის მასწავლებელზე მაღლა დადგა“.

560. ხუციშვილი ს[ოლომონ]. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პირველნაბეჭდი.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1944, ტ. IV, № 8, გვ. 855—860.

„როგორც ჩანს, პირველნაბეჭდის ტექსტი საკმაოდ დაუმახინჩებია ცენზურას, პოემიდან მას ამოუღია ისეთი ნაწილები, რაც ნაწარმოების გაგებისთვის აუცილებელია“.

561. ქართული უსურნალები და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ნაკვ. III, (1893—1905), საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1944.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში ნიკოლოზ ბარათაშვილზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითება სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით, შემდეგ ნომრებზე: №№ 684, 3214, 3484, 6314, 6340, 6380, 6397—6431, 6918, 7086, 7332, 7487, 7625, 11934, 11936, 11977, 11992, 12179.

## 1945

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილე  
(გარდაცვალებიდან ასი წლისთავი)

562. აბზიანიძე გიორგი. კომენტარები. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა 1845—1945, „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი“. გვ. 99—102.

563. აბზიანიძე გ. ნ. ბარათაშვილის იუმორი და სატირა. — ნიანგი, 1945, № 16.

564. აბზიანიძე გ. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.

მოკლე შენიშვნებში ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის პორტრეტის საკითხს, ვინ არის პოეტი დიმიტრევსკი და პოეტის ამხანაგი გარსევან ვარლამოვი.

565. აბზიანიძე გ. ფენომენალური ყრმა. საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და პოეზია.

566. აგიაშვილი ნიკოლოზ. პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, №№ 100, 102, 106, 108, 110.

567. აგჩიანი ს[ურენ]. ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა. — ლიტერატურა და ხელოვნება. 1945, № 15.

568. ალავიძე მ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ბოლშევიკური ტემპით, 1945, № 12.

569. ალავიძე მ[იხეილ]. ნ. ბარათაშვილის ენა. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 101.

570. ალავიძე მ. ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის შესახებ. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 208.

571. ალავიძე მ. იენიალური ქართველი პოეტი. — სიმართლე (ქუთაისი), 1945, № 43; ახალი დოკუმენტები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. — კომუნისტი, 1945, № 200; საბჭოთა აჟარა, 1945, № 204.

572. **ბაბლიძე ე.** მგზნებარე აზრთა სარდალი. — ლენინელი, 1945, № 38.
573. **ბალახაშვილი იაკობ.** ნ. ბარათაშვილის მასწავლებლები: საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 20.  
ლაპარაკია ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილზე და ნიკოლოზ დემენტიევზე.
574. **ბალახაშვილი იაკობ.** ბარათაშვილის დედის წერილი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 11.  
ეფემიას წერილი ზაქარია ორბელიანისადმი.
575. **ბალახაშვილი იაკობ.** ნიკოლოზ ბარათაშვილის დავიწყებული ლექსი. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, № 97.  
ლაპარაკია ლექსზე „კავკასი“.
576. **ბალახაშვილი იაკობ.** ახალი მასალები ნ. ბარათაშვილზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 13.  
საუბარია ალ. ქავჭავაძის ერთ სახუმარო მუნასიბზე და ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე 1832 წლის შეთქმულებასთან.
577. **ბარათაშვილის ლირიკა.** — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207, 208.
578. **ბარათაშვილი და სამხრეთ-ოსეთის მწერლები.** — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207, 208. მუხტარ შავლახოვი, ფ. გაგლოვი (გაფეზი), რევაზ ასაევი.
579. **ბარამიძე გრ.** ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესწავლისათვის საშუალო სკოლაში. საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.
580. **ბებია პ[ლატონ].** ნიკოლოზ ბარათაშვილი. — სტალინის დროში (ჩხოროწყუ), 1945, № 40.
581. **ბეგიაშვილი თედო.** ნიკოლოზ ბარათაშვილის რეალიზმი და პოემა „ბედი ქართლისა“. — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207, 208.
582. **ბეგიაშვილი თ.** ბარათაშვილი და მისი დრო. — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 204, 205.
583. **ბერიძე ვ. და იორდანაშვილი ს.** ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ლექსიკონი. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა, ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი, გვ. 161—164.
584. **ბერძენიშვილი მ[აქსიმე].** ს. დოდაშვილი — ნ. ბარათაშვილის მასწავლებელი. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.
585. **გაჩეჩილაძე გივი.** ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ინგლისური თარგმანის გამო. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 39.
586. **გაწერელია ა.** პატრიოტიზმი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.



587. გაწერელია აკაკი. „მერანი“ (გარჩევა). — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, №№ 35, 36.
588. გაწერელია აკ. წერილები. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი“, გვ. 103—116.  
ნ. ბარათაშვილის წერილების კომენტარები.
589. გელდიაშვილი ე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ახალი შირაქი (წითელწყარო), 1945, № 41.
590. გენიალური ქართველი პოეტი. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, № 113.  
გაზეთის მოწინავე სტატია.
591. გვენცაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კრლმეურნის ხმა (თელავი), 1945, № 14.
592. გრიშაშვილი ი. ბარათაშვილის პოეზიის ერთი თავისებურება. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.
593. გრიშაშვილი ი. „ცისა ფერს“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35; იხ. აგრეთვე: ლიტერატურული ნარკვევები, სახელგამი, 1952, გვ. 108—113; თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი IV, 1964, გვ. 123—128. „ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და ალექსანდრე ჭავჭავაძის „ფერსა ბნელს“.  
ავტორი იკვლევს ლექსის წარმოშობის ისტორიას.
594. გუგუნავა მ. პოეზიის ღიადაყე. — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.
595. გუგუშვილი ვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული პოეზია. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 207.
596. გუგუშვილი ვ. მებრძოლი პოეტი. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.
597. გურგენიძე პ. ნ. ბარათაშვილი. — სტალინური სიტყვა (საგარეჯო), 1945, № 37.
598. გურიელი შ. მგზნებარე პატრიოტი. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.
599. დეკანოიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კომუნისტური სიტყვა (ჭიათურა), 1945, № 41.
600. დიდი კლასიკოსი. — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.
601. დიდი პოეტი, დიდი ქართველი. — ახალი წყალტუბო, 1945, № 44.
602. დიდი ქართველი მგოსანი. — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207, 208.



603. **ენაკლოფაშვილი ი.** ბარათაშვილის ნაკვალევზე ნახტევანში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.
604. **ენაკლოფაშვილი ი.** თბილისის პირველი ბიბლიოთეკა და ნ. ბარათაშვილი. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.
605. **ენაკლოფაშვილი ი.** — კომუნისტი, 1945, № 192.
- ზაქარია ფალავანდიშვილის წერილები ნ. ბარათაშვილის შესახებ, დაცული საქ. სახელმწიფო მუზეუმში.
606. **ზამბახიძე ვ. ნ.** ბარათაშვილის მეგობარი და პირველი ბიოგრაფი. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 12.
- წერილი ეხება კონსტანტინე მამაცაშვილს.
607. **ზარქუა მ.** გრძნობადი სახეები „მერანში“. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 202.
608. **თანამოკალმენი ნ.** ბარათაშვილის შესახებ. — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.
- ი. ქავჭავაძის, ალ. ორბელიანის და ნ. ყიფიანის აზრები პოეტზე.
- 608ა. **თევზაძე ა.** მომავლის მომღერალი. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14; ლიტერატურული წერილები და ნარკვევები, თბ., 1962, გვ. 5—7.
609. **თუშიშვილი მ.** ნიკ. ბარათაშვილი და თანამედროვეობა. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.
610. **ივანიძე ს.** დიდბუნებოვანი პოეტი. — ახალი წყალტუბო, 1945, № 44.
611. **ინგოროყვა პავლე.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი“, გვ. IX—LXXVIII.
612. **იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.** ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.
- დიდი ქართველი პოეტის, ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლის აღსანიშნავად მოწვეული საქ. საბჭ. მწერლების კავშირის და მოძმე რესპუბლიკების მწერლების წარმომადგენელთა პლენუმის მიმართვა.
613. **კეშელავა პ.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ლენინური გზით (ყვარელი), 1945, № 42.
614. **კ. კ. [კორნელი კეკელიძე].** გამოცემისათვის. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი“, გვ. 165—168.
615. **კლახიკოსები ბარათაშვილზე.** — ბოლშევიკური სიტყვა (ხაშური), 1945, № 43.
- ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი ნ. ბარათაშვილის შესახებ.

616. კობახიძე პ. ბარათაშვილის სახე ფოთელი მწერლების შემოქმედებაში. — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 106.

617. კუპრაძე ვიქტორ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. — მნათობი, 1945, № 10.

მოსხენება, წაკითხული ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად თბილისის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივის საზეიმო სხდომაზე, 1945 წლის 21 ოქტომბერს.

618. ლეონიძე გიორგი. დიდი ქართველი პოეტი. — საბჭოთა აფხაზეთი, 1945, № 204.

619. ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კომუნისტი, 1945, № 208; ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

620. ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მოკლე ბიოგრაფია). 1945 წ. საიუბილეო გამოცემა. „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულება-ნი“, გვ. V—XXXII.

621. ლუნდბერგი ე. შენიშვნები ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 41.

622. მეძველია კ. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების საკითხისათვის. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 186.

623. მეძველია კ. ნ. ბარათაშვილი და „ცისკრის“ მწერლები. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 198.

624. მეძველია კ. ნ. ბარათაშვილის წერილების ავტოგრაფები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 23.

ავტორი აღნიშნავს გამოცემებში დაშვებულ შეცდომებს გამოწვეულს იმით, რომ ნ. ბარათაშვილის წერილები ზოგჯერ არაა სათანადოდ შემოწმებული ავტოგრაფებთან.

625. მეძველია კ. ქართველი ხალხის დიდი პოეტი. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.

626. ნადირაძე გ. პატრიოტიზმი ნ. ბარათაშვილის ბუნების გრძნობაში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

627. ნადირაძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, № 113; საბჭოთა მილიციელი, 1945, № 34.

628. ნადირაძე გიორგი. ბარათაშვილის ყვავილები. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.

629. ნატროშვილი გიორგი. „სიკვდილი ბარათაშვილისა“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 34.

გარჩეულია ა. გაწერელის ამავე სახელწოდების მოთხრობა.

630. ნატროშვილი გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — პიონერი, 1945, № 9.

631. ნატროშვილი გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ბოლშე-  
ვიკი, 1945, № 10—11.
632. ნატროშვილი გიორგი. მებრძოლი პოეტი. — საბჭოთა მას-  
წავლებელი, 1945, № 14.
633. ნაცვლიშვილი კ. პოეზიის მადლი და ნიჭი. — მგზნებარე  
კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.
634. ა. კ. ნ. ბარათაშვილი — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
კორესპონდენტი. — საბჭოთა აჭარა, 1945, № 201.
635. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბეჭდური გამოცემანი. —  
საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.  
გამოცემათა ბიბლიოგრაფია.
636. ნ. ბარათაშვილის რჩეული ნაწერები აფხაზურ ენაზე. — ლი-  
ტერატურა და ხელოვნება, 1945, № 37.
637. ნ. ბარათაშვილის ლექსები სომხურ ენაზე. — ლიტერატურა  
და ხელოვნება, 1945, № 32.
638. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — სტალინური გზით (დუშეთი),  
1945, № 10.
639. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — კომუნისტი, 1945, № 209.  
ვახუტის მეთაური წერილი.
640. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მოკლე ბიოგრაფიული ცნობე-  
ბი). — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.
641. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი (ბიოგრაფიული  
ცნობები). — ლენინის დროშა (მახარაძე), 1945, № 37—38.
642. ნუცუბიძე გრ. დიდი ქართველი პოეტი. — სტალინური ლო-  
კომოტივი, 1945, № 126.
643. პოეტის გარეგნობა და პორტრეტი. საბჭოთა აჭარა, 1945,  
№ 201.
644. პოეტის ნეშტის ჩამოსვენება თბილისში. — ახალგაზრდა კო-  
მუნისტი, 1945, № 113; საბჭოთა მილიციელი, 1945, № 34.  
აღწერილია პოეტის ნეშტის გადმოსვენება 1893 წელს განჯიდან.
645. რადიანი შ. დიდი ქართველი რომანტიკოსი. — კომუნისტი,  
1945, № 209.
646. რომანსები ბარათაშვილის ტექსტებზე. — ლიტერატურა და  
ხელოვნება, 1945, № 35.
647. სერელი ვ. დიდი მგოსანი. — ლენინის დროშა (მახარაძე),  
1945, № 36.
648. ფარქოსაძე ი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ოქტომბრის გზით  
(საჩხერე), 1945, № 40.



649. ქართველი კლასიკოსები ბარათაშვილის შესახებ. — საბჭოთა ოსეთი, 1945, № 207—208. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის აზრი პოეტზე.

650. ქართველი ხალხის გენიალური პოეტი. — დამკვრელი (წულუკიძე), 1945, № 42.

651. ქართველი ხალხის დიდი პოეტი. — ჭიათურის მადაროელი, 1945, № 127.

652. ქართველი ხალხის პოეტური გენია. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

653. ქართული პოეზიის დიდება. — საბჭოთა აფხაზეთი, 1945, 240.

654. ქართული პოეზიის მზე. ბოლშევიკური ტემპით (ცაგერი), 1945, № 12.

655. ქიქოძე გერონტი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 11; რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, 1963, გვ. 104—108.

სიტყვა წარმოთქმული მწერალთა სასახლეში პოეტის კარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სადამოზე.

656. ქუთათელი ალ. ორი მოსაზრება ბარათაშვილზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 15.

ავტორი ეხება ალ. ქუთათელის წერილში წამოყენებულ მოსაზრებებს.

657. ქუთელია ალექსანდრე. ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა (კრიტიკული შენიშვნები); — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, №№ 31, 32, 38, 39; ცალკე წიგნად, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1945, გვ. 67.

ავტორი ავითარებს აზრს, რომ ბარათაშვილმა თავისი მცირერიცხოვანი ლექსებით განუმეორებელი კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში და მან პირველმა სრულიად გაანთავისუფლა ქართული პოეზია სპარსულის გავლენისაგან. შექმნა ჭეშმარიტად ნაციონალური პოეზია.

ნაშრომში ვრცლადაა განხილული ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა.

658. ყუბანეიშვილი ს. ნ. ბარათაშვილი განჯაში. — კომუნისტი, 1945, № 204.

659. ყუბანეიშვილი ს. ხელნაწერები და გამოცემები. 1945 წ. საიუბილეო გამოცემა „ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი“, გვ. 117—142.



5. ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფებისა და გამოცემების შესახებ.

660. შამათავა დ. ნ. ბარათაშვილი და ქართველი პოეტები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 34.

661. შანიძე ა. ნ. ბარათაშვილის ენა. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.

662. შანშიაშვილი ს. დაუცხრომელი სულის პოეტი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

663. შარაშიძე ქ. ნ. ბარათაშვილის დროინდელი ერთი სახელმძღვანელო. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.

წერილი ეხება „რაზღოვორის წიგნს“, რომელიც სახელმძღვანელოდ იხმარებოდა.

664. შარია პეტრე. დიდი ქართველი პოეტი. — მნათობი, 1945, № 10; კომუნისტი, 1945, № 214.

წერილი პირველად გამოქვეყნებული იყო იაზ. „პრავდაში“, 1945, 21 ოქტომბერს.

ავტორი წერს: „ბარათაშვილმა XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში პირველმა აღმაღლა ადამიანის გრძნობისა და გონების ხმა დამყაყუბული, სულის შემხუთველი სინამდვილის წინააღმდეგ. მისი შემოქმედების რომანტიკული პათოსი მას სრულებითაც არ უშლიდა ხელს ნათლად დაენახა და გაეგო რეალური ურთიერთობანი და სავსებით რეალისტურად გამოესახა ისინი“.

665. შარშიაშვილი ნ. ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. — კოლმეურნე (სიღნაღი), 1945, № 42.

666. შენგელაია დ. „ბედი ქართლისა“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

განხილულია ნ. ბარათაშვილის პოემა.

667. შიოშვილი ნ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ოქტომბრელი, 1945, № 9.

668. ჩავლეიშვილი კ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — საკოლმეურნეო გზა (თეთრი წყარო), 1945, № 40.

669. ჩხეტია შ[ალვა]. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტ. I, თბ., საქ. სსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამ-ბა, სახელგამი, 1945, მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, გვ. 424.

შესავალში განხილულია საკითხები: ბარათაშვილოლოგიისათვის, ბარათაშვილის ავტოგრაფებისათვის და დოკუმენტების პუბლიკაციისათვის. წიგნი დაყოფილია შემდეგ განყოფილებებად: 1. ადმინისტრაციული რეფორმა ნ. ბარათაშვილის დროს, II. ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების აღწერილობა; III. დოკუმენტები ნ. ბარათაშვი-



ლის შესახებ (ტექსტები); IV. ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების ფოტოპირები.

წიგნს ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

670. ცაიშვილი სოლომონ. ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.

671. ცაიშვილი სოლ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან. — კომუნისტი, 1945, № 206.

672. ცხოვრება ბარათაშვილისა. — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207—208.

673. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.

ცნობა ი. მეუნარგიას მონოგრაფიის ცალკე წიგნად გამოცემის გამო.

674—75. წულუყიძე პ. მცირე მოგონება. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.

მოგონება ეხება პოეტის ნეშტის გადასვენებას.

676. ჭილაია ს. „ბედი ქართლისა“. — კომუნისტი, 1945, № 207. განხილულია ნ. ბარათაშვილის პოემა.

677. ქიქინაძე კონსტანტინე. ბარათაშვილის პოეტიკა. — მნათობი, 1945, № 10.

ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ პლენუმზე.

678. ჯაფარიძე ვ. გენიოსი პოეტი. — სოციალისტური მშენებლობა (ონი), 1945, № 43.

679. ჯიბლაძე გ. ბარათაშვილი და თანამედროვეობა. — კომუნისტი, 1945, № 209; საბჭოთა აჭარა, 1945, № 206; კრიტიკული ეტიუდები, 1949, გვ. 3—17.

680. ჯიბლაძე გიორგი. კრიტიკული ეტიუდები, თბ., სახელგამი, 1945. დიდი პოეტი, გვ. 75—93.

681. ჯიბლაძე გ. ბარათაშვილი და ლერმონტოვი. კრიტიკული ეტიუდები, 1945, გვ. 7—52; 1949, გვ. 18—96.

682. ჯიბლაძე გიორგი. „მერანი“. — მნათობი, 1945, № 1; კრიტიკული ეტიუდები, 1945, გვ. 109—123; 1949, გვ. 97—124.

683. ჯიბლაძე გიორგი. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება (თეზისები და გეგმა მოხსენებისათვის). თბ; ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომიტეტის გამოცემა, 1945, გვ. 15.

684. ხალხის მგოსანი. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 209.



- 685. სინთიბიძე ა[ნტონ]. პედაგოგიური ფრაგმენტები ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან. — საბჭოთა აფხაზეთი, 1945, № 198.
- 686. ხორავა ბ. დიდი ქართველი პოეტი და მოქალაქე. — სტალინური გზით (გალი), 1945, № 41.
- 687. ხუციშვილი ს. მცირე ცნობა ნ. ბარათაშვილის საფლავზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.
- 688. ხუციშვილი ს. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — სტალინელი (გორი), 1945, № 43.

იუ ბ ი ლ ე ს ქ რ ო ნ ი კ ა

- 689. ა. გ.-ნ. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო საღამო. — კოლმეურნის ხმა (თელავი), 1945, № 41.  
თელავის სახელმწიფო თეატრში ჩატარებული საღამოს ანგარიში.
- 690. აგლაძე ე. ბარათაშვილის დღეები პიონერთა სასახლეში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 37.
- 691. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოში. დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. — საბჭოთა აფხაზეთი, 1945, № 207.
- 692. აღნიშნავენ ნ. ბარათაშვილის იუბილეს. — მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, № 200.  
ქალაქის პარკისა და კუნძულის უბნების კლუბებში ჩატარებული საღამოები.
- 693. ახალი წიგნი ბარათაშვილის შესახებ. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 27.  
ცნობა ალ. ქუთელიას წიგნის „ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“—ს გამოსვლის შესახებ.
- 694. აღექსანდრე ქუთელია — ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 31.  
წიგნის ანოტაცია.
- 695. ახალი წიგნი ბარათაშვილზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.  
ცნობა გ. ნადირაძის წიგნის — ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმის გამოსვლის შესახებ.
- 696. ბარათაშვილის საღამო წავკისში. — სტალინის დროშა, 1945, № 49.
- 697. ბარათაშვილის საიუბილეო დღეები. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 13.



საიუბილეო დილები ქ. ფოთის დაწყებით და საშუალო სკოლებში.

698. ბერუჩევი გ. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო თარიღისათვის მზადება (ონის საშუალო სკოლაში). — სოციალისტური მშენებლობა (ონი), 1945, № 42.

699. „ბარათაშვილის თანამედროვენი“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 18.

საქ. მწერალთა კავშირის პროზის სექციის სხდომაზე ი. ბალახაშვილის მიერ წაკითხული მოხსენების ანგარიში.

700. გამოფენა ზუგდიდის მუზეუმში. — კომუნისტი, 1945, № 211.

გამოფენა მიძღვნილია ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი.

701. გრიგოლია დ. ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საბჭოთა აფხაზეთი, 1945, № 205.

სოხუმის ვაჟთა I საშ. სკოლაში ჩატარებული საღამოს ანგარიში.

702. გორდელაძე ი. ნ. ბარათაშვილის დღეები (ჩოხატაურში). — ბრძოლის დროშა (ჩოხატაური), 1945, № 39.

703. დევიძე ნ. მზადება ნ. ბარათაშვილის იუბილესათვის. — სოციალისტური შეტევა (სამტრედია), 1945, № 41.

ცნობა პოეტის იუბილისათვის ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მზადების შესახებ.

704. დიდი პოეტის ხსოვნისათვის. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 14.

რაიონებში ჩატარებული საზეიმო საღამოების ანგარიში.

705. დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო საღამოები. — კომუნისტი, 1945, № 209.

საღამოები წულუკიძესა და ლაგოდეხში.

706. თ. მ-ძე. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. — ბოლშევიკური სიტყვა (ხაშური), 1945, № 43.

707. იუბილეს ქრონიკა. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 12.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მზადება ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესიისთვის.

708. იუბილეს ქრონიკა. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 12.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამ. ტექნიკუმის მზადება პოეტის იუბილისთვის.

709. იქ სადაც სწავლობდა პოეტი. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 12; საბჭოთა მილიციელი, 1945, № 34.

თბილისის ყოფილი I ვაჟთა გიმნაზია.

710. კობრიძე თ. საიუბილეო საღამო თიანეთში. — სოციალისტური შეტევა, 1945, № 41.

711. კეკელიძე კ[ორნელი]. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალა გამოცემისათვის.

ავტორი, როგორც თხზულებათა გამომცემი კომისიის თავმჯდომარე, მიმართავს ყველას განცხადებით, რომ თუ ვისმეს მოეპოვება რაიმე მასალა დაკავშირებული ნ. ბარათაშვილის სახელთან მიაწოდონ კომისიას. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 8.

712. ლეთოდიანი კ. დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო საღამო. — ბოლშევიკური ტემპით (ვაგერი), 1945, № 13.

ვაგერის რაიონულ კლუბში და ქალაქის არასრულ საშუალო სკოლაში ჩატარებული ზეიმის ანგარიში.

713. ლიტერატურული საღამო რიონჰესში. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 202.

საღამო მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის ხსოვნას.

714. მანჯგალაძე შ. ზვარეთის სკოლა ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეებში. — სოციალისტური მშენებლობა (ონი), 1945, № 42.

715. „მერანი“. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.

ცნობა, რომ თბილისის კინოსტუდია ამზადებს მხატვრულ კინოფილმს „მერანი“, რომლის სცენარის ავტორია ეროლინსკი, რეჟ. შ. გედევანიშვილი და ვ. ტაბლიაშვილი.

მზადდება აგრეთვე ბიოგრაფიული კინო სურათი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სცენარი გ. ლეონიძის, რეჟ. შ. ჩაფუნავა.

716. მზადება ნ. ბარათაშვილის იუბილისათვის ქუთაისში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 27.

717. მზადება ნ. ბარათაშვილის იუბილისათვის. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 30.

ვრცელი ანგარიში.

718. მესხია ვ. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეები (ზუგდიდის რაიონში). — კომუნისტი, 1945, № 205.

719. მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო სესია მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი.

1945 წ.; 16 და 17 ოქტომბერს; მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

720. მიტინგი ნ. ბარათაშვილის საფლავზე. — კომუნისტი, 1945, № 210; ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.

მთაწმინდის მწერალთა პანთეონში გამართული მიტინგის ანგარიში.

721. მზადება აჭარაში. — საბჭოთა აჭარა, 1945, № 201.

722. მზადება ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეებისათვის. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 8.





723. ქრონიკა. მზადება ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი. — კომუნისტი, 1945, № 179.
724. „მოიგონებდეთ ყარიზ მგოსანსა“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.
- საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მოწყობილი გამოფენის შესახებ.
725. მოწონელიძე ე. საიუბილეო საღამო პედსასწავლებელში (ამბროლაურში). — კომუნარი (ამბროლაური), 1945, № 44.
726. მუავანაძე შ. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო საღამო სუფსაში. — დამკვრელი კოლმეურნე (ლანჩხუთი), 1945, № 37.
727. ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის ჩამტარებელ რესპუბლიკურ კომიტეტში. კომუნისტი, 1945, № 109.
- ღონისძიებათა პროექტი.
728. ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 37.
- თბილისის კიროვის სახ. ინდუსტრიალურ ინსტიტუტში ჩატარებული საღამოს ანგარიში.
729. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეები წყალტუბოში. — ახალი წყალტუბო, 1945, № 44.
730. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეები (ბათუმის პედინსტიტუტში) — საბჭოთა აჭარა, 1945, № 216.
731. ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენისა სახელმწ. თეატრში და ბარათაშვილის საფლავზე, 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 35.
732. ნ. ბარათაშვილის დღეებისათვის. — საბჭოთა მილიციელი, 1945, № 34.
- იუბილის ქრონიკა: გამოფენა ლიტ. მუზეუმში და თბილისის კინოსტუდიის მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღება.
733. ნიკოლოზ ბარათაშვილის 100 წლისთავი. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი. ახალგაზრდა კომუნისტი, 1945, № 113.
734. ნიკოლოზ ბარათაშვილის დღეები. — კომუნისტი, 1945, №№ 208, 212.
- ი. ბ. სტალინის სახ. გორის სახელმწ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბორჯომის სახ. თეატრში და ფოთის საქალაქო ბიბლიოთეკაში.
735. ნიკოლოზ ბარათაშვილის სამშობლო სოფელში. — კომუნისტი, 1945, № 198.
- პოეტის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი

736. ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტში). — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 207.

737. ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მოსკოვში. — კომუნისტი, 1945, № 207.

1945 წლის 15 ოქტომბერს ჩატარებული საღამოს ანგარიში.

738. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. — კოლმეურნის მნათობი (ვანი), 1945, № 43. ვანის კულტსახლში ჩატარებული საღამოს ანგარიში.

739. ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო საღამო. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 210.

საღამო ჩატარდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში 21 ოქტომბერს.

740. ნ. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეები ფოთის სკოლებში. მგზნებარე კოლხიდელი (ფოთი), 1945, №№ 198, 200.

741. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო საღამო გორში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.

742. ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 39.

ე. ი. ლენინის სახ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ჩატარებული საღამოს ანგარიში.

743. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 42.

ცნობა, რომ რუსულად გამოიცა აკაკი გაწერელიას ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“.

744. მიქაშავიძე ნ. მზადება აფხაზეთში ნ. ბარათაშვილის საიუბილეოდ. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 33.

745. „ლიტერატურული ფურცელი“. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 37.

თბილისის კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში გამოსული ერთდროული გაზეთის ანოტაცია. გაზეთი მიძღვნილია ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი.

746. პოეტის სამშობლო სოფელში. — საბჭოთა მასწავლებელი, 1945, № 12.

მიტინგი სოფ. მარაბდაში.

747. საზეიმო სხდომა ბათუმში. — საბჭოთა აპარა, 1945, № 207.

748. საზეიმო სხდომა თბილისის ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.



749. საზეიმო სხდომა თბილისის ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. — კომუნისტი, 1945, № 210.

750. საინტერესო გამოფენა. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 208.

ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა ქუთაისის ქალთა I საშ. სკოლაში.

751. საიუბილეო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი. — საბჭოთა ოსეთი, 1945, №№ 207, 208.

752. საიუბილეო სხდომა ქუთაისის პედინსტიტუტში. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 208.

753. სამხარაძე გიორგი. ვემზადებით ნ. ბარათაშვილის იუბილესათვის. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 134.

754. საქართველოს საბჭოთა მწერლების პლენუმი (მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი). — კომუნისტი, 1945, № 209; ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.

755. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის გამო). — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 34; საბჭოთა აკაბრა, 1945, №№ 204, 207.

756. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში. — კომუნისტი, 1945, № 210; ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის გამო მიღებულ იქნა დადგენილება პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესახებ. მუხრანის ქუჩას, მუხრანის ხიდსა და კალიაშვილის აღმართს თბილისში დაერქვას ნ. ბარათაშვილის სახელი; ნ. ბარათაშვილის სახელი მიენიჭოს გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს; პოეტის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს გაუკეთდეს მემორიალური დაფები; დაწესდეს პოეტის სახელობის სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში და ა. შ.

757. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია. — კომუნისტი, 1945, № 211.

საიუბილეო სესიის ანგარიში.

758. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის გამო). — კომუნისტი, 1945, № 211.

759. ციხისთავი ვ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეები გურჯაანში. — კომუნისტი, 1945, № 205.

760. **ჭეიშვილი მ. ნ.** ბარათაშვილის საიუბილეო დღეები (ქვიტი-რის სამშუალო სკოლაში). — სიმართლე (ქუთაისი), 1945, № 43.

761. **ჭოღაძე ვ.** ქალაქის სკოლები ემზადებიან ნ. ბარათაშვილის იუბილესათვის. — ინდუსტრიული ქუთაისი, 1945, № 198.

762. **შეხვედრა უკრაინელ მწერლებთან.** — ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 36.

ნ. ბარათაშვილის საიუბილეო პლენუმზე ჩამოსული მწერლები მ. ბაქანი, ვ. სოსიურა და სხვები შეხვედრენ ქალაქის საზოგადოებრიობას. შეხვედრაზე პოეტებმა წაიკითხეს ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმანები.

763. **ხუციშვილი სოლომონ.** სოლომონ დოდაშვილის წერილები. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი II, თბილისი, 1945. სოლომონ დოდაშვილის წერილები. ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

შესავალ წერილში საუბარია ნ. ბარათაშვილისა და სოლ. დოდაშვილის ურთიერთობაზე.

764. **მაისურაძე ი.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. — საბჭოთა ოსეთი, 1945, № 116.

#### 1946

765. **ახათიანი ლევან.** ახალი მასალები ნ. ბარათაშვილზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 18.

**რეცენზია პროფ. შ. ჩხეტიას წიგნზე** — ნიკოლოზ ბარათაშვილი, I, მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, თბ., 1945.

766. „**მედი მგონისა**“. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 26.

**ცნობა მ. მრეველიშვილის პიესაზე** ნ. ბარათაშვილის ცხოვრების შესახებ.

767. **ნადირაძე გ.** ბუნების გრძნობა ბარათაშვილის პოეზიაში. — მნათობი, 1946, № 1.

768. **ნ. ბარათაშვილი** — ლექსები; თარგ. რუსულად ბ. პასტერნაკის მიერ. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 27.

**ცნობა ნ. ბარათაშვილის წიგნის რუსულად თარგმნაზე.**

769. **ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები სომხურ ენაზე.** — ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 42.

**ცნობა, რომ სურენ აფჩიანმა სომხურად თარგმნა ნ. ბარათაშვილის ლექსები.**

770. **კლდიაშვილი სერგო.** ნ. ბარათაშვილი რუსულ ენაზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 32.



ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ბარათაშვილის ლექსების პასტერნაკისეულ თარგმანებს და წერს: „ბორის პასტერნაკმა სულ ახლებურად დაანახვა რუს მკითხველს ნიკოლოზ ბარათაშვილი. არაქართულ ენაზე ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოჩნდა და აქედერდა პირველად მხოლოდ პასტერნაკის თარგმანში. პასტერნაკმა შეუნარჩუნა ბარათაშვილს მთელი მისი პოეტური ძალა და კოლორიტი. ამ თარგმანებში მთელი თავისი სიდიდით იგრძნობა ნამდვილი ბარათაშვილი“.

770ა. რადიანი შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი; საბლიტგამი, თბილისი, 1946, გვ. 145.

ნარკვევში ნიკოლოზ ბარათაშვილზე (გვ. 3—111), დაწერილებითაა განხილული რომანტიზმის საკითხები და პოეტის შემოქმედების რომანტიკული მხარე, მისი ურთიერთობა მსოფლიო რომანტიზმთან.

770ბ. მახათაძე მ. ისტორიული სინამდვილე პოემაში „ბედი ქართლისა“. — სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, 1946 წ., ტომი IV, გვ. 83—98.

ავტორი განიხილავს თუ როგორ აისახა ისტორიული ფაქტები ნ. ბარათაშვილის პოემაში.

771. ქიქოძე გერონტი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1817—1845; თბილისი, 1946, გვ. 20.

1947

772. აბზიანიძე გიორგი. „ბედი ქართლისა“. — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 31—53.

ნაშრომში განხილულია ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოეტის ეროვნული კონცეფციის გარკვევას, მის ურთიერთობას ისტორიულ სინამდვილესთან და პოეტის აზროვნების ორგანულ კავშირს მისი დროის მოწინავე კაცობრიობის იდეურ სამყაროსთან.

773. ახალი წიგნები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 5.

ცნობა იმაზედ, რომ მოსკოვში „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა ქართველი პოეტების ნაწარმოებთა კრებული, სადაც შესულია ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“, თარგმნილი ბ. პასტერნაკის მიერ.

774—776. ახალი წიგნები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 5.

ცნობა, რომ გამოვიდა შალვა რადიანის ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი“, სადაც განხილულია პოეტის შემოქმედება.



777. ბარამიძე ალექსანდრე. ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია. — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 55—68. იხ.: აგრეთვე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თსუ, 1952, გვ. 377—392; იგივე, თეზისები. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი, 1945.

ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაზე 1945 წლის 16 ოქტომბერს. რეზიუმე რუსულ ენაზე.

ავტორის დაკვირვებით „ნ. ბარათაშვილის შემოქმედება საკმაოდ იკვებებოდა ძველი ქართული მდიდრული პოეზიის ნოყიერი წვენით. ბარათაშვილის შემოქმედებითი გენია ჩაისახა და გაიფურჩქნა ძველი ქართული პოეზიის წიაღში“.

ნაშრომში გარკვეულია როგორ იყენებდა ნ. ბარათაშვილი, როგორც კლასიკური პერიოდის, ისე ე. წ. აღორძინების პერიოდის მხატვრულ ძეგლებს. ავტორის დასკვნით „ნიკოლოზ ბარათაშვილი ავითარებს და აღრმავებს მშობლიური პოეზიის საუკეთესო ნაციონალურ ტრადიციებს“.

778. „ბედი მგოსნისა“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 7.

ცნობა, რომ მ. მრეველიშვილმა მწერალთა კავშირის დრამსექციაში წაკითხა ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ამსახველი ახალი პიესა „ბედი მგოსნისა“.

779. გაჩეჩილაძე გივი. ვენერა ურუშაძის თარგმანები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 16.

ავტორი განიხილავს ქართველ პოეტთა ნაწარმოებების ინგლისურ თარგმანს და ვერცლად ჩერდება ნ. ბარათაშვილის ლექსების და კერძოდ „მერანის“ თარგმანზე.

780. გაწერელია აკაკი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, მონოგრაფია, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1947, გვ. 145.

ნაშრომში განხილულია პოეტის ცხოვრება, მისი შემოქმედება, „ბედი ქართლისას“ რეალიზმი, სიყვარული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ბარათაშვილის პესიმიზმი და ბედისწერის პრობლემა მის ლირიკაში და სხვ.

ცალკე თავი ეძღვნება ბარათაშვილის პოეტიკის, კერძოდ მისი ენისა და სტილის საკითხების შესწავლას.

781. გოზალიშვილი შალვა. პროფ. შ. ჩხეტია — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, წ. I, თბ., საქ. სსრ შსსკ საარქივო სამმართველო, 1945. — მნათობი, 1947, № 4.

რეცენზია აღნიშნულ ნაშრომზე.

782. ვირსალაძე ელენე. ნ. ბარათაშვილის თანამედროვენი (საარქივო მასალების მიხედვით). — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 117—137. რეზიუმე რუსულ ენაზე. ნაშრომში მიმოხილული და გაანალიზებულია ავტორის მიერ მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში გამოვლენილი ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტები და მასალები.

აღწერილი და განხილულია მ. პ. ბარათაშვილის ალბომი, რომელშიაც მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება და სხვ.

783. „ლიტერატურული ძიებანი“. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 22.

ცნობა ნ. ბარათაშვილის საიუბილეო ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით. მოყვანილია შინაარსი.

784. მელიქსეთ-ბეგი დეონ. ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა. — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 105—116. რეზიუმე რუსულად.

ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, 1945 წ. 27 ოქტომბერს.

ავტორი იკვლევს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შემხვედრ მომენტებს ამდროინდელს სომხურ ლიტერატურაში; ნ. ბარათაშვილის უშუალო ზეგავლენას XIX—XX სს. სომეხ მწერლებზე და ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სომხურ თარგმანებს.

785. ნ. ბარათაშვილის ლექსები აფხაზურ ენაზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, № 16.

ცნობა.

786. რადიანი შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ლიტერატურული გარემო. — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 1—13.

წაკითხული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაზე 1945 წ. 17 ოქტომბერს.

787. რუხაძე ტრიფონ. სოლომონ მსაჯული (სოლომონ ანდრიას ძე ლიონიძე). — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 177—188, რეზიუმე რუსულად.

788. ჩიქოვანი მიხეილ. ახალი საარქივო მასალები ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიისათვის (სამეცნიერო მივლინების მოკლე ანგარიში). — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 139—175.

788ა. ჩხეიძე ანა. ნიკოლოზ ბარათაშვილი რუსულ ენაზე. — ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 69—104; რეზიუმე რუსულ ენაზე. ნაშრომში განხილულია რუსულ ენაზე თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები და გაშუქებულია პოეტის შემოქმედების თარგმნის ისტორია.

788ბ. ზარქუა მიხეილ. იდეები და გრძნობადი სახეები „მერანში“. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1947, ტომი VII, გვ. 125—203.

ავტორის დასკვნით „მერანის ძირითადი იდეა ისაა, რომ აღიარებულია სიცოცხლის უმაღლესი აზრის არსებობა და დაშვებულია შესაძლებლობა მისი მიკვლევის“.

789. ქიქოძე გერონტი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკუნე; თბილისი, 1947, გვ. 54—79, რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი III, 1965, გვ. 202—212.

ავტორი განიხილავს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

790. შაირაპეტიაიანი აშოტ. ნ. ბარათაშვილის რჩეული ლექსები სომხურ ენაზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, 2/VIII.

რეცენზია სურენ აფიანის მიერ თარგმნილ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებზე.

791. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია, 1883—1945; შედგენილი მ. ჯიღურის მიერ. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, ქართველი კლასიკოსები. წიგნის პალატის გამომცემლობა, 1947, 76 გვ.

## 1948

792. ახალი წიგნები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 12. ცნობა იმაზედ, რომ რუსულ ენაზე გამოვიდა ვიქტორ გოლცუვის — „XIX საუკუნის ქართველი მწერლები“; წიგნში არის ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი“.

793. ბალახაშვილი იაკობ. როდის დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი? — სახალხო განათლება, 1948, № 50.

794. ბალახაშვილი იაკობ. ნიკოლოზ ბარათაშვილი ყაზბეგში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 12.

795. ბალახაშვილი იაკობ. ყალბი მონოგრაფია ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — მნათობი, 1948, № 12.

რეცენზია ა. გაწერელიას მონოგრაფიაზე „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სახელგამი 1947.

796. ბალახაშვილი იაკობ. ბარათაშვილის მეგობარი პოეტი ქალი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 45.

ავტორი არკვევს ნ. ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ნახსენებ რახელის ვინაობას.

797. გამეზარდაშვილი დავით. ქართული რომანტიზმის შესწავლისათვის. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 49.

რეცენზია აბ. მახარაძის წიგნზე „ქართული რომანტიზმი“. რეცენზენტი აკრიტიკებს ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ნარკვევის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს.

798. გამეზარდაშვილი დავით. ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი; თსუ, 1948.

წიგნში საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმზე.

799. თავზიშვილი გიორგი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, 1948.

წიგნში თბილისის პირველ გიმნაზიასთან დაკავშირებით საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

800. კაშმაძე შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში. — მნათობი, 1948, № 5.

801. მახარაძე აპოლონ. ქართული რომანტიზმი, თსუ, 1948; ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილზე იხ. გვ. 169—235; იგივე, 1960 წლის გამოცემა, გვ. 276—349. 1967 წლის გამოცემა გვ. 308—380.

802. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ვენის ჟურნალში. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, № 11.

ინფორმაცია, რომ გერმანულ ჟურნალში „Die Brücke“ (№ 6—7, 1946 წელი), რომელიც გამოდის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თაოსნობით ვენაში (ავსტრია), მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის „მერანის“ გერმანული თარგმანი, შესრულებული პროფესორ რობერტ ბლაიხშტიანერის მიერ. მთარგმნელი წინასიტყვაობაში წერს: „მისი (ე. ი. ბარათაშვილის. — ნ. ა.) რომანტიკა არ არის პასიური, ბუნდოვანი და მჭვრეტელობითი, არ არის ისეთი, როგორიც იყო გერმანულ რომანტიკოსთა პოეზია. იგი ეკუთვნის, გორკის განსაზღვრით რომ ვთქვათ, აქტიურ რომანტიკოსთა რიცხვს, რომელთაც არასოდეს არ დაუტარგავთ თანაგრძნობა ტანჯული და მებრძოლი კაცობრიობის მიმართ“.

## 1949

803—806. ასათიანი ლევან. ქართული მწერლობა (წერილების კრებული), თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1949.

წერილებში ქართველ რომანტიკოსებზე საუბარია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე.



807. ახალი წიგნები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1949, № 10.  
ცნობა, რომ გამოვიდა ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლ. ავა-  
ლიანის ნოველა „ყარიბი მგოსანი“.

808. გახოციძე ანდრო. ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ  
ენაზე. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1949, № 36.

განხილულია ვ. ურუშაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი ნ. ბა-  
რათაშვილის ლექსები.

809. ენიკოლოფოვი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ომი სა-  
ქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“-ს დაწერის ისტორია. მნათობი,  
1949, № 1.

810. ქართული პოეზიის ანთოლოგია სლოვაკურ ენაზე. — ლიტე-  
რატურა და ხელოვნება, 1949, № 17.

ინფორმაცია, რომ ჩეხოსლოვაკიაში სლოვაკურ ენაზე გამოვიდა  
ქართული პოეზიის ანთოლოგია „მერანის“ სახელწოდებით. ანთო-  
ლოგია იხსნება ნ. ბარათაშვილის ლექსით „მერანი“. დაბეჭდილია  
პოეტის სხვა ლექსთა თარგმანებიც. წინასიტყვაობაში მიმოხილულია  
ქართული პოეზია რუსთაველიდან დღემდე. თარგმანი და წინასიტყ-  
ვაობა ეკუთვნის ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორს მილოშ  
კრნოს.

811. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. — ლიტერატურა და ხელოვნება,  
1949, № 46.

თსუ-ში რუსთაველის თეატრის სპექტაკლ ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლის განხილვის ანგარიში.

812. რადიანი — ახალი ქართული ლიტერატურა. — ლიტერატუ-  
რა და ხელოვნება, 1949, № 24.

ცნობა წიგნის გამოსვლის შესახებ, და რომ მასში მოთავსებულია  
ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

813. „საქართველოს პოეტები“. — ლიტერატურა და ხელოვნება,  
1949, № 1.

ცნობა, რომ „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა ბ. სერგებრიაკოვის მიერ  
თარგმნილი ქართველ პოეტთა, მათ შორის ნ. ბარათაშვილის ლექსე-  
ბიც.

814. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ინგლისურ ენაზე. — ლი-  
ტერატურა და ხელოვნება, 1949, № 11.

ჩამოთვლილია ანთოლოგიაში შესული მწერლები და ნაწარმოე-  
ბები, მათ შორის ნ. ბარათაშვილის ლექსები.





815. აბზიანიძე გიორგი. ქართველი კლასიკოსები. თბ., სახელგამი, 1950. ნარკვევი ნ. ბარათაშვილზე იხ. გვ. 117—168.

816. თოფურია აკაკი. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის. — მნათობი, 1950, № 11; კრიტიკული წერილები, სტალინირი, 1956, გვ. 3—46; წერილები ლიტერატურულ საკითხებზე, 1960, გვ. 167—215.

ავტორის დასკვნით „ილიას იდეოლოგიისა და მოწინავე, პროგრესული მსოფლმხედველობის ფორმირებაში 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ზეგავლენასთან ერთად გარკვეული წილი ნ. ბარათაშვილსაც მიუძღვის“.

817. მესხი სერგეი. წერილები. ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. სოხუმი, 1950.

წერილებში მეუღლისადმი (წერილი VIII, 90, 93, 94) ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე და პოეტის ლექსების გამოცემაზე.

818. ბერიძე რუთა. პოეტის სახლი. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, № 27.

გადმოცემულია განჯაში ნ. ბარათაშვილის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა და ავტორი სვამს საკითხს რათა სათანადო ორგანიზაციებმა იზრუნონ მასზე.

819. დადიანი შალვა. გიორგი ერისთავი უკვდავია. — ქართული თეატრი (ქართული თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის ერთდროული გაზეთი), 1950, 30 ოქტომბერი.

ავტორი წერს: „გამოჩნდა ბრწყინვალე ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც ელვასავით გაანათა მაშინდელი პირქუში ცა საქართველოს რაობისა, და, ეტყობა, ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც მოუხდა ფიქრი თეატრის გარშემოც და უთუოდ ამიტომ თარგმნა კიდევ ლაიზევიცის ტრაგედია“.

820. ტყემალაძე ვ. კომენტარების კომენტარები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, № 46.

ავტორი აკრიტიკებს არაქართული სკოლების IX კლასის ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის კომენტარებში დაშვებულ შეცდომებს (მათ შორის ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა კომენტარებს).

821. ახალი წიგნები. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, № 5. ცნობა, რომ გამოვიდა მიხ. მრველიშვილის პიესა „ბარათაშვილი“.



822. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა). შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა გოზალიშვილმა, თბილისი, 1951.

ნ. ბარათაშვილი, იხ.: №№ 53, 60, 20, 30, 46, 47, 56, 65.

823. მ. მრევლიშვილის პიესის განხილვა. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, № 24.

ცნობა, რომ პარტ-სკოლის მსმენელებმა მოაწყვეს მ. მრევლიშვილის პიესა „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ საჯარო განხილვა.

824. ნატროშვილი გიორგი. კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები. ნ. ბარათაშვილის პოეზია. — ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, № 25.

განიხილავს პოეტის შემოქმედებას და ავტორი ამბობს: „ახალი რეალისტური მიმდინარეობის ჩანასახები ყველაზე მძაფრად ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისაში“ გამოჩნდა. ეს იყო ნაწარმოები, რომელიც გამოსახავდა ობიექტურ რეალობას და იმ დროის ადამიანებს უჩვენებდა მომავლის პერსპექტივას. ამ ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კლასიკური პოემის განვითარებაში“.

825. ქართული წიგნები ახალი დემოკრატიული ქვეყნების ენებზე.

ცნობა, რომ ავსტრიაში გერმანულად გამოვიდა პროფესორ რობერტ ბლაიხშტაინერის თარგმანით „ახალი ქართველი პოეტები“. ამ კრებულში შეტანილია ნ. ბარათაშვილის ლექსები.

### 1952

826. გრიშაშვილი ი. ბარათაშვილის აღმართი. — ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 433—435. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. V, 1965, გვ. 339—344.

გადმოცემულია ყოფ. კალიაევის აღმართის ისტორია.

827. გრიშაშვილი ი. „ბულბულის ყეფა“ ქართულ პოეზიაში. — ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 463—467. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, 1964, გვ. 378—384.

იკვლევს და განმარტავს ნ. ბარათაშვილის მიერ ნახმარ სიტყვას „ყეფა“.

828. ლეონიძე გ. რაფიელ ერისთავის დავიწყებული წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1952, № 25.

ავტორი ახდენს 1880 წ. „ობზორში“ დაბეჭდილ რაფ. ერისთავის ფელეტონის პუბლიკაციას. ამ ფელეტონში, რომელიც 1879 წ. გამო-



ცემულ ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის რეცენზიაა, ავტორს ჩაურთავს მის მიერვე თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „მადლი შენს გამჩენს“.

829. ჩიჭავაძე ო. „მთაწმინდა“. — ლიტერატურული გაზეთი, 1952, № 48.

ავტორი განიხილავს კომპ. ბ. კვერნაძის სიმფონიურ პოემას, რომელსაც საფუძვლად უდევს ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“.

830. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტომი II, თბილისი, 1952.

ბარათაშვილზე ცალკეული ავტორების მიხედვით მითითებულია ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომრებზე: 3576, 5054, 10552, 10467, 10497, 10526—10541, 10571ა, 11914, 11411, 12746, 13080, 13568, 13732.

### 1953

831. გოზალიშვილი შალვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—B 1953, გვ. 215—217.

ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის მონაწილეობაზე თბილისის პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის საქმიანობაში.

832. ისააკიანი ავეტიქ. ქართველი მგოსნის სიმღერა (თარგმ. ვ. შილაკაძისა). — ლიტერატურული გაზეთი, 1953, № 22.

ავტორი იგონებს „ბარათაშვილის თავაწყვეტილ მერანს“ და ა. შ.

833. კენჭოშვილი აკაკი. ალექსანდრე ქავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედება). — თბილისი, 1953.

ნაწარმოში ხშირადაა ლაპარაკი ნ. ბარათაშვილზე.

834. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ფონდის აღწერილობა). შ. ჩხეტიას და ა. იოვიძის რედაქციით, თბილისი, 1953.

ნ. ბარათაშვილზე იხ.: №№ 121, 359, 365, 571, 1660, 1908, 1914.

835. ქილაია სერგი. გრიგოლ ორბელიანი. — ლიტერატურული გაზეთი, 1953, № 9, გვ. 2.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა...“

### 1954

836. გოცაძე მიხეილ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, ტსუ, 1954.

ციცკარში გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები.

837. **კეკელიძე მიხეილ**. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხის სწავლების შესახებ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1954, № 9.

მეთოდური წერილი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისა და ცალკეულ ნაწარმოებთა X კლასში სწავლებაზე. წერილში საინტერესო მასალებია პოეტის ცხოვრებიდან.

838. **რადიანი**. ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გვ. 71—104.

839. **ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)**. გივი მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954.

ცალკეულ წერილებში განხილულია ნ. ბარათაშვილის ლექსები პოეტიკის თვალსაზრისით.

### 1955

840. **აბზიანიძე გიორგი**. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 89.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს პოეტის შემოქმედებას და დაასკვნის: „ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე სრულყოფილი გამოვლინება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიაში პოვა. იგი გახდა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და ცხოველი ზეგავლენა მოახდინა მთელი საუკუნის ჩვენს მწერლობაზე. მან გვირგვინი ჩამოხსნა გაცვეთილ ლიტერატურულ ტრადიციებს, ახალი გზა დაუსახა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ბარათაშვილის პოეზიაში უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა მისი დროის მოწინავე მსოფლმხედველობამ და ქართველი ხალხის საუკეთესო ნაციონალურმა თვისებებმა...“

841. **გაწერელია აკაკი**. სოლომონ დოდაშვილი. — მნათობი, 1955, № 5.

ნაშრომში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილისა და სოლ. დოდაშვილის ურთიერთობაზე.

842. **გოცაძე მ.** სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 1955.

ნაშრომში ხშირადაა საუბარი ნ. ბარათაშვილზე.

843. **გაჩეჩილაძე ამბერკი**. ახალი ცნობები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. ლიტერატურული გაზეთი 1955, № 27.

ავტორი, ლაპარაკობს თეკლე ბატონიშვილის კალუგიდან გამოგზავნილ წერილებზე, სადაც საუბარია ნ. ბარათაშვილის ქორწინებაზე;



844. **კანდელაკი ბორის.** მთაწმინდა. — საბლიტგამი, 1955.

აღწერილია ნ. ბარათაშვილის ძეგლი მთაწმინდაზე.

845. **კახიანი ბ.** საკომენტარო კომენტარები. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, № 60.

ავტორი აკრიტიკებს 1955 წელს გამოცემულ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კომენტარებს, რომელიც იმეორებს 1945 წლის მასიური გამოცემის შეცდომებს.

846. **კურტანიძე შოთა.** პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ნ. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“. — კომუნისტური აღზრდისათვის, 1955, № 7.

847. **კენჭოშვილი აკაკი.** ილია ჭავჭავაძე (კრიტიკულ ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1955.

ავტორი ეხება ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან.

848. **კივი მხვალდ.** ქართველი მწერლების ნაწარმოებები ესტონურ ენაზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ესტონურ ენაზე გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩივილი“.

849. **ბალახაშვილი იაკობ.** ნიკოლოზ ბარათაშვილის უცნობი თარგმანი ტაციტიდან. — კომუნისტური აღზრდისათვის, 1955, № 10.

## 1956

850. **ახვლედიანი მარინე.** ქართველი მწერლები უცხოურ ენებზე. — მნათობი, 1956, № 9.

წერილში აღნიშნულია, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსები თარგმნილი და დაბეჭდილია ჩეხურ ჟურნალში „საბჭოების სინათლე“, 1950 წ. № 51-ში (თარგმანი იარომირ ედლიჩკასი; ლექსი „მერანი“ ფრანგულ ენაზე თარგმნა მურიემ, ხოლო გერმანულზე ბალახაშვილი).

851. **ბალახაშვილი ი.** „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“. — კომუნისტური აღზრდისათვის, 1956, № 6.

აღწერილია ჟურნალი.

852. **გემბარსკი ბოგდან.** ქართული ლიტერატურა და პოლონეთის საზოგადოებრიობა. — ლიტერატურული გაზეთი, 1956, № 51.

ავტორი ქართული ნაწარმოებების მთარგმნელია. წერილში, რომელიც სპეციალურად ლიტერატურული გაზეთისთვისაა დაწერილი იგი აღნიშნავს: „მეტსმეტად სერიოზული და რთული იყო ჩემთვის ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსების თარგმნა. მე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ამ სამუშაოს შესრულების დროს. ლექსის განსა-





ცვიფრებელი სილამაზე, გენიალური ქართველი პოეტის აზრების სი-  
ღრმე, გადმოცემული მაღალი ოსტატობით, სიბლავდა მთელს ჩემს არ-  
სებას და ამასთანავე ერთად მავალეზდა პოლონურ ენაზე თარგმნის  
ღრმს დამეცვა დიდი სიფრთხილე. რამდენადაც არ ვიცნობდი დედანს,  
მე აქამდე არ შემიძლია აზრი გამოვთქვა იმის შესახებ, თუ როგორი  
ღირსების არის ჩემი თარგმანები, თუმცა ჩემმა მეგობარმა კრიტიკო-  
სებმა, რომლებმაც ჩემი თარგმანები — „საყურე“ და „ჩემს ვარსკე-  
ლავს“ შეადარეს რუსულ ტექსტს — დადებითი შეფასება მისცეს  
მათ“.

853. კეკელიძე მიხეილ. ნ. ბარათაშვილის „ღამე ყაზახზედ“. —  
კომუნისტური აღზრდისათვის, 1956, № 7.

მოცემულია ლექსის ანალიზი.

854. აბრამიშვილი ელისო. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლა-  
რული მემკვიდრეობა. — ტალღა, ბათუმი, 1956, № 8.

855. კვეციანი ნ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათ-  
ვის. — დროშა, 1956, № 4.

856. სიხარულიძე ი. ნ. ბარათაშვილის ერთი წერილის გამო. —  
ბრძოლის დროშა (ჩოხატაური), 1956, 5/VIII.

პოეტის წერილი გრ. ორბელიანთან, რომელშიაც ეხება გურიის  
აჯანყებას.

857. ჯოჯუა ვლადიმერ. ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრუ-  
ლი და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ მნათობის ანალიტიკური  
ბიბლიოგრაფია 1924—1954. — გამოც. „ტექნიკა და შრომა“, 1956.

ნიკოლოზ ბარათაშვილზე ცალკეული ავტორების მიხედვით მი-  
თითებულია ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომრებზე: 775, 862, 877, 893,  
906, 936, 944, 969, 989, 1019, 1052, 1112—13, 1197, 1391, 1400,  
1409, 1421, 1453—54, 1887, 2509, 2808, 3072.

858. კიკნაძე გრიშა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ახალი ქართული  
ლიტერატურის ისტორია. I. თსუ, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით.  
1956, გვ. 162—210.

859. ცაიშვილი სოლომონ. მიხეილ ბარათაშვილი. — დროშა, 1956,  
№ 5.

ნ. ბარათაშვილის ორი ლექსის ადრესატის ბიოგრაფია.

### 1957

860. გაჩეჩილაძე ა. ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის  
XIX ს. ქართულ ლიტერატურაში. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც.  
თბ., 1957.

ნაწროში ავტორი ნ. ბარათაშვილზე ლაპარაკობს, როგორც „მო-  
მავლისათვის მებრძოლ პოეტზე“.

861. დადიანი ჯ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების  
სწავლება IX კლასში. — გამომც. ცოდნა, თბ., 1957.

ავტორი ხშირად ეხება ნ. ბარათაშვილის შესახებ ილიას შეხედუ-  
ლებებს.

862. ზანდუკელი მ. ლიტერატურული ნარკვევები, I. — თბ., 1957.  
წერილებში რომანტიზმის დეკადანსზე, ვახტანგ ორბელიანისა და  
კ. მაყაშვილის შემოქმედებაზე ხშირად იხსენიება ნ. ბარათაშვილი.

863. ინგოროყვა პავლე. ილია ჭავჭავაძე (ნარკვევი) — თბ., 1957.  
ავტორი მოგვითხრობს ილიას მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსების  
პირველ გაცნობაზე და მის შეხედულებებზე პოეტისადმი.

863ა. ბოჭგუა გ. ასე დავრჩეთ? — ახალგაზრდა კომუნისტი, 1957,  
23/III.

863ბ. დადიანი ჯ. რამდენი ლექსი მიუძღვნა ილიამ ნ. ბარათაშვი-  
ლის ხსოვნას? — ახალგაზრდა კომუნისტი, 1957, 7/XII.

864. კიკნაძე გრ. მეტყველების სტილის საკითხები, თსუ, 1957.  
ავტორი ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის სტილურ თავისებურე-  
ბებზე.

864ა. მაისურაძე ნ. ვ. ა. ყუკოვსკი და ქართველი რომანტიკოსე-  
ბი. — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1957, ტომი  
XVIII, გვ. 375—391.

ნაწროში განხილულია გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის  
შემოქმედებითი ურთიერთობა ყუკოვსკის პოეზიასთან.

865. რამიშვილი დანიელ. მიხეილ თუმანიშვილი (მონოგრაფია). —  
საბჭოთა მწერალი, 1957.

ავტორი ვრცლად ეხება მიხ. თუმანიშვილისა და ნ. ბარათაშვილის  
პირად და შემოქმედებით ურთიერთობის საკითხებს.

866. ჩიქოვანი სიმონ. ილია ჭავჭავაძის პოემები. — მნათობი,  
1957, № 10; თხზულებანი, ტომი III, ლიტერატურული წერილები,  
1967, გვ. 140—202.

ავტორი ლაპარაკობს ილიას როლზე ნ. ბარათაშვილის პოეტური  
მემკვიდრეობის დაფასების საქმეში. განიხილავს ილიას პოემას „აჩრ-  
დილი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის მიმართებაში, არკვევს მათ  
საერთო და განმასხვავებელ სტილურ ნიშნებს; ასევე უკავშირებს  
პოემა „ბედი ქართლისას“ ილიას „მგზავრის წერილებს“ და მისი აზ-  
რით „მოხვევ ღუნისა შეხედულება ეროვნულ საკითხზე ბარათაშვი-  
ლის ბედი ქართლისას“ პოეტურ სამყაროშია აღმოცენებული“.

867—870. ძიძიგური შოთა. აკაკი შანიძე. — მნათობი, 1957, № 12.

ავტორი ეხება ა. შანიძის იმ ნაშრომებს, რომლებიც შეისწავლიან ქართველი მწერლების ენის სტრუქტურას, ამა თუ იმ მწერლის ადგილის განსაზღვრას სალიტერატურო ქართულის განვითარების ისტორიაში და ჩერდება მეცნიერის მიერ ჩატარებულ ნ. ბარათაშვილის ენის ფართო ანალიზზე.

## 1958

871. კეკელიძე მიხეილ. ერთი დეტალი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან. — ცისკარი, 1958, № 1.

ავტორი ეხება ზ. ჭიჭინაძის ცნობებს პოეტის ძეგლის აგებისა და ნ. ბარათაშვილის ლექსის „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობას და ასახულებს ზ. ჭიჭინაძის ცნობის სისწორეს.

872. მახარაძე ვლ. პოემის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში. — გამომც. „ცოდნა“, თბ., 1958.

ნაშრომში ლაპარაკია პოემა „ბედი ქართლისას“ სწავლებაზე საშ. სკოლაში.

873. ქართული მქერმეტყველება. ძეგლები და მასალები შეკრიბა, ნარკვევი წაუძღვარა, საძიებელი დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა. — გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1958.

ძეგლებში გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სიტყვა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 1893 წ.

ნარკვევში ილია ჭავჭავაძეზე (გვ. 267—279) ავტორი განიხილავს ილიას აღნიშნულ სიტყვას, როგორც „ორატორული ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს“.

874. ჭუმბურიძე ჯუმბერ. ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან. — თბ., 1958.

წიგნში განხილულია ნ. ბერძნიშვილის წერილები „ცისკარზე“ და მის მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსების შეფასება.

875. ერისთავი კ. ხვედელიძე გ. ნ. ბარათაშვილის პორტრეტის ანატომიურ-ანთროპოლოგიური აღდგენის საკითხისათვის. — მეცნიერება და ტექნიკა, 1958, № 2.

## 1959

876. აბზიანიძე გიორგი. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან. — გამომც. საბჭ. საქართველო, თბ., 1959.

ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში ხშირად და საუბარი ნიკოლოზ ბარათაშვილზე.



877. ალანია ნოდარ. ქართული საბჭოთა პოემა. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც., თბ., 1959.

ნაწარმოების მეორე თავში ლაპარაკია ახალი დროის პოემაზე და კერძოდ, ნ. ბარათაშვილის ეპოსზე.

878. აქ, ამ ძველ სახლში. — დროშა, 1959, № 9.

ლაპარაკია თბილისში, ჯორჯიაშვილის ქ. № 6, სახლზე, რომელიც ეკუთვნოდა მიხ. თუმანიშვილს და სადაც ხშირად იმყოფებოდა ნ. ბარათაშვილი.

879. ბალახაშვილი ი. „შემოღამება მთაწმინდას“ ერთი ადგილის გაგებისათვის. — ცისკარი, 1959, № 6.

ავტორი ცდილობს აღნიშნული ლექსის ორ ვარიანტში სხვადასხვაგვარად მოცემულ შედარების ახსნას.

880. გაწერელია ა. გრიგოლ ორბელიანი. — გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.

ლაპარაკია ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ურთიერთობაზე.

881. გოგიბერიძე მოსე. ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ესთეტიკურ-ენტიფიკატური ანალიზი. — მნათობი, 1959, №№ 11, 12; რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961, გვ. 219—251. კრებული შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ.

882. ილია ქავჭავაძე პორტრეტები და ილუსტრაციები. — საბ-ლიტგამი, 1959, შემდგენლები: ნ. ალანია, ლ. მახარაძე, ჯ. დადიანი; გვ. 35 ეძღვნება ნ. ბარათაშვილს.

883. ებანოიძე ლ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის სათავეებთან. — მნათობი, 1959, № 2.

საუბარია ნ. ბარათაშვილისა და სოლ. დოდაშვილის მსოფლმხედველობით ურთიერთობაზე.

884. კვანჭილაშვილი ტარიელ. იდეურობა და მხატვრულობა ლიტერატურაში. — ლიტერატურული წერილები, თბ., 1959, გვ. 23—25.

ეხება ნ. ბარათაშვილის პოემას და ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“.

885. ნადირაძე ბ. როგორ გასწავლი ნ. ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“. მასწავლებელთა გამოცდილებიდან, ქართული ენა და ლიტერატურა, კრებული VII. — გამომც. „ცოდნა“, 1959, გვ. 49—62.

886. რუხაძე ნოდარ. ლადო ავალიანის ნოველები. — მნათობი, 1959, № 11.

განიხილავს, როგორ ასახა მწერალმა ნოველაში „ყარბი მგოსანი“ ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ერთი დღე.

887. **ჭიჭინაძე სირა.** საქართველოს სახელმ. ლიტერატურული მუზეუმის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ექსპოზიციის მეგზური. თბ., 1959.

ნ. ბარათაშვილზე იხ. №№ 9, 11, 26, 27, 40, 53, 69, 76, 859, 86, 99, 114, 119, 169, 187.

## 1960

888. **ბოგომოლოვი იგორ.** იაკობ პოლონსკის ლექსების „ქართული ციკლი“. — ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIII, 1960, გვ. 365—374.

ავტორი აცხადებს, რომ „იაკობ პოლონსკის პოეზიაში... შეინიშნება ნ. ბარათაშვილის ლირიკის ერთგვარი გავლენა“ და რომ ამ „ლექსებში ვხვდებით არა მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილისეულ მოტივებს, არამედ რიგ პოეტურ სახეებსაც“ და მოაქვს ამის მაგალითები.

889. **გოციელი ფატი.** თბილისი ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. — მნათობი, 1960, № 1.

ლაპარაკია თუ როგორ აისახა თბილისი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

890. **დუდუჩავა მამია.** ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა. — თბ., 1960.

ავტორი მეოთხე თავში (გვ. 219—223), განიხილავს ილიას მიერ მოცემულ ნ. ბარათაშვილის პოეზიის ანალიზს.

891. **კილანავა ნ[იკოლოზ].** ახალი ცნობები ნიკოლოზ ბარათაშვილზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 39.

საარქივო დოკუმენტებით ავტორი აზუსტებს ნ. ბარათაშვილის კეთილშობილთა სასწავლებელში შესვლის თარიღს.

892. **ნადირაძე გიორგი.** სენსორული ესთეტიკის საკითხი. — მნათობი, 1960, № 2.

ავტორი საკითხს განიხილავს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას მიმართებაში.

893. **ჟორდანია აპოლონ.** ნიკოლოზ ბარათაშვილი. — აღმნახი „მერანი“, III, გორი, 1960.

საუბარია პოემაზე „ბედი ქართლისა“ და ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე 1832 წლის შეთქმულებასთან.

894. **რადიანი შალვა.** აკაკი წერეთელი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. — ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 47.

895. **ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე.** — მნათობი, 1960, № 1.

ამონაწერები უცხოელთა წერილებიდან ანთოლოგიასთან დაკავშირებით. (ანთოლოგიაში შეტანილია ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები).



896. ჩავლეიშვილი ალექსანდრე. პატრიოტიზმის იდეა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. — ლიტერატურის ისტორიის და თეორიის საკითხები, ბათუმი, 1960, გვ. 76—96.

897. ხომერიკი ნუნუ. მაიკო ორბელიანი. — ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 30; ლიტერატურული ჩანაწერები, გამომც. საბჭო-სა. მწერალი, 1961.

საუბარია ნ. ბარათაშვილისა და მაიკო ორბელიანის ურთიერთობაზე.

898. ბეროძე რ. ბარათაშვილის სახლი კიროვპოლში — სტალინელი (ქუთაისი), 1960, 11/VI.

### 1961

899. აბზიანიძე გიორგი. ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. — სოლომონ დოდაშვილი, თბზულებანი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც., 1961, გვ. 5—34.

ლაპარაკია ნ. ბარათაშვილისა და სოლ. დოდაშვილის ურთიერთობაზე.

900. გამეზარდაშვილი დავით. გიორგი ერისთავი. — ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, I, თბ., 1961.

განხილულია გ. ერისთავის ლექსი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილისადმი.

901. კვესელავა მიხეილ. — ფაუსტური პარადიგმები, წიგნი I, წიგნი II, თბ., 1961.

ნაშრომში ძალზე ხშირადაა საუბარი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე და პოეტის ამა თუ იმ ლექსზე.

902. კილანავა ნიკოლოზ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 1, გვ. 208—212.

საარქივო დოკუმენტები პოეტისა და მისი მამის შესახებ.

903. მედვედვი ი. ქართველი მწერლების წიგნები უკრაინულ ენაზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1961, № 9.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსები.

904. ნადირაძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, თბ., გამომც. საბჭოთა საქართველო, 1961, გვ. 140.

ავტორი ნაშრომში ვრცლად ახასიათებს პოეტის ცხოვრებას, გარემოს, იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა მისი მსოფმლზედველობის ჩამოყალიბება და ესთეტიკური თვალსაზრისით ანალიზებს მის შემოქმედებას.

905. რამიშვილი დანიელ. კიტა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში რეალისტური ნაკადის შესახებ. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXVII, № 5, გვ. 651—656.

906. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო სოლ. ხუციშვილმა. — საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა, 1961.

მოკლე ცნობები ნ. ბარათაშვილის შესახებ და პოეტის საფლავის აღწერა, გვ. 24—25.

907. ქართული პოეზიის ანთოლოგია პოლონურ ენაზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1961, № 10.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ანთოლოგიაში შესულია ნ. ბარათაშვილის ლექსები.

908. ქართველ პოეტთა ნაწარმოებები ფრანგულ ენაზე. — ლიტერატურული გაზეთი, 1961, № 23.

ცნობა, რომ ტატიანა ავალიანმა თარგმნა ფრანგულ ენაზე ნ. ბარათაშვილის ყველა ნაწარმოები.

909. ყაზაჩიშვილი რევაზ. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ უკრაინულ ენაზე.

ცნობა. ანთოლოგიაში შესულია ნ. ბარათაშვილის ლექსები.

910. ჩანტლაძე თამაზ. ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღისათვის. — ლიტერატურული გაზეთი, 1961, № 34.

პოეტის მიერ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათის საფუძველზე ვარაუდობს, რომ ნ. ბარათაშვილი დაიბადა 1818 წლის დამლეგს, ან „რაც უფრო სარწმუნოა, 1819 წლის დამდეგს“.

911. ჭავჭავაძე ილია. წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი — თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, სახელგამი, თბილისი, 1961, გვ. 27—28.

წერილი № 13, 1872 წლის 9 დეკემბრის თარიღით ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს.

912. ხუნდაძე არკადი. ისევ ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღისათვის. — ლიტერატურული გაზეთი, 1961, № 37.

ეკამათება თ. ჩანტლაძეს (იხ. № 910) და საეკლესიო საბუთებზე დაყრდნობით პოეტის დაბადების თარიღად ვარაუდობს 1816 წელს.

913. ხუციშვილი სოლომონ. ბოსლეველი. — ბოსლეველი, ნაწარმები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით. თსუ, 1961.

გამოკვლევაში ავტორი ფართოდ ეხება ბოსლეველის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილის პოეზიისადმი.

914. სიღამონიძე ვ. სად არის ძვირფასი პორტრეტი? (ნ. ბარათაშვილის სურათის შესახებ). — თბილისი, 1961, 11/VIII.

1962

915. „ბარათაშვილი“ სახალხო სცენაზე. — ლიტერატურული საქართველო, 1962, № 5.

რეცენზია ონში სახალხო თეატრის მიერ დადგმულ მ. მრეკლიშვილის პიესა „ბარათაშვილზე“.

916. გამეზარდაშვილი დავით. კიტა აბაშიძე და მისი „ეტიუდები“... — კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით, თსუ, 1962.

შესავალ წერილში ავტორი (გვ. 022—029) განიხილავს კიტა აბაშიძის შეხედულებებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

917. გვერდწითელი გურამ. — თანამედროვეთა მხატვრული სახეები (დადებითი გმირი ქართულ საბჭოთა პროზაში), თბ., გამომც. საბჭოთა მწერალი, 1962.

ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი ვრცლად ეხება ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ლირიკულ გმირს, განიხილავს პოემას „ბედი ქართლისა“.

918. ვაშაყმაძე შ[ოთა]. — რაფიელ ერისთავის ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. გამ. „საბჭოთა საქ.“, 1962.

ავტორი ეხება რაფ. ერისთავის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე. 82—83 გვ.

919. ენიკოლოფოვი. გრიგოლ ორბელიანის არქივიდან. — ლიტერატურული საქართველო, 1962, № 25.

ეხება გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ურთიერთობას.

920. რატიანი შალვა. აკაკი წერეთელი და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები. — ლიტერატურული ძიებანი, XIV, 1962, გვ. 91—101.

ავტორი ეხება აკაკის წერილს „ჩონგურზე“ და მის შეხედულებას ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე.

921. რადიანი შალვა. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული ლიტერატურის პრობლემები. — მნათობი, 1962, № 11.

ავტორი განიხილავს ილია ჭავჭავაძის წერილებს ნ. ბარათაშვილზე.

921ა. თამაზიანი ა. ბარათაშვილის ქანდაკების ადგილის შესახებ. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1962, 23/VIII.

921ბ. კოჭლაშვილი ა. პოეტის დედის უცნობი თხოვნა. — თბილისი, 1962, 16/2. ეფემიას თხოვნა ყმების გაყიდვის თაობაზე.

921გ. კომახიძე კ. ქართული პოეზიის გენია. ახალი კოლხიდა (ფოთი), 1962, 26/XII.

922. ნიკოლაძე რ. ქართული რომანტიზმის გვირგვინი. — ალაზნის განთიადი (თელავი), 1962, 28/XII.

923. ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ; შემდგენელი ვანო შადურაი. — გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962.

შესავალ წერილში (გვ. 73—75) ავტორი ლაპარაკობს ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე რუსეთის კულტურისადმი.

924. ქართული პოეზია მსოფლიო ასპარეზზე. — ლიტერატურული საქართველო, 1962, № 18.

უცხოელთა გამოხმაურება ვ. ურუშაძის მიერ ინგლისურად თარგმნილ ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე; კერძოდ ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმანებზე წერს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რენი.

925. ქართული პოეზია ფრანგულ ენაზე. — ლიტერატურული საქართველო, 1962, № 11.

ცნობა იმაზედ, რომ ტატიანა ავალიანმა ფრანგულ ენაზე თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა ლექსი და ამ თარგმანთა კითხვა ჩატარდა საქ. მწერალთა კავშირში.

## 1963

926. ასათიანი გურამ. ქართველი ლირიკოსები. — გამომც. „ნაკადული“, 1963. ნიკოლოზ ბარათაშვილზე იხ. გვ. 63—104.

ავტორი განიხილავს ნ. ბარათაშვილის ლირიკის თავისებურებებს და დაასკვნის: „თუ რუსთაველის ლექსში თავისი უმაღლესი, სრულყოფილი გამოვლინება ჰპოვა კლასიკურმა პოეტურმა აზროვნებამ, ბარათაშვილის პოეტური ფორმა რომანტიკული მსოფლმხედველობის ასევე იდეალური გამოხატულებაა“.

927—930. გაბესკირია ვ. წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, თბ., 1963.

ნარკვევში რითმის შესახებ ავტორი საუბრობს ნ. ბარათაშვილის რითმაზე.

931. გამეზარდაშვილი დ. ხომლედი. ხომლედი, რჩეული ნაწერები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით. თსუ, 1963.

შესავალ წერილში (გვ. 015—024) ავტორი ვრცლად ეხება ხომლედის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილზე.

932. კალანდაძე ალექსანდრე. — საქართველოს მოამბე, მონოგრაფია, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1963.

ლაპარაკია საქართველოს მოამბეში გამოქვეყნებულ ნ. ბარათაშვილის ლექსებზე გვ. 148—150.

933. კეკელიძე კ[ორნელი]. ნ. ბარათაშვილის სევდა (მოსვენებულთა მწერალთა პლენუმზე 1945 წ. 20 ოქტომბერს). — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 3, გვ. 153—164.

ავტორის დასკვნით: „ნ. ბარათაშვილის სევდა არაა მხოლოდ და მხოლოდ რომანტიკოსის სევდა, მის ფესვებს ჩვენს ძველს. საშუალო-საუკუნეთა მწერლობაშიაც ეპოულობთ. ეს სევდა დაკავშირებულია „წუთისოფლის“ პრობლემასთან, რომელიც მთავარი პრობლემა ჩვენს ძველ მწერლობაშიც საშუალო საუკუნეთა ჩვენი ძველი მწერლები ამ პრობლემას უდგებოდნენ უტილიტარული თვალსაზრისით, მათი სევდა გამოწვეულია იმის შეგნებით, რომ ამ წუთისოფელში ადამიანი ბედნიერებას ან სულ ვერ პოულობს. ან და დიდის ტანჯვით და ვაებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილს „წუთისოფლის“ პრობლემა აინტერესებს იმდენად არა უტილიტარული მიდგომით, რადენადაც მეცნიერულ-ფილოსოფიურით; მისი სევდა გამოწვეულია უფრო იმით, რომ ის ვერ პოულობს პასუხს საკითხზე — რა არის ეს „წუთისოფელი“?

საშუალო-საუკუნეთა ჩვენი მწერლობის სევდა გამოსავალს პოულობდა უმთავრესად რელიგიურ შეგნებაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა კი — ადამიანის გონებისადმი რწმენაში“.

934. მალრაძე ელგუჯა. მეველე (დათა მიქელაძე), მონოგრაფია. — თბ., 1963.

ავტორი განიხილავს მეველეს წერილებს ნ. ბარათაშვილზე.

935. რატიანი შალვა. აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები. — გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1963.

განხილულია აკაკის შეხედულებანი ნ. ბარათაშვილზე.

936. რევიშვილი შ. ქართველი მწერლები გერმანულ ლექსიკონში. — ლიტერატურული საქართველო, 1963, № 3.

რეცენზია შვეიცარიის ქ. ბერნში გამოცემულ „მცირე ლიტერატურულ ლექსიკონზე“.

ლექსიკონში შესულია ნ. ბარათაშვილი.

937. ქართველ მწერალთა ნაწარმოებები რუმინულ ენაზე. — ლიტერატურული საქართველო, 1963, № 1ა.

ცნობა, რომ „სახლვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ ... მიიღო ბუქარესტიდან რუმინულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული... ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები... თარგმანი შესრულებულია გამოჩენილი რუმინელი პოეტის ვიქტორ კერნახის მიერ“.



937ა. ქიქოძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (სიტყვა წარმოთქმული მწერალთა სასახლეში პოეტის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე). — რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 104—108, 1963.

937ბ. კოკლაშვილი ა. პოეტის უცნობი მისამართი. — ცისკარი, 1963, № 5.

937გ. კოკლაშვილი ა. საღ ცხოვრობდა პოეტი? — თბილისი, 1963, 10/VIII.

938. ნორაკიძე ვლ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების დახასიათებისათვის. — ფსიქოლოგია. ტომი XIV, გვ. 147—162, 1963.

939. ჩიქოვანი სიმონ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. — რჩეული წერილები, გვ. 122—174, 1963; თხზულებანი, ტომი III, ლიტერატურული წერილები, გვ. 99—139, 1967.

ავტორი წერს: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა უჩვეულო მხატვრული თვისებები შემოიტანა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში და ქართულ ლექსს დიდი ლირიკული განსჯისა და დაფიქრების უნარი შესძინა. „მერანის“ ავტორმა თითქმის სრულიად შესცვალა მაშინდელი ქართული ლექსის ბუნება, ჩვენს პოეზიაში გამეფებული სასიმღერო კილოს ნაცვლად ლექსში ინტონაციური მხარე გაამდიდრა, მოსპო რიტმის ინერტული მდინარება და სიტყვა-კაზმულ მწერლობაში თავისებური მომენტურობა დაამკვიდრა“.

940. ცინცაძე იასე. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი). — თბილისი, 1963.

კრწანისის ომზე საუბრისას ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს ნ. ბარათაშვილის სტრიქონები.

941. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; ტომი III, ნაკვეთი I. — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1963.

ნიკოლოზ ბარათაშვილზე ცალკეული ავტორების მიხედვით მითითებულია ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომრებზე: 5980, 7080, 7083, 7090, 7157—7191, 9616, 9751, 10178, 10359, 10360, 10375, 10383, 10434.

## 1964

942—945. ალანია ნოდარ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემა. — თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1964.

ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ განხილულია გვ. 12-30.

946. გაბესკირია ვ. მხატვრული დეტალის შესახებ. — ლიტერატურული საქართველო, 1964, № 31.

წერილი ეხება ნოვატორულ მხატვრულ სახეს ნ. ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზედ“.

947. ენიკოლოფოვი ი. ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის დაწერის ისტორიისათვის. — ლიტერატურული საქართველო, 1964, № 5.

არკვევს ნ. ბარათაშვილის ლექსის „ჩემს ვარსკვლავს“ ადრესატის დელფინა ლაბიელის ვინაობას და ლექსის შექმნის თარიღს.

948. იქ, სადაც პოეტმა ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა. — ლიტერატურული საქართველო, 1964, № 27.

ცნობა, რომ კიროვბაღში (განჯა) საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი.

949. ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში. — ლიტერატურული საქართველო, 1964, № 33.

ინფორმაცია საქართველოდან ჩატანილ პოეტის ნაწარმოებთა ფოტო-პირების, სურათებისა და სხვა მემორიალური ნივთების შესახებ.

950. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი II, საბუთები (1917—1931) და ფოტოარქივი. შეადგინა და დასაბუქლად მოამზადა თ. მაჭავარიანი. — თბ., 1964.

ნ. ბარათაშვილის შესახებ იხ. №№ 1045, 1046.

950ა. ბოლქვაძე ლეო. „ბედი ქართლისა“ (ნ. ბარათაშვილის პოემის იდეური პრობლემატიკისათვის). — სკოლა და ცხოვრება, 1964, № 12.

950ბ. რამიშვილი დანიელ. კიტა აბაშიძე, მონოგრაფია. — თბილისი, 1964.

ავტორი განიხილავს კიტა აბაშიძის როლს ქართული რომანტიზმის შესწავლის საქმეში და ვრცლად ეხება ნ. ბარათაშვილის პოეზიას.

950გ. საჯაია მერი. ნიკო ნიკოლაძე — ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი — თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ავტორი გამოყოფს ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულებას ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისადმი და განიხილავს მის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე.

951. უკლება დავით. ჩვენი სამშობლოს ცისფერ გზებზე. — თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1964.

წიგნში საილუსტრაციოდ ავტორი იშველიებს ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს.

952. ჭილაია ხერგი. ბედი ქართლისა.

წინაპრები და მეგობრები. — თბილისი, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, გვ. 105—112.



განხილულია ნ. ბარათაშვილის პოემა.

953. ჭილაია ანდრო. გიორგი წერეთელი. შემოქმედებითი გზა. — თბილისი, გამომც. „ცოდნა“, 1964.

ავტორი განიხილავს გიორგი წერეთლის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

954. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი III, ნაკვეთი II. — გამომც. „ცოდნა“, თბილისი, 1964.

ნიკოლოზ ბარათაშვილზე ცალკეული ავტორების მიხედვით მითითებულია ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომრებზე: 5980, 7080, 7090, 7157—7191, 9616, 9751, 10178, 10359, 10360, 10375, 10383, 10434.

1965

955. ბერიძე ფილიპე. ლირიკული სინთეზი. — ლიტერატურული საქართველო, 1965, № 50.

საკითხის კვლევისას ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის „მერანს“.

956. გამეზარდაშვილი დავით. — ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, I, თბ., 1965.

წიგნში საუბარია თუ როგორ აისახა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

957. გოზალიშვილი შალვა. ქართული პოეზიის სიამაყე. — კოლმეურნე (სიონალი), 1965, № 50.

წერილი მიძღვნილია ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

958. გომიაშვილი ალექსანდრე. ფიქრები პოეზიაზე. — ლიტერატურული საქართველო, 1965, № 39.

ავტორი ლაპარაკობს რუსთველის ტრადიციების გავლენაზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე თავის მხრივ ამ უკანასკნელისა აკაკი წერეთელზე.

959. გრიშაშვილი იოსებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი ხუთ ტომად; ტომი V, 1965, გვ. 345.

მწერლის მოკლე ჩანაწერები ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებზე.

960. კალანდაძე ალექსანდრე. — ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. — თბილისი, 1965.

ავტორი საუბრობს ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებულ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებზე (იხ. გვ. 281—287).

961. კაკაბაძე მანანა. რომანტიზმის გმირის საკითხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. — მნათობი, 1965, № 9.

ავტორი ევროპული რომანტიზმის შუქზე განიხილავს ნ. ბარათაშვილის „მერანს“.

962—965. მეფისაშვილი გივი. აკაკი წერეთელი და ქართული პრესა. — თბილისი, 1965.

წიგნში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების აკაკისეულ შეფასებაზე.

966. მეძველია კონსტანტინე. — თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული „ჩონგური“ და საუბარია ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე.

967. უდენტი გივი. ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1965.

ნაშრომში ავტორი ვ. ორბელიანთან დაკავშირებით ხშირად ლაპარაკობს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

968. ცაიშვილი სოლომონ. იონა მეუწნარგია და ქართველ რომანტიკოსთა პირველი ბიოგრაფიები. — ლიტერატურული ნარკვევები, გამომც. „საბჭ. საქ.“, 1965, გვ. 171—216.

ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაზე.

969. ხინთიბიძე აკაკი. ბარათაშვილის კვალზე. — ლექსთმცოდნეობის საკითხები, გამომც. „მეცნიერება“, 1965, გვ. 180—184.

ლაპარაკია ილია ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის პოეტურ-შემოქმედებით ურთიერთობაზე.

970. ტატიშვილი ნიკო. ილია ჭავჭავაძე — მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი. — ლიტერატურული ნარკვევები, გამომც. „ლიტ. და ხელოვნება“, თბ., 1965. ნარკვევში ავტორი ეხება ილიას დამოკიდებულებას ნ. ბარათაშვილთან.

970ა. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი IV. — გამომც. „ცოდნა“, 1965.

ნ. ბარათაშვილზე ცალკეული ავტორების მიხედვით მითითებულია ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომრებზე: 5721, 5722, 5731, 3456, 3471—3477, 3550, 3576, 4323, 4547, 4927, 5404—5439, 5728, 5740, 5780, 5842, 5847, 5891, 5935, 6748, 7396, 7398, 7493.

970ბ. ბალახაშვილი იაკობ. — გრიბოედოვი და ნინა ჭავჭავაძე. — თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ნაშრომში ხშირადაა ლაპარაკი ნ. ბარათაშვილის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებზე.

971. გაჩეჩილაძე ამბერკი. აკაკი წერეთელი. — თბილისი, 1966.

ავტორი საუბრობს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გავლენაზე აკაკი წერეთლის პოეზიაზე.

971ა. ნანიტაშვილი ლეილა. ნ. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. — ლიტერატურული საქართველო, 1966, № 6.

ავტორი აზუსტებს არსებულ ცნობას, რომ ნ. ბარათაშვილს ქეთევან ერისთავისათვის უძღვნია მისი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“.

972. სიგუა აღ. ნ. ბარათაშვილი და ქართული დრამატურგია. — საბჭოთა ხელოვნება, 1966, № 8.

973. სიგუა აღ. მცირე შენიშვნა. — ლიტერატურული საქართველო, 1966, 25/II.

წერილი ეხება ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემას.

974. ტატიშვილი ლამარა. ნ. ბარათაშვილის დედის უცნობი წერილი. — ლიტერატურული გაზეთი, 1966, № 2.

პოეტის დედის მიერ ზ. ორბელიანისადმი მიწერილი ბარათის პუბლიკაცია.

975. ჭუმბურიძე ჯუმბერ. ქართული კრიტიკის ისტორია. — თბილისი, 1966.

წიგნში განხილულია როგორც აისახა XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ნ. ბარათაშვილის შემოქმედება.

976—979. ჯიბლაძე გიორგი. ილია ქავჭავაძე; მონგრაფია. — გამომც. „განათლება“, 1966.

ვრცელ მონოგრაფიაში ავტორი ხშირად მიმართავს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებს; განიხილავს ილიას დამოკიდებულებას ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან და ა. შ.

980. თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია. ილია ქავჭავაძის ბიობიბლიოგრაფია, 1857—1907. — თბ., 1966.

ნ. ბარათაშვილის შესახებ იხ. I; №№ 22, 28, 45, 67, 334, 336, 386, 454, 779, 907, 919, 953, 960, 980, 981, 1010, 1075, 1168, 1212, 1455; II: №№ 29, 37, 38, 42, 71, 92, 97, 98, 194, 865, 1050, 1052, 1219, 1572, 1758, 1818, 1966.

## 1967

981. ასათიანი გურამ. კრიტიკული დიალოგები (IV დიალოგი). — ლიტერატურული საქართველო, 1967, № 28, გვ. 3.

ავტორი ეხება ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობას.

982. გამეზარდაშვილი დავით. ქართული კრიტიკული რეალიზმი (აღმოცენება და დამკვიდრება). — თსუ, 1967.

ნაშრომში ლაპარაკია რეალიზმის ელემენტებზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.





983. **ბალანაშვილი იაკობ.** ბარათაშვილის ცხოვრება, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1967, გვ. 374.

წიგნში თავმოყრილია და სისტემატიზებული ცნობილი მასალები და ახალი წყაროები ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაზე.

984. **სოლომონ დოდაშვილი ბიობიბლიოგრაფია**, 1825—1966; შემდგენლები: ნ. დოლიძე და ნ. ფირცხალავა, პროფ. ს. ხუციშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. — გამომც. „მეცნიერება“, 1967.

ნ. ბარათაშვილზე იხ. №№ 169, 188, 193, 213, 214, 217, 222, 223, 233, 234, 236, 237, 242, 243, 249, 268, 354, 239, 240..

985. **საქართველოს კვ. ცენტრალურ კომიტეტში.** დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1968 წლის სექტემბერში საზეიმო ვითარებაში აღინიშნოს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი.

შეიქმნა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი. — კომუნისტი, 1967, № 287; ლიტერატურული საქართველო, 1967, № 50.

986. **ანასაშვილი მ.** ფილმები დიდ პოეტებზე. — ახალგაზრდა კომუნისტი, 1967, 12/X.

სამეცნიერო დოკუმენტური ფილმები „მოთა რუსთველი“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

987. **ბუაჩიძე თ.** ორატორული ხელოვნების უბადლო ნიმუში. — ლიტერატურული საქართველო, 1967, 16/VI.

ეხება ილია ჭავჭავაძის სიტყვას ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვაზე.

988. **დადიანი ჯ.** „ფიქრნი მტკვრის პირას“. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1967, № 1, გვ. 26—29.

988ა. **დადიანი ჯოდორ.** ნ. ბარათაშვილის „მერანის“ სწავლები-სათვის. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. 1967, № 4.

988ბ. **დადიანი ჯ.** ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის სწავლებისათვის, „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?..“ ქუთაისი, 1967, № 240.

988გ. **დადიანი ჯ.** ნ. ბარათაშვილის ლექსის „საფლავი მეფის ირაკლისა“ სწავლება. კოლხეთი (ცხაკაია), 1967, №№ 145, 146, 148, 152, 153.

989. **ელიოზიშვილი ლ.** ფილმი დიდ პოეტზე. — საბჭოთა ხელოვნება, 1967, № 8.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის შესახებ.

990. მშვიდლობაძე მ. სულიერი ნათესაობა. — ლიტერატურული აჭარა, 1967, № 3.

ნ. ბარათაშვილის პოეზიის ვეფხისტყაოსანთან დამოკიდებულების საკითხისათვის.

## ლექსები და მოთხრობები ნიკოლოზ ბარათაშვილზე

1852 — 1967

1852

991. ერისთავი გიორგი. თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ (ლექსი). — ცისკარი, 1852, № 4; გ. ერისთავი, თხზულებანი, 1966, გვ. 62.

1863

992. ბარათაშვილი ვანო. ეპიტაფია. [თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზედ ნათქვამი]. (ლექსი). — ცისკარი, 1863, № 7, გვ. 382—383; ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 1—2, 1940, გვ. 419.

ტექსტს წინ უძღვის ავტორის მიმართვა ცისკარის რედაქტორისადმი, ხოლო ბოლოს ერთვის რედაქტორის შენიშვნა.

993. ქავჭავაძე ილია. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ. (ლექსი). — საქართველოს მოამბე, 1863, № 6, გვ. 31; თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი I, გვ. 58 და 291.

1867

994. ომენიძე ზურაბ [ანტონ ფურცელაძე]. პასუხი [ვუძღვნი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს]. (ლექსი). — დროება, 1867, № 26.

1885

995. ჩიქოვანი ალექსანდრე. \*\*\* [ბედო ქართლისავ, გვიმტიციებ ტფილისს...] (ლექსი).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ზ. მთაწმინდელისა, თფ., 1885; ლილა ნანიტაშვილი, ყურნალ ცისკარის პოეტები, 1967, გვ. 19. (ლექსი ავტორს წაუწერია მის მიერ გადაწერილ პოემა „ბედი ქართლისას“ მეორე გვერდზე, 1843 წელს).

996. ბოლქვაძე მალაქია. თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო (ლექსი). — მწყემსი, 1893, № 8.

997. გოგლო [გიორგი ყაზახიშვილი]. ნ. ბარათაშვილზედ (ლექსი). — ივერია, 1893, № 85.

998. დადიანი ნიკო. ნ. ბარათაშვილის გადმოსვენებაზე (ლექსი). — ივერია, 1893, № 85; საქართველო, სურათ. დამ., 1916, № 46.

999. ერისთავი დომინიკა [განდევილი]. თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის (ლექსი). — ივერია, 1893, № 85; საქართველო, სურ. დამ., 1916, № 46; ლექსები, 1898.

1000. ვაჟა-ფშაველა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს (ლექსი). — ივერია, 1893, № 119.

ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967, გვ. 88.

1001. თუმანიანი ოპანეს. სიტყვა ლექსად თქმული ოპანეს თუმანიანის მიერ ნ. ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე. — კვალი, 1893, № 18.

1002. ივანოვი ი. [იოსებ ივანიშვილი]. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო (ლექსი). — კვალი, 1893, № 17.

1003. შეგრელი დუტუ [დიმიტრი ხოშტარია]. ნ. ბარათაშვილი [მისი ნეშტის გადმოსვენების გამო], (ლექსი). — კვალი, 1893, № 17; ლექსები, წიგნი I, 1909, გვ. 80—81.

1004. ორბელიანი ნინო. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს (ლექსი). — კვალი, 1893, № 17; ივერია, 1893, № 83.

1005. რაჭიკაშვილი თედო. ნ. ბარათაშვილის ნეშტს (ლექსი). — ივერია, 1893, № 85.

1006. სილოვან [ხუნდაძე სილოვან]. ნიკო ბარათაშვილის სახსოვრად (ლექსი). — ივერია, 1893, № 85.

1007. ჩოლოყაშვილი ბიძინა. ლექსი თქმული ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზედ ბიძინა ჩოლოყაშვილის მიერ. — კვალი, 1893, № 18; ივერია, 1893, № 86.

## 1900

1008. ვაჟა-ფშაველა. ანდერძი (ლექსი). — ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად., თბილისი, ტომი I, 1964, გვ. 277; ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თსუ, 1967, გვ. 124.

1009. ვაჟა-ფშაველა. ზმანება (ლექსი). — ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1964, გვ. 290—292; ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967, გვ. 130.

1010. დავიწყებული. მსურს დავიმარხო [მიბაძვა ბარათაშვილისა]. (ლექსი). — ცნობის ფურცელი, 1901, № 1434.

## 1905

1011. ევდოშვილი იროდიონ. ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექსი). — ივერია, 1905, № 184; რჩეული ლექსები, 1963, გვ. 176.

## 1909

\* 1012. მეგრელი დუტუ [დიმიტრი ხოშტარია]. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ერთ მოქმედებიანი დრამა-ფანტაზია). — დროება, 1909, № 223—224.

1013. ჭავჭავაძე ილია. ილია ჭავჭავაძის დაუბეჭდავი ლექსი თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე. 9/VIII, 1860. პავლოვსკი. უკანასკნელი ტაეპის ვარიანტით. — ფასკუნჯი, 1909, № 11, გვ. 1.

## 1910

1014. ახოსპირელი ბეგლარ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას. (ლექსი). — სახალხო გაზეთი, 1910, № 187.

1015. მჭედლიშვილი იოსებ. ნატვრა [კუძღენი ნ. ბარათაშვილის ხსოვნას] (ლექსი). — ჩვენი ნაბიჯი, 1910, № 1, გვ. 2.

## 1916

1016. გრიშაშვილი იოსებ. სურნელება ძველი ხელთნაწერისა [ნ. ბარათაშვილის ხსოვნას] (ლექსი). — სახალხო ფურცელი, 1916, № 728; თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. I, 1961, გვ. 338.

1017. აბაშელი ს. ნ. ბარათაშვილს (სონეტი). — თანამედროვე აზრი, 1916, № 260.

1018. დაროშვილი ი. ნ. ბარათაშვილის ბრწყინვალე ხსოვნას (ლექსი). — სახალხო გაზეთი, 1916, № 187; საქართველო, 1916, № 417.

1019. ერთაწმინდელი სეზმან. ჩრდილოეთში [ნ. ბარათაშვილის ხსოვნას] (ლექსი). — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47.

1020. ლეონიძე გიორგი. დაჭრილი სული (ლექსი ნიკ. ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო). — საქართველო, სურ. დამ., 1916, № 46.

1021. როინიშვილი ვასო. ნ. ბარათაშვილის ხსოვნას! (ლექსი). — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 47; ეშმაკის მათრახი, 1916, № 49.

1022. რუხაძე ვარლამ. ამონაკენესი, ნ. ბარათაშვილის ხსოვნას (ლექსი). — კრებული — მერანი, თბ., 1916, გვ. 83.

1023. ტატიშვილი ი[რაკლი]. სიქაბუჯის მგოსანი (ეტიუდი). — საქართველო, 1916, № 261.

1024. ფალავანდოვი მ. ტატოს (ლექსი). — საქართველო, 1916, № 46.

1025. შანშიაშვილი სანდრო. საყვარელ ნიკო მგოსანს (ლექსი). — საქართველო, სურ. დამ., 1916, № 46; რჩეული, 1953, გვ. 180—181.

1026. შინატეხელი გ[ორგი]. ნ. ბარათაშვილს (ლექსი). — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 48.

1027. ძიძაძე პ. ნეტავი იმას. ნ. ბარათაშვილის ხსოვნას (ლექსი). — თეატრი და ცხოვრება, 1916, № 48.

1028. ჭაფარიძე ლელი. ვეძიოთ სახე! [ნიკ. ბარათაშვილის ახალ სურათზე] (ლექსი). — საქართველო, 1916, № 260.

#### 1917

1029. გაფრინდაშვილი ა. ნ. ბარათაშვილის ხსოვნას (ლექსი). — განათლება, 1917, № 2.

1030. ჯინორიძე იკო. სევდის რკალებში ნადვლიანი ჭაბუჯი (ლექსი). — სახალხო ფურცელი, 1917, № 813.

#### 1923

1031. აბაშელი ალექსანდრე. ნ. ბარათაშვილს (ლექსი). — ანთბული ხეივანი, 1923, წიგნი II, გვ. 87.

#### 1926

1032. მამაშვილი ალიო. მე და ბარათაშვილი (პოემა): (პოემიდან „ბედი ქართლისა“). — მნათობი, 1926, № 8—9, გვ. 7—14.

1032ა. მიწიშვილი ნიკოლო. კოჭლი გული ბარათაშვილის (პოემიდან „შავი ვარსკვლავი“). შავი ვარსკვლავი, 1926, გვ. 29; რჩეული, 1958, გვ. 217.



1032ბ. გოგიაშვილი მიშა. წკიბურტი ბარათაშვილს (ლექსი). ზა-  
პესტანი (ლექსები), 1927, გვ. 6.

1032გ. სილეო-რენს [შალვა კაშმაძე]. ბარათაშვილზე (ლექსი). ატ-  
ლანტიდა (ლექსები), წიგნი II, 1927, გვ. 10—11.

1033. ჩიქოვანი სიმონ. მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექ-  
სი). — მემარცხენეობა, 1927, № 1, გვ. 52—53; ლექსები, წიგნი I,  
1933, გვ. 165—169; ლიტერატურული საქართველო, 1938, № 28.

## 1930

1034. ჩიქოვანი სიმონ. მიბაძვა მერანს (ლექსი). მხოლოდ ლექ-  
სები, 1930, გვ. 124—127; ლექსები, წიგნი I, 1933, გვ. 160—164.

## 1934

1035. შენგელაია დემნა. ტატო ბარათაშვილი (ნოველა). სიტყვა და  
საქმე, 1934, № 4.

## 1935

1036. მაშაშვილი ალიო [ალიო მირცხულავა]. მე და ბარათაშვი-  
ლი (პოემა). — გამომც. „კომ. განათლება“, 1935, გვ. 26; ლექსები და  
პოემები, ერთტომეული. სახელგამი, 1953, გვ. 533—542.

## 1938

1037. გაბესკერია ვიქტორ. ბარათაშვილი მთაწმინდაზე (ლექსი). —  
ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25; ერთტომეული, 1955,  
გვ. 125.

1038—1041. ადამია ალიო. სურათები სოფლის სამკითხველოში  
(ლექსი). — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25.

1042. გორგაძე ვასო. ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექსი). — კომუ-  
ნისტი, 1938, № 243.

1043. გრიშაშვილი იოსებ. კიროვის ბაღში (ლექსი). — მნათობი,  
1938, № 10; თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. II, 1962,  
გვ. 63—64.

1044. ბარათაშვილი მარიკა. შეხვედრა (ლექსი). — ლიტერატუ-  
რული საქართველო, 1938, № 25, გვ. 1; საპოვნელა, გვ. 62—63, 1958.

1045. დადიანი შალვა. ბარათაშვილი (ნაწყვეტი პიესიდან). —  
მნათობი, 1938, № 10, გვ. 8—18.



1046. კალაძე კარლო. შემოღამება მთაწმინდაზე (ლექსი). — ლიტერატურული საქართველო, 1938, № 25, გვ. 1. ერთტომეული, 1954, გვ. 12—13.

1047. ლეონიძე გიორგი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს (ლექსი). — კომუნისტი, 1938, № 243; ლექსები, 1943, გვ. 52.

1048. პოლუმორდვინოვი ელიზბარ. პოეტის სიკვდილი (ნოველა). — კომუნისტი, 1938, № 245.

1049. ქუთათელი ალექსანდრე. ბარათაშვილი და მისი სატრფო (ლექსი). — მნათობი, 1938, № 10; ლექსები, 1941, გვ. 149—150.

1050. ქუჩიშვილი გიორგი. პოეტის ნეშტთან (ლექსი). ჩვენი თაობა, 1938, № 11.

1051. კიკინაძე კონსტანტინე. ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში (ლექსი). მნათობი, 1938, № 10; რჩეული ლექსები და პოემები, 1965, გვ. 58—61.

1939

1052. დადიანი შალვა. ბარათაშვილი. ამძიველი ტრაგედია. თბ., სახელგამი, 1939, გვ. 136.

1053. თომაშვილი დ[ომენტი] — [დომენტი ოყრეშიძე]. ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექსი). — ლექსთა კრებული, 1939, გვ. 172—173; ლექსები, 1955, გვ. 139.

1053ა. თუმანიანი ჰოვანეს. ნ. ბარათაშვილის საფლავზე (ლექსი). — ახალგაზრდა კომუნისტი, 1939, № 79; მნათობი, 1945, № 10. თარგმანი დავით გაჩეჩილაძის (სომხურიდან).

1054. ჩიქოვანი სიმონ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ლექსი). — ლექსები, 1939, გვ. 59—62. ჩემი მამული, 1944.

